

F-171

1975

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

გაქანებული და ინსტრუქციული

ქ რ ე ბ უ ლ ი

10

С Б О Р Н И К

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

თ ქ ბ უ ლ ი

თბილისი 1975



5504-F

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წ.
8 აგვისტოს ბრძანება № 569**

მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ტიპობრივი დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ

მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ორგანიზაციის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 ოქტომბრის № 570 დადგენილების შესასრულებლად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს „ტიპობრივი დებულება მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების შესახებ“.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგებმა:

—ეს დებულება დაიყვანონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების მუშაკებამდე და გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი ამ დოკუმენტით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების უზრუნველსაყოფად.

—ამასთან, მიეღონ ამ მუშაობაში მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1974 წლის 27 ნოემბრის № 999 ბრძანებით „მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ორგანიზაციის შესახებ“.

საქართველოს სსრ
განათლების მინისტრის
სამსახური

სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) და სახალხო
განათლების ინსპექციამ (ამხ. ზ. როგავამ) საჭირო კონტროლი და
ხელმძღვანელობა განახორციელონ აღნიშნული დადგენილების შეს-
რულებაზე.

მინისტრის მოადგილე უზ. ობოლაძე



შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
მ. ე. რაკოვსკი

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან
არსებული პროფესიულ-ტექნიკური
განათლების სახელმწიფო კომიტეტის
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ნ. ოსიპოვა**

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ

სსრ კავშირი განათლების მინისტრი
მ. ა. პროკოფიევა

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან
არსებული შრომისა და ხელულის
საკითხებში სახელმწიფო კომიტეტის
თავმჯდომარის მოადგილე
ბ. ს. ნოვოჟილოვა

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის
მოადგილე **შ. ლ. რაიბაჯვა**

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა

აროფესიული კავშირების საკავშირო
ცენტრალური საბჭოს მდივანი
ლ. ა. ზენდლიანიაკოვა

ბიკობრივი დებულება

მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის
სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების შესახებ

I. მიზნები და ამოცანები

1. სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები იქმ-
ნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 23 აგვისტოს
№ 662 დადგენილებს შესაბამისად, საშუალო ზოვადსავანმანათლებლო
სკოლების IX—X (XI) კლასების მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა
და პროფესიული ორიენტაციისათვის.

2. სასკოლათაშორისო კომბინატების ძირითად ამოცანას წარ-
მოადგენს:



საწარმოებში შრომითი პროცესებისა და მუშათა შრომის შინაარსის მოსწავლელთათვის გაცნობა;

მოსწავლელთა პროფესიული ორიენტაციის განხორციელება პროფესიის შეგნებულად არჩევსათვის, მათი მომზადების მიზნით;

შერჩეულ პროფესიაში შრომის პირველდაწყებითი უნარის გამომუშავება.

II. კომბინატების ორგანიზაცია და სტრუქტურა

3. სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატები იქმნება მშრომელთა დებუტატების საბჭოების საქალაქო და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების მიერ, მოკავშირე რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროებთან შეთანხმებით. მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებსაც საოლქო დაყოფა გააჩნიათ, შეთანხმება წარმოებს ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების, სამხარეო და საოლქო განათლების განყოფილებების წარდგინებით. შეთანხმება ქალაქების (რესპუბლიკური დაქვემდებარების) განათლების განყოფილებების წარდგინებითაც წარმოებს.

კომბინატები სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, მომსახურების სფეროს საწარმოებისა და სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების მონაწილეობით იქმნება. ამასთან, მკაცრად უნდა იყოს მხედველობაში მიღებული კომბინატების აუცილებლობა, სასწავლო-ტექნიკური ბაზის შექმნისა და კვალიფიციური მუშების, ინჟინერ-ტექნიკური და პედაგოგიური კადრების ჩაბმის შესაძლებლობა.

4. კომბინატები რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების უშუალო გამგებლობაში იმყოფებიან.

5. კომბინატების მიერ მომსახურებული რაიონის (ქალაქის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობას სახალხო განათლების განყოფილება ადგენს.

6. კომბინატებში შრომითი სწავლების პროფილები რაიონის (ქალაქის) მშრომელთა დებუტატების საბჭოების აღმასკომებისა და საწარმოების (ორგანიზაციების) მიერ განისაზღვრება მიმდინარე და პერსპექტიული, პირველ რიგში, მუშათა კადრებში ადგილობრივი მოთხოვნების მხედველობაში მიღებით.

7. კომბინატში იქმნება:



საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ—სასწავლო სამჭროვები, უბნები, კაბინეტები და ლაბორატორიები (მოსწავლეთა სწავლებისა და მწარმოებლური შრომისათვის), მოსამზადებელი და საიარაღო განყოფილებები, მასალებისა და მზა პროდუქციის საწყობები და სხვა დამხმარე სამსახურები (სასწავლო-საწარმოო პროცესის მატერიალური უზრუნველყოფისათვის).

განათლების რაიონული (საქალაქო) განყოფილების მიერ პროფორენტაციის კაბინეტი.

8. კომინატის ადმინისტრაცია თავის საქმიანობაში საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებითა და მოცემული დებულებით ხელმძღვანელობს.

9. კომინატისა და საწარმოს (ორგანიზაციის) ურთიერთვალდებულებანი მტიკიდება ხელშეკრულებით, რომელიც ტიპობრივი ხელშეკრულების საფუძველზე დგება (იხ. დანათი).

10. სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომინატი იურიდიული პირის უფლებით სარგებლობს, აქვს შტამპი და ბეჭედი თავისი დასახელების აღნიშვნით.

III. საწარმოები და ორგანიზაციები

11. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, მომსახურების სფეროს საწარმოები, სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციები სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომინატებში სასწავლო სამჭროვებს, უბნებს, კაბინეტებს, ლაბორატორიებსა და დამხმარე სამსახურებს ქმნიან, რომლებიც ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების სტრუქტურულ ქვედანაყოფებს წარმოადგენენ.

12. საწარმოები და ორგანიზაციები მოსწავლეთა შრომიანი სწავლებისა და მწარმოებლური შრომისათვის აუცილებელ პირობებს ქმნიან განსაზღვრული პროფილით (პროფილეებით): გამოყოფენ მოწყობილობას (დანადგარებს), აყენებენ და გამართავენ მას, ახდენენ სასწავლო სამჭროვის, უბნების, კაბინეტებისა და ლაბორატორიების აღჭურვას საჭირო ხელსაწყოებით, იარაღებითა და სამარჯვებით, აძლევენ მოსწავლეთს საწარმოო დაკვეთებს და აწვდიან მათი შესრულებისათვის აუცილებელ მასალებს, ტექნიკურ დოკუმენტაციას, დასაკომლექტებელ ნაკეთობებსა და სხვ., ახორციელებენ დანადგარების შეკეთებასა და მოდერნიზაციას, უზრუნველყოფენ უსაფრთხო და სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნების შესაბამის

პირობებს მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და სარმოო შრომისათვის, გამოყოფენ უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის მოწყობილობას, აგრეთვე სპეცტანსაცმელს, სპეცფეხსაცმელსა და დამცავ მოწყობილობას კომბინატის საწარმოო სწავლების ოსტატებისა და მოსწავლეთათვის მოქმედი ნორმების შესაბამისად, აწარმოებენ სასწავლო საამქროების, უბნების, კაბინეტებისა და ლაბორატორიების მიმდინარე რემონტს, უზრუნველყოფენ მათ სამეურნეო მომსახურებას. კომბინატის დანადგარები უხდა იყოს თანამედროვე, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და სასკოლო ჰიგიენის მოქმედი ნორმების შესაბამისი, იგი საწარმოებისა და ორგანიზაციების საკუთრებას წარმოადგენს. პროდუქციის აღრიცხვასა და რეალიზაციას საწარმოები და ორგანიზაციები ახორციელებენ.

13. კომბინატში მოსწავლეთა სწავლებისა და საწარმოო შრომის ორგანიზაციისათვის საწარმოები (ორგანიზაციები) კვალიფიციურ მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს (საწარმოო სწავლების ოსტატებს) გამოყოფენ. მათი რაოდენობა და პროფესიები (მუშაობის პროფილები) კომბინატის ხელმძღვანელობის მიერ საწარმოებთან (ორგანიზაციებთან) შეთანხმებით, სასწავლო ჯგუფებისა და მომზადების პროფილების რიცხვზე დამოკიდებულებით, გამომდინარე ოსტატის დატვირთვიდან—წელიწადში 1200 სასწავლო საათით, განისაზღვრება. საჭიროების შემთხვევაში, საწარმო, კომბინატში მუშაობისათვის, გამოყოფს სხვა მუშაკებს: მეიარაღებს, დანადგარების ზეინკალ-ელექტრიკოსებს, მოწყობილობის ზეინკალ-შემკეთებლებსა და სხვ. ყველა აღნიშნულ მუშაკს საწარმოში (ორგანიზაციაში) მათ მიერ დაკავებულ თანამდებობა უნარჩუნდება.

IV. სასწავლო-საწარმოო და აღმზრდელითი

მ უ შ ა ო ბ ა

14. სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებში IX—X(XI) კლასების მოსწავლეთა შრომითი მომზადება შრომითი პოლიტექნიკური სწავლებისა და საწარმოო შრომის პროცესში ხორციელდება.

15. მოსწავლეთა შრომითი მომზადებისათვის გამოიყოფა IX—X(XI) კლასებში შრომითი სწავლებისათვის სასწავლო გეგმით გამოყოფილი დრო საწარმოო პრაქტიკის ჩათვლით. შეიძლება, აგრეთვე, გამოყენებულ იქნეს ფაკულტატიური მეცადინეობის საათები.



16. კომინატში შრომითი სწავლება სსრ კავშირის განათლების სამინისტროს პროგრამებით ტარდება, აგრეთვე იმ პროგრამებით, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროების მიერ არის დამტკიცებული.

17. საწარმოო შრომა კომინატში მოზარდთა ასაკის, სქესის და აგრეთვე შრომის დაცვისა და ჯანმრთელობის მოთხოვნათა გათვალისწინებით ეწყობა. იგი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული შრომით სწავლებასთან. კომინატის საამქროები და უბნები ასრულებენ იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო დაკვეთებს, რომელთა ქვეგანყოფისაც თვითონ წარმოადგენენ.

18. კომინატში მოსწავლეთა სწავლებისა და საწარმოო შრომის ორგანიზაციისათვის მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობებისა და სამუშაო ადგილების არსებობის გათვალისწინებით, იქმნება სასწავლო ჯგუფები (ბრიგადები) 25—30 კაცის რაოდენობით. პრაქტიკული სწავლებისა და საწარმოო შრომისას ლითონების დამუშავებაში, სანტექნიკაში, ელექტროტექნიკაში, მერქნის მექანიკურ დამუშავებაში, სამშენებლო და სხვა პროფილებში, სადაც მსხვილგაბარიტიანი დანადგარებია გამოყენებული, ჯგუფები (ბრიგადები) ორად იყოფა. ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ მოსწავლეები სხვადასხვა სკოლებიდან.

19. კომინატში IX—X(XI) კლასების მოსწავლეებთან ტარდება მუშაობა ტექნიკურ შემოქმედებაში, მათი რაციონალიზატორული და გამომგონებლის საქმიანობაში ჩაბმის, შრომის შეცნობიერი ორგანიზაციის საფუძვლების სწავლებაში.

20. სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომინატები რაიონის (ქალაქის) სკოლების მოსწავლეთა და მათ მშობლებს შორის პროფესიულ ორიენტაციაში მუშაობის ცენტრებს წარმოადგენენ.

კომინატები, საწარმოების (ორგანიზაციების) და სკოლების დახმარებით, რაიონში (ქალაქში) ატარებენ მუშაობას მუშათა პროფესიულ მოსწავლეთა ორიენტაციაში: აცნობენ მოსწავლეებს კადრებზე რაიონის (ქალაქის) მოთხოვნილებს, პროფესიებისა და მათი მიღების გზების, შრომითი მოწყობის შესაძლებლობის შეახებ, კონსულტაციას უწყევენ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს პროფესიის არჩევისა და შრომითი მოწყობის საკითხებზე, ატარებენ ექსკურსიებს საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აწყობენ მოსწავლეთა შეხვედრებს სხვადასხვა მუშა პროფესიების წარმომადგენლებთან, სკოლებთან ერთად.

თად დახმარებას უწევენ ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანიზაციებს IX—X(XI) კლასების მოსწავლეთა სამედიცინო გამოკვლევაში, ჯანმრთელობის მდგომარეობის თხევადი არჩეული პროფესიულ-საბავშვო ვარჯისიანობის გასაზღვრის მიზნით, ეხმარებიან პროფორიენტაციის საკითხებში რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებებს სკოლის მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებაში.

კომბინატები, სკოლებთან და საწარმოებთან (ორგანიზაციებთან) ერთად ამზადებენ VII—VIII კლასების მოსწავლეებს კომბინატში სწავლების პოლიფილს არჩევისათვის, ხოლო IX—X(XI) კლასის მოსწავლეებს, რომლებიც კომბინატში სწავლობენ, საწარმოში, მომსახურების სფეროში შრომისადმი ინტერესს, მუშა პროფესიების დაუფლებისადმი მისწრაფებას უყალიბებენ.

21. კომბინატები, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად, რაიონის (ქალაქის) სკოლებს დახმარებას უწევენ მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის ორგანიზაციის საქმეში, ხელს უწყობენ სკოლასა და საწარმოს (ორგანიზაციას) შორის მრავალმხრივი კავშირის განმტკიცებას.

22. კომბინატის მუშაკები ახდენენ მოსწავლეთა სისტემატურ ინფორმაციას მათი შრომის შედეგების შესახებ, აგრეთვე საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო საქმიანობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების, მათი ამოცანების, მიღწევების შესახებ, წარმოების მოწინავეთა და სხვ. შესახებ, აგრეთვე რეგულარულად აცნობებენ საწარმოთა (ორგანიზაციათა) ხელმძღვანელობას და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სკოლებს სასწავლო-საწარმოო პროცესის, შრომითი დისციპლინისა და მოსწავლეებთან პროფორიენტაციული და აღმზრდელი მუშაოს მდგომარეობის შესახებ.

23. სკოლის ადმინისტრაცია, კომბინატის ხელმძღვანელობასთან ერთად, მონაწილეობს სასწავლო ჯგუფების დაკომპლექტებაში, თვალყურს ადევნებს კომბინატში მოსწავლეთა მიერ ძეცადინეობებზე დასწრებას, მათს ყოფაქცევას და წარმატებებს შრომით სწავლებაში და ძეთოდურ დახმარებას უწევს კომბინატის მუშაკებს.

24. კომბინატში მოსწავლეთა კოლექტივის საქმიანობა თვითმმართველობის საფუძველზე ეწყობა და მიმართულია სწავლების ხარისხის ამაღლების, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მოსწავლეთა შეგნეული დისციპლინის განმტკიცებისა და მათი შემოქმედებითი თვითმოქმედების განვითარებისათვის.



V. კომუნისტის ხელმძღვანელობა და პირსონალი

25. სასკოლათა შორისა სასწავლო-საწარმოო კომბინატებში მუშაობენ მასწავლებლები, აღმინისტრაციულ-სამეურნეო, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალი, აგრეთვე საწარმოო სწავლების ოსტატები—კვალიფიციურბ მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომლებიც საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ არიან გამოყოფილი-

26. კომუნატის დირექტორი ინიშნება მოკავშირე რესპუბლიკის, განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროს ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, სამხარეო, საოლქო (ქალაქის, ქ. ქ. მოსკოვი, ლენინგრადი და მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქები) სახალხო განათლების განყოფილებების მიერ რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებათა წარდგინებით საუკეთესო მასწავლებელთა ან ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების რიცხვიდან, რომელთაც ორგანიზატორული უნარო გააჩნიათ, უმაღლესი განათლება და პედაგოგიური ან საწარმოო მუშაობის ხელმძღვანელობის არააკლებ სამი წლის სტაჟი ქვთ.

კომუნატის დირექტორი პასუხისმგებელია მოსწავლეთა შრომითი მომხადებისა და პროფესიული ორიენტაციის ორგანიზაციასა და ხარისხზე, ნორმის, შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკის წესებისა და ინსტრუქციებს შესრულებაზე, აგრეთვე მისდამი რეზერვული კომუნატის სამეურნეო-საფინანსო მდგომარეობაზე.

კომუნატის დირექტორის განკარგულებები შეიძლება შეეცვლილი იქნეს რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილების ან სახალხო განათლების ზემდგომი ორგანოს მიერ.

27. კომუნატის დირექტორი:

ახორციელებს როგორც კომუნატის საშტატო მუშაკებისა და მასწავლებლების, ისე საწარმოო სწავლების ოსტატების ხელმძღვანელობის, უზოუნველყოფს კადრების სწორად შერჩევასა და განაწილებას; ქმნის საჭირო პირობებს მუშაკების იდეურ-პოლიტიკური დონისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ახორციელებს მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის, უნარისა და ყოფაქცევის, ტექნიკურ შემოქმედებაში კლასგარეშე მუშაობის შინაარსისა და ორგანიზაციის, აგრეთვე მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიზნით მუშაობის კონტროლს;

ადგენს კომინატის მუშაკების მოვალეობათა სფეროს შრომითი კანონმდ. ლო-ის, შრომითი შინაგანაწესის ძირითხვნათა და მოცემული დეაულე-ის შესაბამისად;

უზრუნველყოფს კომინატში შინაგანაწესის მოთხოვნათა, სან-ტარულ-პიგებუი რეეიმის, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და ნორმების დაცვას;

წარმოათავს მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობას;

უზრუნველყოფს კომინატის საწარმოე თან (ორგანიზაციებთან) და კომინატის ძიეო მომსახურე სკოლეს შორის კავშიოს;

ანგარიშს კომინატის მუშაობის შესახებ აპარეს შესაბამის ორგანოეს, გამოდის, როგორც მისი წარმომადგენელი საზოგადოებრივ ორგანიზაციე-ში და მოსახლეობის წინაშე, წარმოადგენს კომინატის კრედიტების განმკარგულე ელს;

დადგენილი წესის ძიედეთ სამუშაოზე იღეს და სამუშაოდან ითხოვს კომინატის სასწავლო-დამამარე და მომსახურე პერსონალს.

უგზავნის წარდგინეს საწარმოებისა და ორგანიზაციე-ის ხელმძღვანელობის საწარმოო სწავლე-ის ოსტატების წახალისების ან მათზე სასჯელის დადების შესახებ;

მუშაობაში განაკუთრეობთ გამოირჩეულ მუშაკებს წახალისებისა და დაჯილდოებისთვის წარადგენს;

სკოლადამთავრეულეს, რომლებმაც სწავლება კომინატში გაიარეს, ემარება შრომითი მოწყობისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლო დაწესებულებაში შესვლის საქმეში, რათა აიმაღლონ კვალიფიკაცია შეჩეული პროფილის მიედეთ.

28. დირექტორის მოადვილე სასწავლო-საწარმოო მუშაობაში ინიშნება რაიონის (ქალაქის) სხალბო განათლების განყოფილების მიერ, კომინატის დირექტორის წარდგინეთ, საუკეთესო მოსწავლე-ბელთა ან ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების რიცხვიდან, რომელთაც უმაღლესი განათლება და პედაგოგიური ან საწარმოო საპასუხისმკვლო მუშაობის არანაღესა სამი წლის სტაჟი გააჩნია.

დირექტორის მოადვილე სასწავლო-საწარმოო მუშაობაში:

ბასუხისმკველია სასწავლო-საწარმოო და სადამზრდელი პროცესის სწორი ორგანიზაციის, სასწავლო პროგრამების შესრულებისა და მოსწავლეთა სწავლების ხარისხის, პრაქტიკულად გამოყენების საკითხე-ში;

ადგენს მეცადინეობათა ვანრიეს (ცხრილს) და ანგარიშს სასწავლო-საწარმოო და დამზრდელი მუშაობის შესახებ;



ღებულობს ზომებს სამუშაო ადგილებით, იარაღებით, სამარჯვენიოთ, მასალებით, სპეციალური დაძვევი საშუალებებით, ტექნიკური დოკუმენტაციითა და სხვ. მოსწავლეთა უზრუნველყოფისათვის.

უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის კვალიფიციური ინსტრუქტორების ჩატარებას უსაფრთხოების ტექნიკის, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების, სანიტარულ-ტექნიკური და ჰიგიენური მოახრუნველების დაცვისათვის.

ახორციელებს სასწავლო-საწარმოო და აღმზრდელობითი მუშაობის დაქვემდებარებას, მოსწავლეთა წარმატებისა და ყოფიქცების, მოსწავლეთა შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფისა და მათ მიერ უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვის კონტროლს.

— წარმართავს მუშაობას მოსწავლეთა პროფორიენტაციისა და პროფკონსულტაციის, პსუქსიმგველია პროფორიენტაციის კლასების აღჭურვილობაზე და წარმართავს მის მუშაობას.

29. კომინატის მოსწავლელები ინიშნებიან იმავე წესით, როგორც საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. თავიანთი ძირითადი მოვალეობის შესრულებისას ისინი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდები ხელმძღვანელი ენ. პედაგოგიური მუშაობა აგრეთვე საწარმოო სწავლების ოსტატებს და საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სავა მუშაკებს შეუძლიათ აწარმოონ.

30. საწარმოო სწავლების ოსტატად მუშაობისათვის უნდა გამოიყონ პირობები, რომელთაც აქვთ განათლება, როგორც წესი, არანაკლებ საშუალო, მაღალი საწარმოო კვალიფიკაცია და მიდრეკილება პედაგოგიური მუშაობისადმი.

საწარმოო სწავლების ოსტატი ატარებს პრაქტიკულ მეცადინეობებს, აწყობს მოსწავლეთა მწარმოებლურ შრომას, ამზადებს მოწყობილობას, მასალებს, სასწავლო-ტექნიკურ დოკუმენტაციას და სხვ., თვალყურს ადევნებს მოსწავლეთა მიერ დისციპლინის, უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვას და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა შესრულებას.

31. მოსწავლეებთან სასწავლო-საწარმოო და აღმზრდელობითი მუშაობის ძირითადი საკითხების განხილვისათვის კომინატში იქმნება პედაგოგიური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კომინატის მოსწავლელები, საწარმოო სწავლების ოსტატები, სკოლისა და საწარმოების (ორგანიზაციების)



დამინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოს თავმჯდომარეა კომბინატის დირექტორი.

VI. შრომის ანაზღაურება, დაფინანსება და ანაზღაურება

32. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 23 აგვისტოს № 662 დადგენილებით სასკოლაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების მუშაელებზე ვრცელდება:

ა) პედაგოგიურ მუშაელებზე (მასწავლებლებზე):

ხელფასის განაკვეთები და შრომის ანაზღაურების სხვა პირობები; აგრეთვე ყოველწლიური შევებულებების ხანგრძლივობა და საბენსიო უზრუნველყოფის წესი, რომელიც საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებისათვის არის გათვალისწინებული;

მათ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სპეციალობის მიხედვით მუშაობის დროის პედაგოგიური მუშაობის სტაჟში ჩათვლის წესი, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შრომის მასწავლებლისათვის არის გათვალისწინებული;

ბ) ხელმძღვანელ და სხვა მუშაელებზე (გარდა პედაგოგიურისა):

თანამდებობრივი განაკვეთები, რომლებიც გათვალისწინებულია პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლო დაწესებულებების მუშაეებისათვის, სადაც ამზადებენ მუშებს მანქანათმშენებელი და ლითონდამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებისათვის. მოსწავლეთა კონტინენტის განსაზღვრისას ხელმძღვანელი მუშაეებისათვის თანამდებობრივი განაკვეთების დადგენისათვის გამოიყენება კოეფიციენტი 0,25;

სასწავლო მუშაობის ჩატარების წესი (არაუმეტეს ორი საათისა დღეში), ყოველწლიური შევებულების ხანგრძლივობა და საბენსიო უზრუნველყოფის წესი ისეთივეა, როგორც პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლო დაწესებულებების ანალოგიური კატეგორიის მუშაეებისათვის.

33. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 23 აგვისტოს № 662 დადგენილების თანახმად, საწარმოების (ორგანიზაციების) მიერ მოსწავლეთა სწავლებისა და მწარმოებლური შრომის ორგანიზაციისათვის გამოყოფილი კვალიფიციური მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაეების შრომის ანაზღაურება, აგრეთვე კომბინატში შესრულებული მუშაობისათვის მოსწავლეთა შრომის ანაზღაურება არსებული დადგენილების შესაბამისად წარმოებს.



ამასთან დაკავშირებით, აღნიშნულ მუშებზე და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს უნარჩუნდებათ ძირითადი სამუშაოს საშუალო ხელფასი, გამოანგარიშებული ორი თვის მუშაობისათვის, რომელიც სწავლების დაწყებას წინ უსწრებდა. მათი შრომის ანაზღაურება კომინატის მიერ გაცემული სამუშაო დროის აღრიცხვის ტაბელის (ფურცლის) საფუძველზე ხდება.

—კომინატის მოსწავლეთა შრომის ანაზღაურება შრომის სანარდო ანაზღაურებისას ფაქტიურად დამზადებული ვარგისი პროდუქციისათვის საწარმოში მოქმედი ნორმებისა და ნიხრის (შევსების) მიხედვით ხდება, ხოლო შრომის პერიოდული ანაზღაურებისას (დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაოსათვის)—იმ სატარიფო თანრიგის მიხედვით, რომელიც მოცემული სამუშაოსათვის არის დადგენილი, ფაქტიურად დახაოჯული დროის მხედველობაში მიღებით.

34. კომინატს აქვს იმ სახალხო განააღების განყოფილების მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა, რომლის გამგელობაშიაც ის იმყოფება. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული კომინატის მართვია აპარატის, მომსახურე პერსონალის შენახვისა და პედაგოგიური მუშაკების შრომის ანაზღაურებისათვის, აგრეთვე ავეჯის, სამეურნეო მოწყობილობის შექმნისა და შეიხის კაპიტალური რემონტის ხარჯები.

საწარმოები და ორგანიზაციები იღებენ ხარჯებს კვალიფიციური მუშებზე და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შენახვაზე, როდელიც ჩამოყალიბებული არიან მოსწავლეთა შრომითი სწავლისათვის და სასწავლო სამჭროების, უნიფორმის, კაბინეტებისა და ლაბორატორიების სამეურნეო მომსახურებისათვის.

36. კომინატი ყოველწლიურად ზემდგომ ორგანოებში წარადგენს დადგენილ ანგარიშებს.



და ნ ა რ თ ი

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის 1975 წლის 8 აგვისტოს
№ 569 ბრძანებისა

ზიკოზივი ხელშეკრულება

ქ ა ლ ა კ ი . „ _____ „ _____ 197 წ.

საწარმოს (ორგანიზაციის) სახელწოდება (დასახელება)

შემდგომში წოდებული „საწარმო“, საწარმოს ხელმძღვანელის _____

სახით, მოქმედი _____

საფუძველზე, ერთის მხრივ, და _____

რათიხი (ქ-ლაქი)

მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის
სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატი, შემდგომში წო-
დებული „კომბინატი“, დირექტორის _____

სახით, მეორეს მხრივ, დაედეთ ეს ხელშეკრულება ქვემო მოყვანილის
შესახებ:

1. საწარმო ვალდებულებას კისრულობს (იღებს):

ა) მოამზადოს სასწავლო-მატერიალური ბაზა (სასწავლო საამქ-
რო, უბანი, კაბინეტი, ლაბორატორია, სულ სამუშაო ადგილები
_____), კომბინატის შენობაში თანამედ-
როვე წარმოების მოთხოვნათა შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს უსაფრთხო და სანიტარულ-ჰიგიენური მო-
თხოვნების შესაბამისი პირობები მოსწავლეთა სწავლებისა და მწარ-
მოებლური შრომისათვის, დაამყაროს სისტემატური კონტროლი შრო-



მის დაცვის ნორმებისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვაზე;

გ) მოამარაგოს სასწავლო საამქრო (უბანი, კაბინეტი, ლაბორატორია) მასალებით მოსწავლეთა სწავლებისა და მწარმოებლური შრომისათვის, აწარმოოს მათ მიერ დამზადებული პროდუქციის აღრიცხვა და რეალიზაცია;

დ) აწარმოოს დანადგარების, ხელსაწყოებისა და სამარჯვენების სისტემატური შეკეთება და გამართვა, მათი შეცვლა;

ე) გაგზავნოს კომბინატში კვალიფიციური მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები საწარმოო სწავლების ოსტატებად, აგრეთვე სხვა სპეციალისტები;

ვ) აანაზღაუროს კვალიფიციური მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შრომა მოსწავლეთა პრაქტიკული სწავლებისათვის, აგრეთვე, მოსწავლეთა შრომა კომბინატში შესრულებული სამუშაოსათვის არსებული დადგენილების შესაბამისად;

ზ) აწარმოოს ხარჯები შექმნილი სასწავლო საამქროების, უბნების, კაბინეტებისა და ლაბორატორიების სამეურნეო მომსახურებაზე.

2. კომბინატი ვალდებულია კისრულობს (იღებს):

ა) უზრუნველყოს მოსწავლეთა სწავლებისა და მწარმოებლური შრომის პედაგოგიური ხელმძღვანელობა პროგრამებისა და საწარმოო დავალებების შესაბამისად;

ბ) მოახდინოს ჯგუფების დაკომპლექტება მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების, აგრეთვე სამუშაო ადგილების არსებობის მხედველობაში მიღებით (გათვალისწინებით);

გ) უზრუნველყოს მოსწავლეთა მიერ მეცადინეობებზე დასწრება;


დ) აწარმოოს კომბინატში გამოგზავნილ საწარმოს მუშაკთა სამუშაო დროის აღრიცხვის ტაბელი (ფურცელი).

3. მოსწავლეთა შრომითი სწავლების სააღრიცხვო დოკუმენტაცია (დასწრების, წარმატებისა და სხვ. ყურწილები) კომბინატში ინახება.

4. დავა, ამ ხელშეკრულების მიხედვით, ნებადართულია დადგენილი კანონის შესაბამისად.

მხარეთა მისამართები: _____

F-4055





ე ლ შეკრულება დადებულია _____ ვადით.

ხელშეკრულება დაბეჭდილია სამ ცალად. ერთი ცალი ინახება საწარმოში, მეორე — კომინატში, მესამე — რაიონის (ქალაქის) სახალხო ანათლების განყოფილებაში.

ბ. ა. საწარმოს დირექტორი _____

ბ. ა. კომინატის დირექტორი _____



**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის
12 აპრილის ბრძანება № 574**

საქართველოში კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე ცაგერის რაიონის სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სახალხო განათლების დარგში IX ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების შესრულების მიმდინარეობის შედეგები.

როგორც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ბრიგადის მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, ცაგერის მშრომელთა დებუტატების რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილება და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები გარკვეულ მუშაობას ატარებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე სახალხო განათლების დარგში IX ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების შესასრულებლად.

ამასთან ერთად, ამ ამოცანების შესასრულებლად კონტროლის განხორციელების საქმეში ცაგერის რაიონის განათლების განყოფილებას და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს აქვთ რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ცაგერის მშრომელთა დებუტატების რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. ლ. ჩიქოვანიძე):

ა) გააძლიეროს მუშაობა სახალხო განათლების დარგში IX ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების განსახორციელებლად, რისთვისაც მთელ თავის საქმიანობაში იხელმძღვანელოს და განუხრელად შეასრულოს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის XIV პლენუმის გადაწყვეტილებანი შესრულების შემოწმების კონტროლის დარგში;

ბ) გაატაროს მისთვის შესაძლებელი ქმედითი, კონკრეტული ღონისძიებები სკოლის სასწავლო-მეტერიალური და ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად, გააუმჯობესოს სასკოლო შენობების, ეზოებისა და სასწავლო-სადგენი მიწის ნაკვეთების მოვლა; ფართოდ ჩააძის მთელ ამ საქმიანობაში მოსწავლეები, პედაგოგები და მშობლები;

ს) გ) მიიღოს ზომები საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი წავლენის კანონისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელების საქმეში რაიონის სკოლაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

დ) პერიოდულად შეისწავლის სკოლების სასწავლო-აღმზრდელი პირობები მუშაობა, კვალიფიკაციური ანალიზი გაუკეთოს შემოწმების მასალებს და უზრუნველყოს, ყოველი მსრი, მიწისავე მუშაობა დადებითი გამოცდილების განხორციელება და, მეორე მხრივ, არადაშავიყოფილად ბინუშავეთა სანქციონაში შემჩნეული ნაკლოვანების აღმოფხვრა; მიიღოს სწავლა-აღმზრდის პროგრესის სრულყოფას და სკკპ XXV ყრილობისათვის რაიონის სკოლების ღირსეულად შეხვედრას;

ე) სწავლებაში ტექნიკური საშუალებების გამოყენების ცოდნა-ჩვეულების დაუფლებისა და ამ გზით კანცენტურ სისტემაზე სკოლების თანდათანობით გადასვლის უზრუნველსაყოფად ცალკეული საგნების მასწავლებელთათვის პერიოდულად მოაწიყოს ღია გაკვეთილები ტექნიკური საშუალებების გამოყენებით; ამ გზით ბოლო მოუღოს ისეთ მდგომარეობას, როცა სწავლების ტექნიკური საშუალებები უქმდადა მათი გამოყენების უცოდინარობის გამო;

ვ) მკვეთრად აამალოს რაიონის მეთოდური კაბინეტის როლი სკოლაში სასწავლო-აღმზრდელი პირობების გაუმჯობესების საქმეში; თანდათანობით გაამდიდროს მეთოდკაბინეტის ფუნქციონირება და აიკლიოთეკა მასწავლებელთათვის აუცილებელი თვალსაჩინოეთ, საჭირო მასალებითა და პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური ლიტერატურით;

ზ) განხორციელოს სისტემატური კონტროლი ზემდგომი ორგანოების დადგენილებებით, ინსტრუქციებით, განკარგულებებით და მითითებებით გათვალისწინებულ დავალებათა დროული და დადგენილი წესების მიხედვით შესრულებაზე.

2. ცაგერის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა და სასწავლო-აღმზრდელი პირობებით დარგში მათმა მოადგილეებმა:



ა) ქმედითი ღონისძიებანი გაატარონ სახალხო განათლების IX ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების განსახორციელებლად და სკკპ XXV ყრილობის ღიზსეული შეხვედრისათვის. ამ მიზნით განუზრებლად შეასრულონ სკკპ ცკ-ისა და სსრ კავშირის მინისტრთა სააქის დადგენილთა სოფლის სკოლეს მუშაობის პირობების გაუმჯობესების შესახებ, მიიღონ მათზე დამოკიდებული ყველა ზომა სასწავლო-მატერიალური და ტექნიკური ბაზით სკოლების განსამტკიცებლად;

ბ) მკვეთრად გააუმჯობესონ შინასაკოლო კონტროლი და ხელმძღვანელოთ მასწავლებელთა მუშაობაზე: კვალიფიციური ანალიზი გაუკეთონ ყოველი მასწავლებლის მოსმენილ გაკვეთილს, გულდასმით განიხილონ ისინი და მისცენ მას დამაჯერებელი, საქმის ცოდნით მოფიჭული რეკომენდაციე ი; ამ მიზნით წინასწარ, გულმოდგინედ მოემზადონ გაკვეთილის მისამენად, ბოლო მიუღონ გაკვეთილებზე ფორმალურად, უნაყოფოდ დასწრეს მავნე პრაქტიკას;

გ) მიიღონ ზომეი გაკვეთილზე სწავლეს ტექნიკური საშუალებების გამყენე ის დასამკვიდრებლად. ამ მიზნით სისტემატურად იზოუნონ მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და საერთო პედაგოგიური კულტურის დონის ასამაღლებლად; პერიოდულად დაესწრონ საგნობრივ მეთოდგაერთიანებათა სხდომეს და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მის მუშაობაში;

დ) აამაღლონ სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობის როლი კომუნისტური საზოგადოეს აქტიური მმენელის, მაოქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული, ყოველმხრივ განვითარებული ახალგაზრდოის ფორმირების საქმეში.

3. ცაგერის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებე მა მიიღონ ზომეი თავიანთი იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიკურ-მეთოდიკური დონის ასამაღლებლად, დაეუფლონ სწავლეს ის თანამედროვე ხერხეს; დახერგონ სწავლებაში თვალსაჩინოება, ტექნიკური საშუალებაი და მიადწონ საგნის შესწავლით მოსწავლეს ახალგაზრდოის მეტ დინტერესებას.

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა სააქის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტს, ცაგერის რაიონის იმ ძალაღმთიანი სოფლეს სკოლესათვის, რომელთა მენაბეი ავარიულია და სამანქანო გზებიც არა აქვთ საშუენელო მასალების მისაზიდად, გამოყოს ორი ორთახიანი ფნეი სახლი მომავალი 1976 წლისათვის.

5. განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ გადასწავროს საჭირო თვალსაზრისითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით ცაგერის რაიონის სოფლის სკოლებისსადმი დახმარება.

6. ცაგერის რაიონის განათლების განყოფილებამ:

ა) გადასინჯოს სკოლებისა და თვით განათლების განყოფილების აპარატის მუშაკთა შემადგენლობა და პირველი შესაძლებლობისთანავე გაატაროს საჭირო ცვლილებანი იმ ანგარიშით, რომ სკოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყოს მათემატიკური ან საბუნებისმეტყველო ციკლის რამელიძე სავნის სპეციალისტი, განათლების განყოფილების მუშაკებად კი შეირჩენ სხვადასხვა სპეციალობის პირები;

ბ) ორგანიზაციული ჯომები მიიღოს სკოლების იმ მუშაკთა მიმართ, რომელთა მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის შეფასებული განათლების სამინისტროს ბრიგადის მოხსენებით ბარათში;

გ) ეს ბრძანება და განათლების სამინისტროს ბრიგადის მოხსენებითი ბარათი, სათანადო ღონისძიებათა გატარების მიზნით, განიხილოს განათლების განყოფილების სახალხო განათლების საბჭოსა და რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოების სადომებზე;

დ) მომავალ 1976 წლის 21 იანვრამდე მოახსენოს განათლების სამინისტროს ამ ბრძანების შესასრულებლად გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.

7. განათლების სამინისტროს სახალხო განათლების ინსპექციამ განახორციელოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე,

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის 1-ლი აგვისტოს კოლეგიის დადგენილება.

მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის
ამხ. თ. ლაშქარაშვილს

მოსხენებითი ბარათი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის
გადაწყვეტილებათა შექმნე ცაგერის რაიონის სოფლის ზოგადსაგან-
მანათლებლო სკოლებში სახალხო განათლების დარგში IX ხუთწლიანი
გეგით დაახლოებით ამოცანების შესრულების მიმდინარეობის
შესწავლის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადამ, სკოლე-
ბის საქართველოს უფროსის ძიადგილის ს. დვალის (ხელმძღვანელი),
სამინისტროს სასკოლო ინსპექტორების ნ. გიორგობიანის, თ. მელქა-
ძის, თ. ხურცილავას, სამინისტროს სტატისტიკური განყოფილე-
ის უფროსის ი. უგულავას, შუამთავარი პოლიტექნიკური და სწავლეაში
ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების რესპუბლიკური მეთოდკანტის
მეთოდისტების დ. გოგასძის, ს. დვალიშვილისა და ლ. ჯანიაშვილის,
მასწავლებელთა დახელოვნების თბილისის საქალაქო ინსტიტუტის
მემკვიდრის ა. კვასხვაძის, განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახე-
ლოვნების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის მეთოდისტების შ. ჩხეი-
ძის, ს. ჯინჯიფიაძისა და ნოზი ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგუ-
რის დირექტორის მთადგილის ალ. რამაზაშვილის შემადგენლობით,
შეისწავლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა შექმნე ცაგერის რაიონის სოფლის
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სახალხო განათლების დარგში
IX ხუთწლიანი გეგმით ამოცანების შესრულების მიმდინარეობა,

ბრიგადის მეთაობაში მონაწილეობდა და გეოგრაფიის სწავლე-
ბის მდგომარეობა შეისწავლა განათლების განყოფილების მეთოდკან-
ტის ფილმობტის გამგე ლ. ლაცუროიანმა.



საკითხის შესწავლით გამოირკვა, რომ სახალხო განათლების წინაშე დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანების განსახორციელებლად ცავერის რაიონის განათლების განყოფილება, მისი მეთოდური კაბინეტი და სკოლების პედაგოგიური კოლექტივები გარკვეულ მუშაობას ეწევიან: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის პირობების გაუმჯობესების, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების, საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების, სწავლა-აღზრდის პროცესის შემდგომი სრულყოფის ამოცანების განხორციელებისათვის ზრუნვა აღნიშნულ რაიონში ნამდვილად დამსახურებული ყურადღებით სარგებლობს, თუმცა არის ნაკლოვანებანი, ხარვეზები, რომლებიც, არაიშვიათად, შეპირობებულია შესრულების შემოწმების კონტროლის არასაკმაოდონით.

ზოფლის სკოლების მუშაობის პირობების შესახებ

რაიონში გატარდა ღონისძიებანი სკოლის შესახებ სკკპ ცკ ისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უკანასკნელი დროის (1966 წ. 10 ნოემბრის, 1972 წლის 20 ივნისის, 1973 წლის 2 ივლისის) დადგენილებების, სახალხო განათლების საფუძვლების შესახებ კანონის, IX ხუთწლიანი გეგმით სახალხო განათლების წინაშე დასახული ამოცანების პედაგოგიური კოლექტივებისათვის გასაცნობად და შესასრულებლად.

გარკვეული ნაბიჯები იქნა გადადგმული სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცება-გამდიდრებისათვის: გასულ 1974 წელს დამატარდა ლასურიაშისა და ოყურეშის საშუალო სკოლების ტიპური შენობები, ქვედა ცავერის 8-წლიან სკოლას მიუშეიდა ოთხი საკლასო ოთახი, სოფელ ზუბში აშენდა მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი; კაპიტალური რემონტი გაუკეთდა აღბანის, ცავერის, ცხუკუშერის, ლაილაშის, ზუბის საშუალო, დეხვირის, ორბეცის, ჩქემის, ზოგიშისა და მახაშის რვაწლიან და სხვა სკოლებს. წელს დაიწყება ჩხუტელის საშუალო და ღუბჯანის რვაწლიანი სკოლების მშენებლობა.

რაიონში მუშაობს ორი სასკოლო ინტერნატი და 19 ვახანგრძლივებული ჯგუფი.

გასულ, 1974 წელს რაიონის სკოლებში მიიღეს 40 ათასი მანეთის საერთო ღირებულების რბილი და მავარი ინვენტარი. კაბინეტ-ლაბორატორიები შეიკო 20 ათასი მანეთის ღირებულების ხელსაწყო-



იარაღებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებითა და დაზგა-დანადგარებით.

საშეფო ორგანიზაციებმა — თბილისის სახ. უნივერსიტეტმა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტმა რაიონის სკოლებს გადასცეს 10 ათასი მანეთის საერთო ღირებულების ხელსაწყო-იარაღები ფიზიკის კაბინეტების მოსაწყობად.

ამ დახმარებამ ერთგვარად შეუწყო ხელი ქ. ცაგერის საშუალო სკოლას — გადასულიყო სწავლების კაბინეტურ სისტემაზე.

თითქმის ყველა სკოლას (გამონაკლისია მხოლოდ ცაგერის საშ. სკოლა) აქვს სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი.

ბევრ სოფლის სკოლაში შეიქმნა ან გაფართოვდა არსებული სასწავლო სახელოსნოები, შეივსო საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და მასალებით.

გარკვეული ღონისძიებანი ხორციელდება მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად: რაიონში ჩასული მასწავლებლები უზრუნველყოფილნი არიან უფასო ბინათ, გათბობითა და განათებით. ბინათმშენებლობისა და სამეურნეო მოწყობისათვის ოთხ მასწავლებელს მიეცა სესხი, მიეყიდა მსუბუქი ავტომანქანები, ორ მასწავლებელს გადაეცადა ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევა.

მაგრამ, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ცაგერის რაიონის სოფლის სკოლების მუშაობის პირობების გასაუმჯობესებლად ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

სოფლის სკოლების შენობათა ერთი ნაწილი აგარიულ მდგომარეობაშია: ასე მაგალითად, სოფელ ისუნდრის რეაწლიანი სკოლა ხის უბრალო, ფიცრულ შენობაშია მოთავსებული და თანაც აგარიულია. ასეთსავე მდგომარეობაშია მაღალმთიან სოფლებში განლაგებული ქულობაქის, ლარჩვალისა და ხოჯის დაწყებითი სკოლები. ამასთან, ამ სოფლებამდე არც სამანქანო გზებია და ამიტომ სამშენებლო მასალის მიზიდვაც შეუძლებელი ხდება. ასეთ ვითარებაში რაიონულმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ასეთი სოფლების სკოლები უზრუნველყო ხის ასაწყობი ფინური სახლებით, რამდენჯერმე დასვა კიდევ ეს საკითხი რესპუბლიკის სათანადო ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე, მაგრამ დღემდე მისი გადაჭრა არ მოხერხდა.

ამასთან, უნდა ითქვას, რომ ზოგ შემთხვევაში არასაკმარის ყურადღება ექცევა არსებული სასწავლო-მატერიალური ბაზის მოვლას და მის რაციონალურ გამოყენებას: ორბელის საშუალო სკოლაში

საჭირო ზომები არ არის მიღებული სანიტარულ-ჰიგიენური წესების დასაცავად, სკოლის ერთ-ერთი დაწყებითი კლასი მუშაობს ბნელ და ნესტიან ოთახში, რაც მენეა მოსწავლეთა ჯანმრთელობისათვის. ცაგერის რვაწლიან სკოლაში გახანგრძლივებული დღის ჯგუფის სასადილოდ ნათელი ოთახია შერჩეული, სამეცადინოდ კი — ნელებ.

მოუვარებელია გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეებთან მუშაობა: დღის მეორე ნახევარში მოსწავლეები დროს ისევ საკლასო ოთახებში ატარებენ, არა აქვთ სათამაშოები: შაში, ქადრაკი, ბურთი, საქერწი და სახატაეი მასალა.

ჯერ კიდევ არასაკმარა ყურადღება ექცევა სკოლების ბუფეტების მუშაობას: არ მზადდება ცხელი სადილები, ხშირად მოსწავლეებს მხოლოდ ფუნთუშით და პავიდლოთი კვებავენ.

სასკოლო ბიბლიოთეკები ღარიბია მოსწავლეთათვის საჭირო ლიტერატურით. არა აქვთ თვით ქართველ კლასიკოსთა გამოცემების სრული კომპლექტები, აუცილებელი პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური და საცნობარო ლიტერატურა; აღვის, რვაწლიანი სკოლის (დირექტორი ი. ხეცურიანი) ბიბლიოთეკას რუსულ-ქართული ლექსიკონიც კი არ აღმოაჩნდა.

რაიონში არასაკმარა მუშაობა ტარდება სწავლების კაბინეტურ სისტემაზე სკოლების გადასყვანად. ერთადერთი სკოლა, სადაც ამ მხრივ, დამკმაყოფილებელი მუშაობა ტარდება, არის სანშალო სკოლა (დირექტორი ს. კობალიანი). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სკოლების ერთცვლიან მეცადინეობაზე გადაყვანა გარკვეულად უშლის ხელს ამ ამოცანის განხორციელებას. რაიონის ზოგ სკოლას აქვს ტიპური სასკოლო შენობა, მუშაობს ერთ ცელაში და არ იღებს საჭირო ზომებს სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლისათვის.

რაიონში მოუვარებელია ავტოტრანსპორტით ბინიდან სკოლაში და სკოლიდან ბინამდე მოსწავლეთა გადაყვანა.

სკოლები უზრუნველყოფილნი არ არიან პედაგოგიური კადრებით. დიდი რაოდენობით აკლიათ რუსული ენისა და ლიტერატურის მათემატიკის, ფიზიკისა და უცხოური ენების მასწავლებლები. გასულ წელს რაიონში დანიშნული 20 მასწავლებლიდან აღვიღზე გამოცხადდა და მუშაობას შეუდგა მხოლოდ 11. ამგვარი მდგომარეობის გამო რაიონის სკოლაში მასწავლებლად მუშაობს ზოგი ამისათვის შეუფერებელი პირი.

საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელებისა
და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების
მდგომარეობის შესახებ

ცაგერის რაიონის განათლების განყოფილებას და ზოგადსაგან-
მანათლებლო სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებს გარკვეული და-
დებითი შედეგები აქვთ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი
სწავლების კანონის განხორციელებისა და საყოველთაო საშუალო
განათლებაზე გადასვლის დამთავრების საქმეში.

სახალხო მეურნეობის გეგმით, 1974—75 სასწავლო წელს რაი-
ონის სკოლებში სწავლებაში უნდა ჩაბმულიყო 4460 მოსწავლე,
ფაქტიურად სწავლობს 4469, ე. ი. გეგმა 100,3%-ით შესრულდა.
მავრამ ამ, ერთი შეხედვით, დამაკმაყოფილებელ საერთო რაიონულ
მაჩვენებელს მიღმა შეინიშნება ჩრდილოვანი მხარეც: საქმე ის არის,
რომ ასეთი შედეგი მიღებულია IX—X კლასების კონტინგენტის გეგ-
მის გადაჭარბების ხარჯზე (აქ გეგმა ითვალისწინებდა 737 მოსწავ-
ლეს, ფაქტიურად იყო 784). რაიონში არ შესრულდა 0—VIII კლა-
სების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა: ნაცვლად გათვალისწინებული
3723 მოსწავლისა, სწავლებაში ჩაბმულია 3685 მოსწავლე, ე. ი.
99,0%.

კიდევ უფრო უარესი სურათია ჩხუტელის საშუალო სკოლაში
(დირექტორი ჯ. მიქაძე), სადაც, იმის გამო, რომ არ შესრულდა
IX—X კლასების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა (იგი შეადგენს
მხოლოდ 83,6%-ს), სკოლის კონტინგენტის გეგმა, საერთოდ, შეს-
რულდა 97%“ით. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა ცაგერის საშუა-
ლო სკოლაშიც.

რაიონის ზოგ სკოლაში ძალიან დაბალია 1966 წელს პირველ
კლასში ჩარიცხულ ბავშვთა დამამთავრებელ კლასამდე შენარჩუ-
ნების პროცენტი. ასე მაგალითად, ზოგიშის რვაწლიანი სკოლის
1-ლ კლასში 1966 წელს ჩარიცხული 13 მოსწავლიდან დროულად
დამამთავრა რვა კლასი მხოლოდ რვა მოსწავლემ, ანუ 62,3%-მა.
3 მოსწავლე ამჟამად VII კლასში სწავლობს, 2 კი სხვა სკოლაში
გადავიდა; იმავე წელს ბარდნაღის საშუალო სკოლაში 1-ელ კლასში
ჩარიცხული 20 მოსწავლიდან რვა კლასი დროულად დამამთავრა
15-მა, 5 მოსწავლე კი ამჟამად სწავლობს VIII კლასში და ა. შ.

ანალოგიური მდგომარეობაა 1967 წელს 1-ელ კლასში ჩარიცხულ კონტინგენტთან მუშაობის საქმეშიც; ასე მაგალითად, 1967 წელს ჩხუჭელის საშ. სკოლის 1-ელ კლასში ჩაირიცხა 27 მოსწავლე, მათგან წელს VIII კლასში სწავლობს 12 მოსწავლე, ე. ი. 44,4 %; აღნიშნული კონტინგენტიდან ამჟამად VI და VII კლასებში ირიცხება 10 მოსწავლე, ე. ი. 37,0 %, 5 მოსწავლე კი გადასულია სხვა სკოლებში.

შედარებით უკეთესი სურათია რვაკლასდამთავრებულ მოსწავლეთა სწავლებაში ჩაბმის საქმეში; რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რვა კლასი გასულ, 1974 წელს დაამთავრა 483-მა მოსწავლემ, მათგან ამავე ტიპის სკოლის IX კლასში აგრძელებს სწავლას 418, სპეციალურ საშუალო სასწავლებლებშია 26, პროფტექნიკურ სასწავლებლებში კი სწავლობს — 39.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა დასაქმების დარგში რაიონში ასეთი სურათია: გასულ წელს საშ. სკოლა დაამთავრა 268 მოსწავლემ, მათგან უმაღლეს სასწავლებლებში აგრძელებს სწავლას 11, პროფტექნიკური განათლების სისტემის სკოლებშია 48, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგშია დასაქმებული 203, არსად არ მუშაობს და არც სწავლობს 6 კურსდამთავრებული.

რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებსა და განათლების განყოფილებას მართებთ, მომავალში მკვეთრად გააძლიერონ მუშაობა ზემოხსენებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სასკოლო მუშაობის დაგეგმვა

რაიონის სკოლებში საჭირო ყურადღება ექცევა სასკოლო მუშაობის დაგეგმვას: სკოლის წლიურ, პედაგოგიური საბჭოს, კლასის ხელმძღვანელთა, ბიბლიოთეკების, აგრეთვე მასწავლებელთა ყოველდღიური და სხვა სახის გეგმები საქმის ცოდნითა და მათდამი ინტერესით არის შედგენილი.

ამ მხრივ, და საერთოდაც, გამოირჩევიან ცაგერის საშ. სკოლა (დირექტორი ს. კობალიანი), ქვედა ცაგერის რვაწლიანი (დირექტორი პ. ცვარიანი) და ზოგი სხვა სკოლა. მათ წლიურ სამუშაო გეგმებში დამაკმაყოფილებლად არის შერჩეული სკოლებაში სასწავლო-აღმზრდელობითი და საფინანსო-სამეურნეო ხასიათის მნიშვნელოვანი საკითხები და საჭირო კონტროლი ზორციელდება მათი შესრულების მი-



მდინარეობაზე. დაწყებითი კლასების მასწავლებლების, ნ. ჩიქოვანის, ნ. ჩაკვეტაძის, ნ. ახვლედიანის, ჟ. ჩაკვეტაძის (ცაგერის საშ. სკოლა), პ. ფრუიძის (აღბანის საშ. სკოლა), ლ. ებრაღძის (ზოგვის 8-წლიანი სკოლა), ლ. ვარდაუზაძისა და თ. ცხვედიანის (ცაგერის დაწყებითი სკოლა) სამუშაო გეგმებიდან ჩანს, რომ ისინი გულმოდგინედ ემზადებიან არა მარტო ახსნიით კითხვის მაღალ დონეზე ჩასატარებლად, არამედ მტკიცედ განსაზღვრავენ დამოუკიდებელი მუშაობით მოსწავლეთა მიზნობრივ დატვირთვასაც.

მაგრამ, ამასთან, სასკოლო მუშაობის დაგეგმვაში ვხვდებით არსებითი ხასიათის არაერთ ნაკლსაც: ზოგ შემთხვევაში სკოლის წლიურ სამუშაო გეგმეს წამძღვარებული აქვს „შესავალი“, რომელშიც, საერთოდ, მოკლედ უნდა იყოს ნაჩვენები გასული წლის მუშაობის აე-კარგი, ზოგჯერ მათში ვერ შეხვდებით ლონისძიებებს მიმდინარე ხუაწლედი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წინაშე დასახული ამოცანების—საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და სწავლა-აღზრდის პროცესის სრულყოფის განსახორციელებლად.

აღბანის საშუალო სკოლის (დირექტორი დ. ხვადაგიანი) წლიურ სამუშაო გეგმაში არაფერია ნათქვამი ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით მუშაობის სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლისა და ბევრ სხვა სადღესო აქტუალურ საკითხებზე, გეგმა სასწავლო წლის მანძილზე არც ერთი საგნის სწავლების მდგომარეობის შემოწმებას არ ითვალისწინებს. ანალოგიურია ჩატუტელის (დირექტორი ჯ. მიქაძე) საშ. სკოლის წლიური სამუშაო გეგმაც.

გეგმაში არაიშვიათად გვხვდება ენობრივად არასწორი ფრაზები, სტილისტურად გაუმართავი, თანაც, შინაარსით საცილიაღერი, ადვილე-ი. ორაელის საშ. სკოლის წლიურ სამუშაო გეგმაში იკითხება (მოგვაქვს სიტყვა-სიტყვით): „ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მუშაობის საფუძვლად დაედება აგრეთვე სსრ კავშირის მერვე მოწვევის მეექვსე სესიის მიერ მიღებული კანონი ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

იმევე გეგმაში შეტანილია საკითხი—დახმარების გაწევა ახლგაზრდა მასწავლებლებზე, მაგრამ, კერძოდ, განსაზღვრული არ არის, კონკრეტულად რა სახის დახმარებაზეა ლაპარაკი და სხვ. ერთი სიტყვით, სკოლების წლიური სამუშაო გეგმების გაცნობისას, კითხვა



ზბადება: ნუთუ ეს, მართლაც, პედაგოგიური კოლექტივის ერთიანი განჯის, განხილვის შედეგად მიღებული სასკოლო დოკუმენტია?

ნაკლოვანებაში 'შეიძინება სკოლის პედაგოგიური საბჭოების მუშაობის დაგეგმვაშიც: უსახელოს ოვაწლიანი სკოლის პედაგოგის გეგმაში, რომელიც, საერთოდ, ცუდად ოდნავ შედგენილი, შეტანილია ისეთი საკითხები, რომლებიც ან შედის მის ფუნქციებში. ასეთებია, მაგალითად, „საათის განაწილების პროექტის გახილვა-დამტკიცება“ და „სკოლის შინაგანაწესის გახილვა“. ამასთან, ხშირია შემთხვევები, როცა პედაგოგის სხდომა იხილავს გეგმათა გაუთვალისწინებელ საკითხებს. ამასთან, ისეთ საკითხებსაც, რომელთა ცალკე გახილვა, ყოველ შემთხვევაში, მოცემულ სხდომაზე, საჭირო არ არის: სასწავლო წლის ცალკეული მეოთხედებისა და სასწავლო წელში ჩატარებული მუშაობის შედეგებზე სხდომაზე ხშირად იხილება ისეთი საკითხები, რომელთაც თავისთავად შეიცავს, გულისხმობს აღნიშნული ანგარიშები.

გადა ამისა, უნდა ითქვას, რომ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, როგორც მისი სქემებიდან ჩანს, არ ხდება აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა: განხილულ საკითხებზე ან საერთოდ არაფერს გამოდის, ან კამათში მონაწილეობს პედაგოგის ერთ-ორი წევრი.

ზოგჯერ, პედაგოგიური საბჭოების მუშაობის დაგეგმვისას, ყურადღება არ ექცევა ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების მიმდინარეობის შემოწმებას და მის გახილვას. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, ალპანის საშუალო (დირექტორი დ. ხვადაგანი) და ზოგ სხვა სკოლაშიც. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ბრძანებით რესპუბლიკის სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკისა და ბიოლოგიის სწავლების მდგომარეობისა და მათი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ან სოულის არ არის, ან ზეოველდ არის განხილული.

ჩვენ მიერ შესწავლილ სკოლებში არასაკმარის ყურადღება ექცევა მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას. მუშაობის ასე გაგონებება არ შეიძლება. 1975 წელი განსაკუთრებულად მნიშვნელობის წელია საბჭოთა სკოლის ცხოვრებაში: იგი მეცხრე ხუთწლიან უკანასკნელი, დამამაგრიებელი წელია. ამიტომ, შესრულების შემოწმების კონტროლის საკითხი, რომ დგება დღის წესრიგში, სრულიად ბუნებრივია, საჭიროა ვუპასუხოთ კითხვებზე: რა უნდა გაგვეკეთებინა,



რა გავაკეთეთ, რა დაგვჩნა დღემდე ვალად და რა უნდა ვიღონოთ იმ დავალებათა შესასრულებლად, რომლებიც გვჩნება განუხორციელებელი.

ამჟამად, როცა მხოლოდ რამდენიმე თვეა რჩება IX ხუთწლიანი გეგმით დასახული მიზნისაკენ ბრძოლის გზაზე ამ განსერში უნდა განვიხილოთ ყოველი სკოლის საქმიანობის დავეგვიკის, შესრულების კონტროლისა და სხვ. საკითხები. მკაცრად, ძიურიდებლად, მაგრამ ობიექტურად შევავფასოთ გაწეული მუშაობის ყველა შედეგი და დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებანი სახალხო განათლების დარგში სკკბ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, IX ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ისტორიულ, საეტაპო მიზანდასახულებათა შესასრულებლად.

ბუნებრივია, ამ სიმაღლიდან უნდა განვიხილოთ სასკოლო მუშაობის განმსაზღვრელი სხვა გეგმებიც. ამგვარი საფუძვლზე ით უნდა ვიხელმძღვანელოთ მომავალი წლის მუშაობის დავეგვიკის დროსაც, წლისა, როდესაც ჩატარდება სკკბ XXV ყრილობა და შედეგა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის ხუთწლეულის, ხარისხის ხუთწლეულის გრანდიოზული გეგმები.

მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობისა და შინასასკოლო კონტროლის ზოგი საკითხის გასწავლა

როგორც ცნობილია, ჩვენი დროის მეცნიერებისა და ტექნიკის გასაოცარმა ხანტომისებურმა განვითარებამ ბუნებრივად, შესაძლოა, აღამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად, შეაპირობა სასკოლო პროგრამების გართულება. მასწავლის ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობანი კი თითქმის იგივე დაოხა.

ამგვარ ვითარებაში სწავლების ახალი მეთოდებისა და ხერხების, მისი შინაარსის შესაფერისი ფორმების გამონახვა პირველი რიგის ამოცანად იქცა. ასე რომ, ერთი მხრივ, სწავლა-აღზრდის ტრადიციული გზებია და საშუალებების გაღრმავება-განმტკიცება, რათა ისინი კვლავ წაომტებთ ასოულენდნენ თავიანთ მოვლეთაას, მეორე მხრივ, ახალი პირობების ძიება და პოვნა განდა ჩვენი დროის უბიოველესი პედაგოგიური საზოუნავი.

ამ თვალსაზრისით იხილავს დღეს სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლის საკითხს ფართო პედაგოგიური საზოგადოებრიობა.

მართლაც, ამ სისტემისათვისაც შეუძლებელი იქნება—იტვიტოს ყველა სატვიტოს წაშლის როლი, მაგრამ მისი დანერგვის დადებითი შედეგები ახლა უკვე ეჭვს აღარ იწვევს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ცაგერის რაიონის სკოლებში?

რაიონში მხოლოდ ცაგერის 1-ლი სკოლაა გადასული სწავლების კაბინეტურ სისტემაზე. სხვა სკოლაში მიღებულია მრავალი სხვადასხვა სახის ტექნიკური საშუალება, მაგრამ ისინი ზოგჯერ გამოუყენებლად არის შენახული, ვტყობა, ეს იმიტომაც ხდება, რომ ყველა მასწავლებელმა როდი იცის მათი გამოყენება. ამჟამად, მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის ერთ-ერთი უპირველესი საზოგადოებრივი, სწორედ, ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესწავლა უნდა იყოს. კარგი იქნებოდა, თუ ამ მიზნითაც ცაგერის საშუალო სკოლაში ჩატარებოდა სარაიონო ღია გაკვეთილები სხვადასხვა საგანში ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მაგრამ, ამასთან, საჭიროა, რჩევა მიეცეს ყველა სკოლას, ან სკოლების გარკვეულ ჯგუფს, ვთქვათ მშობლიური ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ფიზიკის, ქიმიისა და სხვა საგნების მასწავლებლებს კვირის რომელიმე დღე ყველას თავისუფალი ჰქონდეს, რათა შეძლონ სარაიონო ღია გაკვეთილებზე დასწრება.

აღსანიშნავია, რომ სოფლის დაწყებით, რეწლიან და ზოგ მცირეკონტინგენტთან საშუალო სკოლაშიც კი არ არის ხელსაყრელი პირობები მეთოდური მუშაობის გასაშულებლად ან მასწავლებელთა სიმცირის, ან მათი დაბალი კვალიფიკაციის გამო. ასეთ ვითარებაში სასურველია ცალკეული საგნების სასკოლოთაშორისო მეთოდგაერთიანებათა შექმნა ცენტრალურ საშუალო სკოლებთან.

ამ მხრივ, რაიონის მეთოდურმა კაბინეტმა საჭირო ღონისძიებები უნდა განახორციელოს.

მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი ის არის, რომ არარაციონალურად ზეგვდება ეს საქმიანობა, წაკითხული მოხსენებებიდან არ ჩანს, რა პედაგოგიურ-მეთოდურ ლიტერატურას იყენებს ავტორი, როგორია მისი დამოკიდებულება მათდამი და რაში მდგომარეობს ის წვლილი, რომელიც მას შეაქვს საკუთარი პრაქტიკულ-შემოქმედებითი მუშაობით არჩეული თემის დამუშავებაში.

ნაკლოვანებანი მეთოდურ მუშაობაში იმიტაც არის შეპირობებული, რომ სკოლებში არადაამაკმაყოფილებლად ხორციელდება შინასკოლო კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე. სკოლების დი-

რექტორებისა და სასწავლო-აღმზრდევლობითი მუშაობის დარგში მათი მოადგილეების მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები დაბალ დონეზეა შესრულებული და არ იძლევა გაკვეთილის—სკოლაში სასწავლო-აღმზრდევლობითი მუშაობის ამ ძირითადი ფორმის სრულყოფილ სურათს,

სასწავლო-აღმზრდევლობითი მუშაობის დარგში ბარდნალის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილის კ. ბენიძის მიერ დაწერილ მასწავლებელთა გაკვეთილების ანალიზებში არა ჩანს, როგორ იმალღებს მასწავლებელი კვალიფიკაციას, როგორ მუშაობს ახალი პროგრამებით, როგორ იყენებს სწავლების ტექნიკურ საშუალებებს... არაფერია ნათქვამი მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონის მიზეზებზე და ა. შ.

ზოგიერთი მასწავლებლის მუშაობის ხარვეზები, საგნის სწავლების დაბალი დონე, რომელზედაც ქვემოთ მოვახსენებთ, მნიშვნელოვანწილად შეპირობებულია, სწორედ, შინასასკოლო კონტროლის შესუსტებითაც.

ამ გარემოებითვე აიხსნება, რომ:

—მასწავლებელთა ერთი ნაწილი უბასუხისმგებლოდ ეკიდება თავის საპატიო მოვალეობას, არ ემზადება გაკვეთილისათვის, არ იმალღებს კვალიფიკაციას და საგანს კვლავ ძველი მეთოდებითა და ხერხებით ასწავლის.

სკოლებში დარღვეულია ფაკულტატიური მეცადინეობის პრინციპი: პარალელურ კლასებში ფაკულტატიური მეცადინეობა სხვადასხვა საგანში ტარდება, სწავლებაში ჩაბმულია მთელი კლასი, ეს მუშაობა ატარებს დამატებითი გაკვეთილის ხასიათს და გამოიყენება, როგორც მასწავლებლის სასწავლო დატვირთვის გაზრდის საშუალება.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანია კლასის ხელმძღვანელთა მუშაობაში. კლასის კოლექტივთან ცოცხალი, პრაქტიკული, შემოქმედებითი საქმიანობა შეცვლილია დუნე, მოსაწყენი, ტრაფარეტული ხასიათის ღონისძიებებით და სხვ.

სკოლებში შინასასკოლო კონტროლის დონის ამალღება საქართველოს კომპარტის ცკ-ის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამის დონემდე ცავრის რაიონის განათლების განყოფილების, მისი მეთოდური კაბინეტისა და სკოლების ხელმძღვანელთა უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს.

მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის ამოცანის განსახორციელებლად ცაგერის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დამაკმაყოფილებლად იყენებენ სხვადასხვა სახის წრეს და აღზრდელობითი მუშაობის მრავალგვარ ფორმასა და მეთოდს.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს ზოგი სკოლის საგნობრივი წრე. შინაარსიან მუშაობას ატარებს ცაგერის საშუალო სკოლის ლიტერატურის წრე (ხელმძღვანელი თ. დოლააა).

რაიონის სკოლებში გარკვეული ყურადღება ექცევა მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდას რეველუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე. ჩვენს მიერ შესწავლილ თითქმის ყველა სკოლას აქვს სტენდები — „რეველუციის ჯარისკაცები“, „ისინი ჩვენი ბედნიერებისათვის იბრძოდნენ“, „დიდება შრომას“...

სკოლებში მუშაობენ ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბები, რომლებიც შინაარსიან მუშაობას ატარებენ. ცაგერის საშუალო სკოლის პინერ-მოსწავლეებს მეგობრობილი კავშირი აქვთ დამყარებული ლატვიის სსრ-ა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორი ქალაქის საშუალო სკოლების მოსწავლეებთან. მოსწავლეებმა ამანათები გაუგზავნეს ბამის მშენებლებს, რომელთაც მათ მადლობის ბარათები გამოუგზავნეს და ა. შ. ასეთსავე ღონისძიებებს ახორციელებს ქვედა ცაგერის მწლიანი და რაიონის ზოგი სხვა სკოლაც.

მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის მიზნით ეწყობა შეხვედრები ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებთან, მათ შორის იმართება საურბო საინტერესო თემებზე, ეწყობა ლექციები და სხვ.

ე. წ. ძნელად აღსაზრდელ მოსწავლეებთან მუშაობისათვის გამოყოფილია საზოგადოებრივი აღზრდელები, რომელთა მუშაობის ანგარიშს სხვადასხვა დროს ისმენს რაისაბჭოს აღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეის კომისია.

ბავშვის აღზრდის აქტუალურ საკითხებზე მშობელოა შორის ეწყობა ლექციები თემებზე: „დედის როლი გოგონას ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაში“, „მამის პასუხისმგებლობა შვილის აღზრდაში“ და ა. შ.

მიზანსწრაფული ღონისძიებანი ხორციელდება მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და შრომითი აღზრდისათვის.

ალბანის საშუალო სკოლაში შექმნილია ერთიანი საწარმოო ბრიგადა 53 მოსწავლეთ (4 რგოლით) მათგან ერთ-ერთი რგოლი დასაქმებული იყო მეაბრეშუშეობაში; მისი შრომის შედეგი ასეთია: 25 გრამი მურიდან მიიღო 75 კგ აბრეშუმის მაღალხარისხიანი პარკი. მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადა სრულყოფილადაა გაფორმებული (გვემა შედგენილი აქვს დებულების მიხედვით). ბრიგადებსა და რგოლებს შორის გაშლილია სოცმეჯიბრი.

დამაკმაყოფილებლად მოწყობილი მიწის ნაკვეთი აქვს ზოგიშის რეაწლიან სკოლას. იგი დაყოფილია განყოფილებებად—ვენახი, ბოსტანი, ბაღი. გაკეთებულია დანაყოფები, კვლები, რაზედაც ტარდება პრაქტიკული მუშაობა. ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურას აქ აქვს სათანადო ეტიკეტი — უწერია—რა კულტურაა და როდის არის დარგული თუ დათესილი.

ნაკვეთზე ტარდება ცდა: სასუქის გავლენა მოსავლიანობაზე, მაგრამ არასრულყოფილად.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს ქვედა ცაგერის რეაწლიანი სკოლის შრომითი სწავლეის მასწავლებელი, ბიოლოგი ლ. ქარსელაძე. შემოწმების დღეს მე-5 კლასში მან ახსნა „ნიადაგის ვაფხვიერების მნიშვნელობა, მცენარეთა გამარგვლა“. თეორიული მასალის გადაცემის შემდეგ ცალკეულ რგოლებს მისცა მითითება, თუ როგორ გაეფხვიერებინათ ნიადაგი პრაქტიკულად და როგორ მოეცილებინათ სარეველები, საერთოდ, და, კერძოდ, მათ წინ მდებარე ნაკვეთზე. მან მოსწავლეს აჩვენა პარაზიტი მცენარე (საკარანტინო) აბრეშუმა, რომელიც გავრცელებულიყო ვაზონებში. აჩვენა მცენარის დაუზიანებლად მისი მოცილეის ხერხები; მოსწავლეებმა შემდეგ თვითონვე შეასრულეს ეს სამუშაო, მაგრამ, ნაკვეთის სიმცირის გამო, ყველა არ იქნა დასაქმებული.

ლამაზად გამოიყურება სკოლის ეზო. აქ განსაკუთრებით ჩვენი ყურადღება მიიბრუნო იმან, რომ სკოლას დაუმყარებია საქმიანი კავშირი წყალტუბოს რაიონის სოფ. მეჭვენის რეაწლიან სკოლასთან, ჰომლის ტყე-პარკი, დენდრარიუმში მთელ რესპუბლიკაში გახდა ცნობილი, და მისგან გამოგზავნილი მრავალფეროვანი ვარდებით დაუმშვენებია სკოლის ეზო.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ შრომითი აღზრდის მასწავლებლები შ. ჯაფარიძე და მ. კობალიანი (ცაგერის საშ. სკოლა).

VIII კლასში, შემოწმების დღეს, შ. კობლიანს გაკვეთილის თემად ჰქონდა: „გლექტრი საცი ფაცსიჯრეზო მიწყობილოზის აპარატების გამიყენება იჯესში“. მსწავლენელმა, გაკვეთილის თეორიული ნაწილის დამთავრების შემდეგ, დაიწყო პრაქტიკული მუშაობა. მას გაკვეთილზე ჰქონდა მტვერსასრუტი, იატაკის საპრიალებელი და მაგიდის ვენტილატორი. ვააცნო მათი დანიშნულება, მნიშვნელობა და ყველა მისწავლეში აღძრა საჭირო ინტერესი და ჩააბა ისინი მუშაობაში. მისწავლენელმა შეისწავლეს ეს გლექტრული საოჯახო ნივთები.

მისაბაძია ამ სკოლის მისწავლეთა საწარმოო ბრიგადის მუშაობაც, რომელიც VII—X კლასების 144 მოსწავლეს აერთიანებს. მან გასულ, 1974 წელს საქართველოს ალკკ ცკ-ის სიგელი დაიმსახურა, გარდა ამისა, დაჯილდოვდა ბრიგადის სამი წევრი.

ბრიგადის მუშაობას ასახავს სავსე გაზეთები და ბიულეტენები, სახელწოდებით—„ელვა“, „დიდება შრი.მას“, „ახალგაზრდული რომანტიკა“ („ექსკურსია ნიკორწმინდაში“). „ვადიდებთ შრომას, „ვეუმღერით შრომას“, „სწავლა ფრიადზე“, და სხვ.

რაიონის სკოლაში კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორთა შორის გამოირჩევა ცაგერის საშ. სკოლის ორგანიზატორი ე. კანაჩაძე. ენერგიულად მუშაობს, აგრეთვე, ალპანის საშ. სკოლის ორგანიზატორი ზ. ფრუიძე.

მაგრამ, ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა შორის საწრეო მუშაობაში, მათ პროფესიულ ორიენტაციასა და შრომით აღზრდაში ყველაფერი რიგზე არ არის.

ამ დებულების დასადასტურებლად საკმარისია რამდენიმე ფაქტის დასახელებაც კი:

—სკოლების ერთ ნაწილთან ჯერ კიდევ არ არის შექმნილი სასკოლო-სატყეო;

—ზოგ სკოლასთან დღემდე არ არსებობს ნორჩ ნატურალისტთა წრე;

—წრეებისა და სასკოლო-სატყეოების ნაწილი არაღამაკმაყოფილებლად მუშაობს;

—შეინიშნება თეორიული საკითხებით წრეების გატაცების ტენდენცია და სხვ.

ნაკლოვანებებს აქვს ადგილი ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების საქმეშიც.



დაწყებითი კლასები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ცაგერის რაიონის დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ერთი ნაწილი კეთილსინდისიერი, თავდადებული შრომით აღწევს სასურველ შედეგებს მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში. სწავლების ახალი მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით მათი მოსწავლეები გაკვეთილზე ითვისებენ ახალ მასალას. ამ მასწავლებელთა ხელში სასწავლო შრომა. სწავლების პროცესი მოსწავლეთა სახალისო საქმედ იქცა.

აღიშნული მასწავლებლები დამაკმაყოფილებლად არიან დაუფლებულნი თვალსაჩინო მასალებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ტექნიკას და სწავლებას მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და პროფესიულ დონეზე წარმართავენ.

მასწავლებლები იცავენ წერის სახეესა და რაოდენობას ქართულ ენასა და მათემატიკაში. წერის კარგ ნიშნებს აძლევენ მოსწავლეებს, თანმიმდევრულად ასწორებენ ყოველი სანის ნაწერს და ბავშვებსაც ავარჯიშებენ დაშვებული შეცდომების გასწორებაზე.

აღბანის საშუალო, ზოგიშის რვაწლიან და ცაგერის დაწყებით სკოლებში რამდენიმე (ორ, სამ) კლასთან ერთდროულად მიმუშავე მასწავლებლები პ. ფრუიძე, ლ. ერბელიძე, ლ. გარდაფხაძე და თ. ცუარიანი შემოქმედებითად იყენებენ დახელოვნების კურსებზე მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას. მათ დღიურ გეგმეში აშკარად ჩანს, რომ ისინი წინასწარ სერიოზულად ემზადებიან არა მარტო ახსნითი კითხვის ნაყოფიერად ჩატარებისათვის, არამედ თითოეულ აკადემიურ საათში მაწაფეთა დასატვირთავადაც მიზნობრივი დამოუკიდებელი სამუშაოებით. დაწყვილებული კლასების თითოეული მოწაფე აკადემიური საათის განსაზღვრულ მონაკვეთში დატვირთული ჰყავთ ან მასწავლებელთან უშუალო მეცადინეობით, ან პროგრამულ-მიზნობრივი დამოუკიდებელი სამუშაოებით, ისინი, დროის რაციონალურად გამოყენების მიზნით დამოუკიდებლად შესასრულებელ სამუშაოებს წინასწარ (ამა თუ იმ გაკვეთილის დაწყებამდე) ათავსებენ შესაფერისი დახაზულობის დაფებზე. მოკლე დროში ახერხებენ საჭირო განმარტებების მიცემას და ამით მოწაფეებს უადვილებენ, შეკნებულად და სწორად შესასრულონ ყოველი დამოუკიდებელი სამუშაო.

დასახელებული მასწავლებლები კარგად არიან დაუფლებული ორ და სამ კლასთან ერთდროულად მუშაობის ძირითად პედაგოგიურ

პრინციპებსა და ორგანიზაციულ-მეთოდურ საკითხებს. დამოუკიდებელი მუშაობისათვის გამოყოფილ დროში მოწაფეებს ასრულებინებენ სერიოზულ პროგრამულ საკითხებს, როგორცაა: წერის ნორმებით გათვალისწინებული წერითი სამუშაოები ქართულ ენაში, რუსულ ენასა და მათემატიკაში, აწვდიან ენობრივ-გრამატიკულ სავარჯიშოებს და სხვ. ამასთანავე, ზოგჯერ მოწაფეებს იმასაც ავალბენ, რომ ჩუმი კითხვით აქვე (ამავე გაკვეთილზე) დაისწავლონ ახლად ახსნილი მასალები. ყოველი სახის დამოუკიდებელ სამუშაოს ჩატარებას განსაზღვრულ ნიშანს უსახავენ: თითოეულმა მოწაფემ სერიოზული და ბევრთი დამოუკიდებელი მუშაობით შეივსოს ის ხარვეზები, რაც ჩვეულებრივად ახლავს ნაჩქარევად ჩატარებულ ახსნით კითხვას. მოწაფეები გრძნობენ პასუხისმგებლობას, აქვთ გამოიმუშავებული დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევე. ასეთ შედეგებს მასწავლებლები აღწევენ საშინაო და საკლასო დამოუკიდებელი ნამუშევრების თანმიმდევრული შემოწმებით.

ბეჯითად მუშაობს ქვედა ცაგერის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელი თ. ხეცურიანი. იგი მუშაობს ერთდროულად ორ კლასთან (I—III კლასები), რადგან მისთვის კლასკომპლექტთან მუშაობის სპეციფიკაზე პედაგოგიურ ინსტიტუტშიაც არავფრთხილდნენ და არც სამისო დახელოვნების კურსები გაუვლია, უძნელდება ორ კლასთან ერთდროულად მუშაობა. გასაგებია, რომ მას კიდევ მეტად ვაძნელდება სამ კლასთან ერთდროული მუშაობა. მასწავლებელი ოლია ხეცურიანი საჭიროებს აკადემიურ კონსულტაციას კლასკომპლექტთან მუშაობის ძირითად პედაგოგიურ პრინციპებსა და ორგანიზაციულ-მეთოდურ საკითხებზე.

მაგრამ, ამასთან, შემოწმებით დადასტურდა, რომ ზოგ მასწავლებელს სერიოზული ნაკლოვანებებიც აქვს მუშაობაში.

სოფ. უსანგლოს 8-წლიან სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლებს არც პირობები აქვთ შექმნილი და არც თვითონ იწყებენ თავს მუშაობით.

მასწ. ნ. ბერიძე (საშუალო პედაგოგიური განათლების) ერთდროულად ასწავლის ორ კლასს (I—III). მან სრულიად უუნაყოფოდ ჩაატარა I კლასში ქათული ენისა და მე-3 კლასში მათემატიკის გაკვეთილი. პირველ კლასს დაავალა, წიგნიდან გადაეწერათ მცირე მოცულობის ტექსტი. ბავშვებმა რამდენიმე წუთში შეასრულეს ეს დავალება და შემდეგ უსაქმოდ იყვნენ. ამავე დროს, III კლასს მიეცა აგრეთვე მცირე დავალება: დაფაზე გამოწერით დაწერეთ III და



რიცხვების ჯამის K რიცხვზე განყოფი და გამოაკლეთ ეს განყოფი, როცა: $m=180$ -ს, $n=38$ -ს და $K=8$ -ს.

შემდეგ, ცალკეულ მოწაფეებს აწერინა და კომენტარებით გამოაყვანინა დაფაზე მაგალითები და სხვებს დაავალა იგივეს გადაწერა.

პირველ კლასს მოუბრუნდა და აკითხა ტექსტი „კურკა“, „მელია და მწყერჩიტა“, ბავშვები ვერ კითხულობდნენ, აკადემიური საათიდან ბევრი დრო გაუცდათ პირველკლასელებსაც და მესამეკლასელებსაც. ასეთი მუშაობის შედეგია მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენაც.

აკადემიური საათის დასრულებისას მასწავლებელმა გამოაცხადა:

I კლასიდან ვუწერა:

ნატოს—„5“-ს,
ნიდარს—„4“-ს
გივის—„3“-ს

III კლასიდან:

თინას—„5“-ს
ეთერს—„4“-ს
ვანოს—„3“-ს.

მოსწავლეებს ეს შეფასებანი არ დაუმსახურებიათ, მასწ. ნ. ბერიძე არაა დაუფლებული კლასკომპლექტზე თან მუშაობის სპეციფიკას.

მასწავლებელმა თ. ხეცურიანმა (საშუალო პედაგოგიური განათლებით) დამაკმყოფილებლად ჩაატარა ზეპირი ვარჯიში მათემატიკაში, წერითი სამუშაო კი—ნაკლებ ნაყოფიერად. წერითი მუშაობისათვის ერთ მიწაფეს დააწერინა რიცხვისათვის რიცხვის მიმატება:

$$\begin{array}{r} 185 \\ + \\ 267 \\ \hline 452 \end{array}$$

კლასი კი განუცხადა: „თქვენ კი, ბავშვებო, ჩაწერთ რვეულებში იმას, რასაც დაწერს ერთი თქვენგანი დაფაზე: მასწავლებლის კომენტარე ით ცალკეული მოწაფე ხედა დაფაზე მაგალითებსა და ამოცანებს, გამოყავდა და ხსნიდა. კლასის სხვა მოსწავლეები მექანიკურად, გაუცნობიერებლად იწერდნენ მზამზარეულს დაფიდან. მოწაფეთა გონებობის შემოქმედებითა მუშაობას ადვილი არა ჰქონია.

მოწაფეთა „დამოუკიდებელი მუშაობა“ მასწავლებელმა მცირე სავარჯიშოების მიწოდებით ჩაატარა; $5 \cdot x = 75$; $x \cdot 7 = 84$; $6 \cdot x = 86$. ასეთი მუშაობით II კლასის მოწაფეები მათემატიკაში



პროგრამულ მასალას ვერ დაეუფლებიან. ცოდნის შემოწმებით და დასტურდა, რომ მათ მკვიდრი ცოდნა არ გააჩნიათ.

ცნობილია, რომ უკანასკნელ ხანებში სოფლის სკოლებში, განსაკუთრებით მაღალმთიანი სოფლის სკოლებში მომრავლდა მცირე-კონტინგენტიანი კლას-კომპლექტები, რაც საჭიროს ხდის, შევისწავლოთ მათთან მუშაობის მეთოდთა, რომ კვალიფიციური დახმარება გავუწიოთ მათთან მომუშავე მასწავლებლებს. ეს საკითხი, მით უმეტეს დგება დღის წესრიგში, რომ მიუხედავად სკოლების გამსხვილებისა, სოფლის რვაწლიან და საშუალო სკოლებშიც კი გვაქვს დღემდე, და, როგორც ჩანს, ისინი კიდევ დიდხანს დარჩებიან, კლას-კომპლექტები: ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, ახლა არაიშვიათად კლასკომპლექტში სამი კლასი გზერთიანდა, რამაც კიდევ უფრო გაართულა ისედაც საკმაოდ გაართულებული საქმე. ასეა ეს ცაგერის რაიონშიც, როგორც ერთ-ერთ ტიპურ მაღალმთიან რაიონში.

ასე, რომ რაიონის განათლების განყოფილებამ, მისმა მეთოდურმა კაბინეტმა და სკოლების ხელმძღვანელებმა ენერგიული მუშაობა უნდა გასწიონ დაწყებითი კლასების საქმიანობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

ქართული ენა და ლიტერატურა

რაიონის სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მუშაობაში შეინიშნება ერთგვარი პროგრესი. მასწავლებელთა ერთი ნაწილი, სერიოზულად, თანმიმდევრობით და ყოველდღიურად იმალღებს კვალიფიკაციას, ამ საგნების სწავლებაში ნერგავს სიახლეს, იზიარებს მოწინავე გამოცდილებას, საგნის სწავლებაში იყენებს თვალსაჩინოებასა და ტექნიკურ საშუალებას, რის შედეგადაც იმალღებს გაკვეთილის ეფექტურობას.

მოსწავლეთა წიგნიერების, წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის ამაღლებაში რაიონის შესწავლილი სკოლების მასწავლებლები და უკეთესი მაჩვენებლებით თავი გამოიჩინეს თ. დოლბაიამ და ე. კანაჩაძემ, მ. ყურაშვილმა, ლ. ლარცულიანმა, ე. ჩაკვეტაძემ (ცაგერის საშ. სკოლა), თ. ჩაჩხიანმა (ორბელის საშ. სკოლა).

აღნიშნული მასწავლებლები აკადემიურადაც მომზადებულნი და მეთოდურად საკმაოდ დახელოვნებულნი არიან, ყოველდღიურად ემზადებიან გაკვეთილებისათვის, არ ჩამორჩებიან დროს და გაკვეთი-

ლებსაც შედარებით მაღალ დონეზე ატარებენ. გაკვეთილის პროცესში იყენებენ თვალსაჩინოებას. ტექნიკურ საშუალებებს და სხვა საჭირო დიდაქტიკურ მასალას.

ცავერის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება გადაყანილია კაბინეტურ სისტემაზე, სამისოდ გამოყოფილია 3 კლას კაბინეტი, რომლებიც მოწყობილია სათანადო ტექნიკური დანადგარებითა და აპარატურით, კაბინეტის კედლები გაფორმებულია სურათებით, პლაკატებით, სქემებით და სხვა დიდაქტიკური მასალით. კაბინეტს სჭირდება შეესება და დვამ-ავეჯის/ვანახლება.

ზემოთ დასახელებული მსწავლებლები საგანს მთელი მონდომებით ასწავლიან. მშობლიურ ენაში გაკვეთილებს ატარებენ ენობრივ პრაქტიკასთან შეთანხმებით და, გრამატიკული წესების გაზეზირების ნაცვლად, ყურადღება გამახვილებული აქვთ სწორმეტყველებისა და მართლწერის ჩევის დანერგვაზე. ლიტერატურის გაკვეთილებზე მნიშნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ტექსტების უშუალოდ შესწავლას, დამოუკიდებელი კრიტიკული აზროვნებისა და მსჯელობის ჩევის გამომუშავებას. მხატვრული ნაწარმოებები ისწავლებს სპეციფიკურ-დამახასიათებელი მხარეების გათვლისწინებით; ბავშვები შეგნებულად ერკვეიან მხატვრული ლიტერატურის გვარებსა და ეანრებში, სახეებსა და სისტემებში, მიმდინარეობასა და მხატვრულ ხერხებში.

მხატვრული ლიტერატურის სწავლებას დასახელებული მასწავლებლები მიხერხებულად იყენებენ მოსწავლეებში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ფორმირებისათვის.

მე-9 კლასში მასწავლებელმა თ. დოლბაიამ ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ შესწავლა ორგანულად და ბუნებრივად დაუკავშირა სამამულო ომის პერიოდს და მოსწავლეთა აქტივობის წინ წამოწევით პოემის მთავარი პერსონაჟები: კვირსა, ლელა, სანათა და სხვ. შეუფარდა ომში დაღუბულ გმირთა დედებს, ჯარისკაცებს, რომლებიც სიცოცხლეს განწირვით აფეოქებდნენ ტანკებს, ბლინდაჟებს და ვზს უხსნიდნენ საბჭოთა მეომრებს, კომკავშირელ ქალიშვილებს—ზოია კოსმედემი, ნსკიას, ზოია რუხაძეს და სხვებს, რომლებიც ეწირებოდნენ უმაღლეს მიზნებს—ვაშიზმზე გამარჯვებას. სხვა მხატვრული ნაწარმოეების შესწავლასთან დაკავშირებით მოსწავლეთა სააღმზრდელო მიზნებს უკავშირებენ მასალას მასწავლებლები ზ. ზ. კანაჩაძე (ცავერი) და თ. ჩაჩხიანი (ორბელი).

ზემოთ დასახელებულს მასწავლებლების კლასებს იგრძნობა ზრუნვა მოსწავლეთა ზეპირი და წერიითი მეტყველების კულტურის და, საერთოდ, წიგნიერების ამაღლებისათვის.

საშინაო და საკონტროლო წერიითი ნამუშევრები მასწავლებლების მიერ სწორდება სისტემატურად და დროულად, დაცულია საკონტროლო წერის ნორმები, წერის დროს გამოყენებულია თემატური მრავალფეროვნება. ყურადღება ექცევა გამართული კალიგრაფიით წერას, ქართული წერის დედნის დაცვას, მოლიანად აღმოფხვრილია პლავიატი და ე. წ. „შპარვალკის“ გამოყენება; ბავშვები საკონტროლო და საშინაო წერით სამუშაოს ასრულებენ დამოუკიდებლად, უშუალოდ ტექსტებზე დაყრდნობით და კრიტიკული მასალის ზომიერად გამოყენებით.

მოწინავე მასწავლებლები გაკვეთილებზე ახერხებენ მოსწავლეთა მასობრივ დასაქმებას და დისციპლინაც ნორმალური და სანიმუშოა, უყურადღებობისათვის ბავშვებს დრო არ რჩებათ.

მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში სრული წესრიგია და არ შეინიშნება ლიბერალური გადახრები.

რაიონის შესწავლილ სკოლებში ყველა მასწავლებელი ზემოთ აღნიშნული პედაგოგების მსგავსად რაღაც მუშაობს. მასწავლებელთა ერთი ნაწილი აკადემიური მომზადებათაც არ დგას მოწოდების სიმაღლეზე; მაგ. ს. ჩხუტელის საშ. სკოლის მასწავლებელი სერგო ქარსელაძე გაკვეთილს მომზადებლად ატარებს და უშვებს მნიშვნელოვან აკადემიური ხასიათის შეცდომებს. მე-6 კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან ზმნის მართლწერის საკითხებში. ვერც მასწავლებელი ერკვევა, თუ რომელი ფორმაა სწორი—„დასთვალოს“ თუ „დათვალოს“. როცა მოსწავლეებს მასწავლებელმა გაარჩევინა ზმნა „ამიშენა“, პირველი „ა“ სუბიექტური პირის ნიშნად იქნა მიღებული მოსწავლეისა და მასწავლებლის მიერ, ხოლო „მი“—ზმნისწინად. დასახელებული ზმნის ფორმა კი ვნებიანი გვარის ზმნად. VII კლასში წინადადებაში: „კოდალა ხეს უკაკუნებს“. „უკაკუნებს“ ორპირიან ზმნად ჩათვალეს მოსწავლეებმა და მიიჩნიეს გარდაუვალ და გნებითი გვარის ზმნის ფორმად. წინადადებაში: „იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაბურდი, გახდი ყანაო“—ბუნქტუცია ვერ დააიცვეს სწორად, ხოლო ქვემდებარედ მიიჩნიეს „ჯეჯილო“; მაგრამ როცა გაირკვა, რომ ქვემდებარეს ქართულში მხოლოდ სამი ბრუნვა აქვს (სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი), მასწავლებელმა მოსწავლეებს უკარანაზ,

რომ გამონაკლის და ზოგიერთ შემთხვევაში წოდებით ბრუნვაშიც გვხვდება ქვემდებარე.

ასევე დაბალ დონეზე ატარებს ვაკვეთილებს ორბელის საშუალო სკოლის მასწავლებელი დოდო ბურჯანაძე. X კლასში მოსწავლეებს წარმოდგენა არა აქვთ სოციალისტურ რეალიზმზე, არ იციან, ვინ იყო მაქსიმ გორკი და როცა მასწავლებელმა ჩუმად შეახსენა კლასს, მოსწავლეებმა კარგად ვერ გაიგონეს და სოციალისტური რეალიზმის საფუძვლის ჩამყრელად გოეთე დაასახელეს. საერთოდ, ბავშვებს გოეთეს შესახებ არაფერი სმენიათ და გაუგონიათ. ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიდანაც“ ვერ გაიხსენეს, თუ რატომ და რა მიზნით ახსენებს მწერალი გოეთესა და ბაირონს. მოსწავლეებს, ასევე, წარმოდგენა არა აქვთ ლიტერატურის გვარებსა და ქანრებსზე. ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ ეპოსს, ლირიკას და დრამას, რომანსა და მოთხრობას, ტრაგედიასა და კომედიას; ასევე, წარმოდგენა არა აქვთ ბავშვებზე ს ძირითად მხატვრულ ხერხეზე, ვერ დაასახელეს ის მწერლები, რომლებიც მიმდინარე სასწ. წელს შეისწავლეს, არ ახსოვთ შესწავლილი ნაწარმოებების სათაურებიც კი, არ იციან საზეპირო ლექსი ი და ცალკეული სტროფები ზეპირად. მაგ., ვერც ერთმა ბავშვმა გ. ტაბიძის ვერც ერთი ლექსი ვერ აღადგინა ზეპირად.

ცუდი ტრადიცია დამკვიდრებული რაიონის სკოლებში წერითი სამუშაოების ჩატარების საქმეში: მასწავლებლები ს. ბურჯალიანი, დ. ბურჯანაძე (ორბელის საშ. სკოლა), ვლადიმერ ალავიძე (ალბანის საშ. სკოლა) და სხვები. მოსწავლეებს ჯერ აძლევენ საშინაო წერით დავალებას, ხოლო შემდეგ იმავე თემას აწერიან საკონტროლოდ. ფაქტიურად საკონტროლო წერითი მუშაობა წარმოდგენს სიტყვა-სიტყვით საშინაო და წერითი სამუშაოს განმეორებას, გადაწერას. ამგვარად, ოფიციალურად, ლეგალურად მოსწავლეთა ყოფაში დამკვიდრებულია ე. წ. „შპარგალით“ სარგებლობა, მასწავლებლები ამ სიმბახინჯესთან არამც თუ შერიგებულნი არიან, არამედ მიჩნიათ საკონტროლო წერის მისაღებ ფორმად. თუ სადამდე მიჰყავს ბავშვები ასეთ მდგომარეობას, გამოვლინდა მალიანად ორბელის საშ. სკოლის X კლასში ჩატარებული საკონტროლო წერის დროს (მასწ. ს. ბურჯალიანი). წერის პროცესში მოსწავლეები იწვრდნენ სახელმძღვანელოდან, საშინაო დავალებას რვეულებიდან, მაგრამ მასწავლებელი ამ მდგომარეობას ნორმალურად მიიჩნევდა და ერთხელაც ნიშნა არ მიუცია შენიშვნა ბავშვებისათვის.

მოსწავლეებს საწერად მიეცათ იგივე თემა (კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკრის“ გარჩევა), რომელიც უკანასკნელად აპრილის ბოლო რიცხვებში შეასრულეს. საკონტროლო სამუშაო შეასრულა 19 მოსწავლემ, ნამუშევრები გაასწორა მასწავლებელმა და, ლიბერალური შეფასების მიუხედავად, 7-მა მოსწავლემ მიიღო „2“-იანი 11-მა „3“ და 1-მა „4“-იანი, მაშინ, როცა ჩვეულებრივ საკონტროლო წერითი ნანუშევრებიდან მხოლოდ ერთ ბავშვს ჰქონდა მიღებული „2“-იანი. საერთოდ, ზემოთ დასახელებული მასწავლებლები ზერელედ ასწორებენ წერით ნამუშევრებს და ხშირია შემთხვევა, როცა მათ მიერ „გასწორებულ“ ნამუშევრებში შეუნიშნავად და გაუსწორებლად არის დატოვებული 13, 15, 25 სხვადასხვა სახის შეცდომა.

რაიონის შესწავლილი სკოლების მიხედვით ირკვევა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სასურველ დონეზე არ დვას. მასწავლებელთა ერთი ნაწილი ქართული ენის სწავლებაში ჯერ კიდევ ფორმალისმიერ ტყვეობაშია და დასახელებული საგნის სწავლება ნაკლებად ემსახურება მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ამაღლებას. ასევე, დაბალ დონეზე დვას ლიტერატურის სწავლება. მოსწავლეებმა სუსტად ან ზერელედ იციან შესწავლილი მხატვრული ტექსტები. ძნელად ერკვევიან მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკურ მხარეებში. ლიტერატურის სწავლება არასაკმარისად არის გამოყენებული საადმინისტრაციო მიზნებით.

დაბალია მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა. რაიონის სკოლების უმრავლესობაში დანერგილი „შპარგალკომანია“ უარყოფით გავლენას ახდენს როგორც, საერთოდ, მოსწავლეთა წიგნიერებაზე, ისე ზნეობრივ აღზრდაზე.

რუსული ენა და ლიტერატურა

რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების მიზნით ცაგერის რაიონში ტარდება გარკვეული ღონისძიებანი.

მიღებულია ზომები ამ საგნის კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით სკოლების უზრუნველსაყოფად.

იქმნება საჭირო პირობები თანამედროვეობის მოთხოვნათა მიხედვით საგნის სწავლების პირობების შესაქმნელად. რუსული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი აქვს ცაგერის საშუალო სკოლას, ორბელის, ჩხუტელის საშუალო სკოლას აქვს რუსული ენის კლას-კაბინეტი. მოწყობილია კლას-კაბინეტი ქვედა ცაგერის მ-წლიან სკოლაშიც.



რუსული ენის სწავლებას ამ სკოლაში სათანადო ყურადღება ექცევა პედაგოგების სწავლებებზე განხილულია საკითხი რუსული ენის სწავლე ის მდგომარეობის შესახებ, მ.სწავლებლებს მიეცათ სათანადო მითითებანი, სკოლის დირექტორებს და მათ მიაღვილე.ს სასწავლო-აღმზრდელიობითი მუშაოების დარგში მოსმენილი აქეთ 8, 10, 13 გაკვეთილი ამ საგანში.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი გულმოდგინედ მუშაობს საკუთარი პროფესიის სოფლებითსათვის და დადებით შედეგებსაც აღწევს. დამაკმაყოფილებლად ფლობენ საგანს და მისი სწავლების მეთოდებსაც. ლ. ხაბულიანი, ლ. დოლიძე (ცაგერის საშუალო სკოლა), მ. კობალიანი (ჩაუტელის საშ. სკოლა), დაწყებითი კლასების მასწავლებლები: ნ. ახვლედიანი (ცაგერის საშ. სკოლა), ლ. ფოფხაძე (ორბელის საშ. სკოლა), ვ. ხეცუოიანი (ალბანის საშ. სკოლა), ნ. ხეცურიანი (ზოგიშის 8-წლი.ნი სკოლა).

ცაგერის საშუალო სკოლის მასწავლებლებს ლ. ხაბულიანს და ლ. დოლიძეს უამოაკი თვინაქეთი გრამატიკული ტაბულა აქეთ დამზადებული არსებითი სახელის, ზმნის უღლების, რუსული ზმნიზების მარალწერის, თანდებულებისა და თავსაოთხის მართლწერის სწავლებისათვის და სხვ. წარმატებით იყენებს ლ. ხაბულიანი კინოაპარატს, აქვს 13 დასახელების ფილმები ვ. მაიაკოვსკის; მ. გორკის, ლ. ტოლსტოის, ი. ტუოგენევის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე და სხვა. კაინტში 62 დასახელების ფირფიტაა. მასწავლებელს აქვს აღრიცხული, თუ რომელ გაკვეთილზე, რომელ თემასთან დაკავშირებით რა თვალსაჩინოება ან ტექნიკურ საშუალება გამოიყენება. კაინტში ინახება ალაომები, ფ. ტოსტენდები, კედლის გაზეთები, მიძღვნილი სხვადასხვა საიუბილეო თარიღისიღმი. რუსული ენისა და ლიტერატურის წრის წევრებს მიმოწერა აქეთ ვ. ი. ლეხინის ძმის, შვილიშვილიშვილთან—ოლღა დიმიტოის ასულ ულიანოვასთან და მისგან მიღებული აქეთ საჩუქრად წიგნი წაოწოით: „ცაგერის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის წრის წევრებს“—ოლღა ულიანოვასაგან.

მასწავლებელ ლ. ხაბულიანს აქვს შემოდებული რვეული, რომელშიც აღრიცხავს, როდის და რომელი კლასის მასწავლებელს ჩაუტარა კონსულტაცია ან დამატებითი მეცადინეობა.

დაწყებითი კლასების მასწავლებლები ნ. ხეცურიანი, ვ. ხეცურიანი და ხ. ახვლედიანი მაქსიმალურად იყენებენ გაკვეთილებზე თვალსაჩინო მასალას, საკმაო ყურადღებას უთმობენ საუბარის ზეპირი მეტყვე-



ველებს განვითარების მიზნით. მოსწავლეებს შეუძლიათ სწორად პასუხი გასცენ ასეთ კითხვებზე: ვინ ხარ შენ? რა გვარი ხარ? რა გჭვია? რომელ კლასში, რომელ სკოლაში სწავლობ? შეუძლიათ აგრეთვე აღწერონ საკლასო ოთახი, ჩამოთვალონ სასწავლო ნივთები, დაასახელონ სულიერი და უსულო საგნები, ჩამოთვალონ შინაური ცხოველები, ფრინველები და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილი მასწავლებლები იცავენ წერის სახეებს, რაოდენობის და შეფასების ნორმებს. მოსწავლეების ერთი ნაწილი წერს კარგად და ლაძახად, მაგ. მოსწ. ლ. კობახიძე (ზოგიშის 8-წლიანი სკოლა).

მაგრამ მასწავლებლები ბ. ჩაკვეტაძე (ალბანის საშუალო სკოლა), ნ. ონიანი, ქობულაძე (ოთხელის საშ. სკოლა), გ. ქომეთიანი, დ. ლაოცულიანი (აარდნალის საშ. სკოლა), შ. მეოცხველაძე, გრ. ახვლედიანი (ჩხუტელის საშ. სკოლა) ასე როდი მუშაობენ. ჯერ ერთი, ისინი სრულყოფილადც ვერ ფლობენ რუსულ ენას, მათ მუშაობაში იგრძნობა გულგოილობა, მიეცნენ თვითდამშვიდებას, გულმოდგინედ არ ემზადებიან გაკვეთილგასათვის, სისტემატურად არ იმალდებიან თავიანთ იდეურ-პოლიტიკურ დონეს, არ სოულყოფენ პედაგოგიურ ოსტატობას, ნაკლებად კითხულობენ მეთოდურ ლიტერატურას, არ ცდილობენ, გამოიყენონ მუშაობაში ყველა ის სიხსნე, რაც ამ ბოლო წლებში დაინერგა სკოლაში: ტექნიკური საშუალებების გამოყენება, პოლიციური სწავლება, სწავლებისა და აღზრდის პოცივის ეთაობლიობა, საუარევი ზებირი მტყყველების განვითარების მიზნით (თუ ტარდება, ერთფეროვნად, პრიმიტულად, მოსწავლის გონეარვი მუშაობის დაძაავის გარეშე); ასე, მაგ.: ყველა მასწავლეელი ე. წ. 5-წუთიან ვასუბობას ატარეს ასეთი შინაარსის კითხვების საშუალებით:

1. რა რიცხვია დღეს?
2. კვირის რომელი დღეა?
3. რა გჭვია შენ? რა გვარი ხარ?
4. რომელ სკოლაში სწავლობ?
5. რომელ კლასში სწავლობ?
6. რომელ რაიონში ცხოვრობ და სხვა; ეს იმ დროს, როდესაც

კალენდარული განრიგით სულ სხვა თემებია სასაუბრო, მაგ., „საპირველმასო დღესასწაული“, „პიონერთა სასახლეში“, „სახლში“, „სა-



კოლმეურნეობაში“, „ყურძნის მოსავალი“, „შ. რუსთაველი—გენიალური ქართველი პოეტი“, „ველის გაზეთის გაფორმება“ და სხვ.

ყველა ზემოთ აღნიშნული მასწავლებელი ხელმძღვანელობს არასწორი მეთოდით: მოსწავლე კითხულობს და ყოველ წინადადებას თარგმნის ქართულად. ამასთან, თარგმნის სიტყვა-სიტყვით, სწორად, ე. ი. იცის ყოველი სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ მოსწავლეებს უჭირთ ნებისმიერი წინადადების დადგენა, სიტყვათა სწორი შეთანხმება წინადადებაში. ამიტომ აუცილებელია მოსწავლეებში უფრო მრავალფეროვანი ვახადონ ლექსიკური მუშაობა, ახსნან ესა თუ ის სიტყვა არამარტო თარგმანის არაქედ სინონიმებისა და ანტონიმების საშუალებით, გამომყენონ აგრეთვე თვალსაჩინოება.

მოსწავლეთა დიდი ნაწილი ვერ ამყვანებს რუსული ენის მინიმალურ ცოდნას, მხოლოდ ერთეულები იღებენ მონაწილეობას გაკვეთილის მსვლელობაში.

ცაგერის რაიონის ორბელის, ბარდნალის, ჩხუტელის საშუალო და ქვედა ცაგერის მ-წლიან სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეებში ლამაზად წერის უნარ-ჩვევათა დანერგვას. საერთო ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მოსწავლეებელთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ან სრულყოფილ არ ამოწმებს საშინაო დავალების რეველეს, ან, თუ ამოწმებს, ძალზე ზერევედ. მოსწავლეები არადაამაკმაყოფილებლად მუშაობენ ჩამორჩევილ მოსწავლეებთან: ასე, მაგ., აბოლხალის საშუალო სკოლის მოსწავლე-ელი დავით ლარცულიანი V კლასში ასწავლის 11 მოსწავლეს, აქედან 2 მოსწავლე ვერ ასწრეს, მოსწავლე-ელმა ამ ორ მოსწავლეს არც ერთხელ არ ჰკითხა, არ წააკითხა, არ დააწერინა, არ გამოიძახა იმ დროს, როდესაც მთელი გაკვეთილი ეკითხებოდა მოსწავლე ჩარკვიანს, კობალიანს და მახალიანს, რომელთაც შეოთხედური შეფასება აქვთ „5“. წინა დღით მოცემული საშინაო დავალება მოსწავლე-ელმა არ გამოიკითხა, არ შეამოწმა, საერთოდ, მოსწავლეთა საშინაო დავალებათა რეველესი სრულიად უყურადღებოდაა მიტოვებული.

მიუხედავად იმისა, რომ ვახათელის განყოფილების მიერ გარკვეული ზომებია მიღებული რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების გასაუმჯობესებლად, როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, დღემდე სასურველი შედეგები მაინც არ არის.

უცხოური (გერმანული) ენა

ცაგერის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ერთგვარო დადებითი მუშაობა ტარდება უცხოური ენის სწავლების საქმეში

გარკვეულ წარმატებათა მოსაპოვებლად. აქაც უკეთ გამოიყურება ცაგეის საშუალო სკოლა.

ეს სკოლა სწავლე-ის კაბინეტურ სისტემაზეა გადასული და გერმანული ენის ორი კაბინეტი აქვს მოწყობილი. თვალსაჩინოეა, ძირითადად, თვითნაკეთია.

ამ სკოლის მასწავლებელი ნ. ლეთოდინი გერმანული ენას დამაკმაყოფილებლად ფლოს, იცნოს სწავლე-ის თანამედროვე ხერხე-სა და მეთოდებს, ცდილობს გაკვეთილი უცხოურ ენაზე ჩაატაროს და აქტიუოდ ააამს კლასს მუშაობაში. VII კლასის მოსწავლეებს ესმით მასწავლებლის საუბარი და გამართულად ასუბოზენ მის ძიერ დასძულ კითხვებზე. მასწავლებელმა მუშაობის პოოცესში მიზანსწო-ფულად გამოიყენა ძავნიტოფ.ხი, მინასმინა კლასს კარგი გეომე-ხული ენით ჩაწერილი გაკვეთილი, შემდეგ—გაზაფხულისადმი მიძლ-ვნილი ლექსი დეკლარაციით და ძესიკია. კლასმა იმღერა იგი მავნი-ტოფოხის აკომპანიმენტით. მოსწავლეებს სიტყვათა საკმარ მარავი აქვთ, მავრამ თემატურ საუბარში მას ვერ იყენებენ.

დამაკმაყოფილებელი იყო მასწავლებლის გაკვეთილი მე-10 კლასშიც. მოსწავლეებმა დამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამყვანეს, მავრამ, სასუოველია, მასწავლებელი ახალ გაკვეთილს უცხოურ ენაზე ხსნიდეს სხინიძესის, ანტონიძეისა და პერიფოაზიოების დანძოეით.

ასევე, დამაკმაყოფილებლად მუშაობს მასწავლებელი მ. ჩიქოვანიც (დამავრებული აქვს ქუთაისის პედინსტიტუტი 1951 წელს); ის გაკვეთილებს ცოცხლად ატარებს, აქტიუოდ ააამს კლასს მუშაობაში, იყიებს თვალსაჩინოეას, მავრამ, ეტყობა, მასწავლებელი მთელი მი-ნდოძეით არ მუშაობს თავისი თეორიული დოხის ასამაღლებლად, რის შედეგადაც ის ნაკლებ ყურადღეას აქცევს მოსწავლეებისა და მის მიერ დამკვეთულ შეცდომებს და გაკვეთილს მეტწილად ქართულ ენაზე ატარებს. მასწავლებელმა უფრო მოფიქოეულად უნდა გამოი-ყენოს სწავლე-ის თანამედროვე ხერხები და მეთოდები, კეოძოდ, მეთი ყურადღეა მიაქციოს არსებული სიტყვათა მარავის სიტუაცი-ებში გამოყენებას და თვით ნაკლებ აქტიუი იყოს გაკვეთილზე.

მასწავლებელი ი. ხედაგიანი (დამავრებული აქვს ქუთაისის პედინსტიტუტი 1968 წელს) დამაკმაყოფილებლად ფლოს გერმა-ნულ ენას და გაკვეთილს ძირითადად ამ ენაზე ატარებს, მოს-წავლეები შეჩვეულები არიან ამას, ესმით მასწავლებლის საუბარი, გა-

მართლად ებმებიან მასში და ბასუბონენ მასწავლებლისა და თავიანთი ამხანაგების მიერ დასმულ კითხვებზე. მაგრამ, ამასთან, მასწავლებელი ნაკლება ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების გასწორებას და ზემოთი მეტყველების განსამტკიცებლად არ იყენებს სიტუაციებს.

ზემოხსენებულ მასწავლებელთა ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ კლასებში მოსწავლეების ცოდნის დონე თანაბარი არ არის და გაკვეთლის მკვლელობის სკლასში მხოლოდ 5-6 მოსწავლე აქტიურია. სამივე მასწავლებელი ასწორებს საშინაო დავალებს რვეულებს. საკონტროლო წერის ნორმები შესრულებულია, მაგრამ წერის სახეები არ არის დაცული. საკონტროლო თემებად, ძირითადად, წიგნიდან არის მიცემული სავარჯიშოები და გასწორებისას გაბარულია შეცდომები.

მასწავლებლები მეტი გულისყურით უნდა მოეკიდონ თვითნაკეთი ცხრილების, ტაბულებისა და სხვა თვალსაჩინოების დამზადებას, რათა მომავალშიც არ დაუშვან მათში შეცდომები.

გერმანული ენა არაღამაკმაყოფილებლად ისწავლება ალბანის საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ნ. წულუკიძე). იგი ცუდად ფლობს ენას, მეტყველებაში უშვებს უხეშ შეცდომებს, არ აქცევს ყურადღებას სწორობას გამოთქმებასა და ე. წ. უმლაუთებს, სიტყვების მკდარი მახვილებით გამოთქმას, თვით მასწავლეაღმა არ იცის კითხვის წესები. იგი, დაწყვილებულ თანამოგონებს, იმის მაგივრად, რომ ერთ მოკლე ბგერად გამოთქვას, ცალ-ცალკე კითხულობს, რაც უხეში შეცდომაა. მასწავლებელი თვით ბასუბონის თავის მიერვე დასმულ კითხვებზე, ასევე თვით კითხულობს ახალსა თუ განვლილ მასალას, მისი ასეთი გადამეტებული აქტივობის ბრალია, რომ არც მე-8 და არც მე-5 კლასში მოსწავლეთა უმრავლესობამ კითხვა არ იცის. მასწავლელს არც ერთ გაკვეთილზე არ გამოუყენებია თვალსაჩინოება, ის ძველი, კითხვისა და თარგმნის მეთოდით ასწავლის, რის შედეგადაც დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე.

მასწავლებელს აქვს თვითნაკეთი თვალსაჩინო მასალა, მაგრამ მათში ძალიან ბევრი შეცდომაა გაბარული და თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს.

საკონტროლო წერის რაოდენობა შესრულებულია, მაგრამ სწორად არ არის შერჩეული წერის სახეები. ყველა კლასში ერთი და

იგივე სახის წერა ტარდება. რვეულების გასწორებისას გაპარულია შეცდომები, მოსწავლეებმა არ იციან ზოგიერთი ასოს მოხაზულობა.

სოფელ ორბელის საშუალო სკოლაში გერმანულ ენას ერთი მასწავლებელი—ნ. სოფრომაძე (დამაავრებულ რ აქვს ქუთაისის პედინსტიტუტი 1956 წ.) ასწავლის.

მასწავლებელი ნ. სოფრომაძე არ მუშაობს თავისი თეორიული ცოდნის დინის ასამაღლებლად, მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად და განსასტკიცებლად, რის შედეგადაც მოსწავლეები X კლასში ზებირად, მექანიკურად ყვედან გაკვეთილის შინაარსს ისე, რომ არ ესმოთ ცალკეული სიტყვის მნიშვნელობა, დამოუკიდებლად ვერ აზრდობენ უცხოურ ენაზე, დაბალია მათი წერისა და კითხვის კულტურა და საერთო მომზადების დონე. ასევე, თეორიულად და მეთოდურად დაბალ დონეზე წარმართა მან გაკვეთილი მე-5 კლასშიც. გაკვეთილის მსვლელობისას არ გამოიყენა თვალსაჩინოება, არ განამტკიცა ახალი მასალა. ყველა წინადადებას, რომელსაც ის გერმანულად წარმოთქვამდა, იქვე თარგმნიდა ქართულად, რადგანაც მოსწავლეებს მისი არ ესმოდათ. ამ კლასშიც მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია. მასწავლებელი არ ასწორებს საშინაო დავალებისა და სიტყვარების რვეულებს. საკონტროლო წერის ნორმები შესთულებულია, მაგრამ არ არის დაცული საკონტროლო წერის სახეები. მასწავლებელი მეთოდური თვალსაზრისით უმართებულოდ ასწორებს რვეულებს. მოსწავლეები არ მუშაობენ დაშვებულ შეცდომებზე.

სოფელ ლასტრიაშის საშუალო სკოლაში გერმანული ენა მხოლოდ 8-წლიანი სკოლის ფარგლებში ისწავლება. მას ასწავლის შ. ბენდელიანი, რომელსაც 2-წლიანი კურსები აქვს დამაავრებული.

მასწავლებელი გერმანულ ენას ათადაცკმყოფილად ფლობს, არის იცის უცხოური ენის სწავლების მეთოდები, აო მუშაობს მასწავლეთა ზებირმეტყველების განვითარებაზე, თვით საუბრისას საცემით გამოირიცხავს „უფლაუროებს“, არასწორად გამოთქვამს სიტყვებს და მხოლოდ კითხვისა და თარგმნის მეოდიით იფარგლება. გაკვეთილს ძირითადად ქართულ ენაზე ატარებს V კლასში, სადაც საფუძველი ეყრება სწორ კითხვას. მასწავლებელი არ აცნობს მოსწავლეთა კითხვის წესებს, რის გამოც ისინი უხეში შეცდომებით კითხულობენ. ასეთი სწავლების შედეგად მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია.

მოსწავლეთა საკონტროლო წერის რვეულებში გაპარულია შეცდომები. არის შემთხვევები, როდესაც მოსწავლე სწორად წერს, მას-

წავლებელი კი მას შეცდომით „ასწორებს“, ასეთ შემთხვევებს ვაწყ-
დებით ყველა კლასის რვეულში.

განათლების განყოფილებას მოუხდება საჭირო ორგანიზაციულ
ზომებში გაატაროს არაღამაკმაყოფილებლად მომუშავე პედაგოგთა
მიმართ.

მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ რაიონში გარკვეული ყურადღება
ექცევა მათემატიკის მასწავლებელთა კადრების შერჩევასა და სათანა-
ნადო კვალიფიკაციის მქონე პედაგოგებით სკოლების დაკომპლექტე-
ბას, მათემატიკის კაბინეტების შექმნასა და ამ კაბინეტების აღჭურვას
ტექნიკური საშუალებებითა და სხვადასხვა დიდაქტიკური მასალით,
ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული ახალი
პროგრამებით მომუშავე მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდური
დახელოვნებისათვის.

მათემატიკის სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური
ბაზის მიხედვით, შემოწმებულ სკოლებს შორის, ყველაზე უკეთესი
მდგომარეობაა ცაგერის საშუალო სკოლაში, სადაც ამ საგნის 4 კაბი-
ნეტში განლაგებულია ეზიდისკოპები, ფილმოსკოპები, კინოდანადგარი,
ტელევიზორი და სხვა. ეს კაბინეტები აღჭურვილია აკრეთვე დასაკვი
დაფეთა და სხვადასხვა სახის დიდაქტიკური ხელსაწყოებით.

მათემატიკის კაბინეტებით მოწყობისათვის გარკვეული ნაბიჯე-
ბია გადადგმული აგრეთვე ქვედა ცაგერისა და უსახელოს მ-წლიან
სკოლაში.

მათემატიკის დამაკმაყოფილებლად ასწავლიან: ნ. გურული
(ქვედა ცაგერის მ-წლიანი სკოლა), ვ. სანიკიძე (ალბანის საშ. სკოლა).

მაგრამ მათემატიკის სწავლებას რაიონის სკოლებში ჯერ კიდევ
სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს. პირველ რიგში ეს შეეხება
იმას, რომ სწავლებაში ტექნიკური საშუალებანი ძალზე ნელი ტემპით
ინერგება. ზოგ სკოლას (ძავალითად, ალბანის საშ. სკოლა) სრულებით
არა აქვს რაიმე ტექნიკური საშუალებანი მათემატიკის სწავლებისათ-
ვის, ხოლო შემოჭმებული სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობა
უხალისოდ ეკიდება არსებულ საშუალებათა გამოყენებას გაკვეთი-

ლებზე. ჩვენ მიერ რაიონში მოსმენილი ყველა გაკვეთილიდან მხოლოდ ნ. გურულმა (ქვ. ცაგერი) შეძლო მონერხებულად გამოეყენებინა კოდოსკოპი და ძენზულა მიწის ნაკვეთის ავეგმვის გაცნობისათვის.

მსობრივად შეიასწავლა მოსწავლეთა მიერ მათემატიკის ცალკეულ დებულეთა, გამოთქმათა და დამტკიცებათა დაზებიოებისადმი მიდრეკილეთა, განსაკუთრებით იმ კლასებში, რომლებიც ახალი პროგრამით მუშაობენ. მასწავლებლები კი არაერთარ ღონისძიებებს არ არ ატარებენ ამ მანე ტენდენციის წინააღმდეგ და თავიანთი მოქმედებით ზოგჯერ ხელსაც უწყობენ მის შემდგომ დანერგვასა და განმტკიცებას.

მასწავლებლები ვატრბიან ამოცანებსა და რაულ სავარჯიშო მასალაზე მუშაობას. მეათე კლასებში იშვიათად ხსნიან გეომეტრიული შინაარსის ამოცანებს ტრიგონომეტრიის გამოყენებით. არასაკმარისად მუშაობენ ტრიგონომეტრიულ განტოლებათა ამოხსნაზე.

მასწავლელთა შორის ფეიმოკიდებულია ლიანგალიზმი და თვალის ახვევის ჩვევები მოსწავლეთა ცოდხის შეფასების საკითხში. ამაზე ნათლად მეტყველეს ჩვენს მიერ ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგები, ამ წერის თემები იმის ანალოგიური ან პირდაპირი გამეორება იყო, რაზედაც მასწავლელ-ებს უყვე ჩატარებული ჰქონდათ საკონტროლო წეთები სკოლაში ჩვენს მისკლამდე. ძიებე-დავად ამისა, ამ წერების შედეგებს შორის არსებითი განსხვავებაა და ზოგჯერ იგი სერიოზულ დაფიქიებას მოიახივს.

უსახელოს 8-წლიანი სკოლის VI კლასში მასწავლებელ ნ. ა. გუგავას ა. წ. 13 მათეს ჩატარებია საკონტროლო წერა, სადაც 15 შეფასე ული მოსწავლიდან „5“ მიუღია 1 ავშეს, „4“—3-ს; „3“—9-ს და „2“—2-ს. იმავე თემაზე ჩვენს მიერ ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგად „2“ მიიღო 13-მა მოსწავლემ და „1“—2-მა.

ქვედა ცაგეოის 8-წლიანი სკოლის მასწავლელს თ. ა. ქარდავას ა. წ. 17 აპრილს VIII კლასში გეომეტრიაში ჩატარებული წერის შედეგად 18 შეფასეული ნამუშევრიდან „4“ დაუწეთია 2, „3“—12 და „2“ 4 ბავშვისათვის. იმავე თემაზე ჩვენს მიერ ჩატარებული წერის შედეგად 20 ბავშვიდან „2“ მიიღო 19-მა და „1“ ერთმა ბავშვმა.

შემოწმების დროს ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგები არადამაკმაყოფილელთა აგრეთვე: ალბანის (მასწ. უ. ხუციძე), ცაგერის (მასწ. ნ. ჩირგაძე), ბარდნალის (მასწ. ნ. კობალიანი) და ორაელის (მასწ. კ. ხეცუროიანი) საშუალო სკოლებში.



მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი მეტ-ნაკლებად ჩამორჩება პროგრამული მასალის გავლაში, ხოლო იმ კლასებში, სადაც ე. ხუციძე (ალბანის საშ. სკოლა) და თ. ქარდავა (ქვედა ცაგერის 8-წლიანი სკოლა) ასწავლიან, ეს ჩამორჩენა სავარძნობია გარკვეული დროის მანძილზე ამ მასწავლებლების ავადმყოფობის გამო.

მასწავლებლები: გ. ცხვედიანი (ცაგერის საშ. სკოლა), ნ. ვასვიანი (ქვემო ცაგერის 8-წლიანი სკოლა), ე. ხუციძე (ალბანის საშ. სკოლა) ვერ ახერხებენ გაკვეთილის პროცესში მთელი კლასის ერთდრულად ჩაზმას. ვადაჭარბებულად აქტივობენ თვითონ მოწინავე მოსწავლეთა ვიწრო ჯგუფთან ერთად, ხოლო კლასის უმრავლესობა უსაქმოდ უზიოთ.

გ. სანიკიძეს (ალბანის საშ. სკოლა), ნ. ვასვიანს (ქვე. ცაგერის 8-წლიანი სკოლა), გ. ცხვედიანს, მ. ახვლედიანს, დ. გორგასლიძეს (ცაგერის საშ. სკოლა) უძნელდებათ გაკვეთილის დროის დაგეგმვა და მისი რაციონალურად გამოყენება. საშინაო დავალებასა და გასამეორებელ მასალას ზარის შემდეგ, ნაჩქარევად კარნახობენ კლასს. გაკვეთილის პროცესში ვერ გამოყოფენ დროს დამოუკიდებელი სამუშაოს მიცემისა და მისი გაანალიზებისათვის.

მასწავლებელი ე. ხუციძე (ალბანის საშ. სკოლა) თვითონ ურევს ერომანეთში მათემატიკურ ტერმინებსა და გამოთქმებს. ორწევრის კვადრატის ნაცლად ხან ორი წევრის ჯამის კვადრატს ხმარობს და ხან ორი წევრის კვადრატების ჯ.მს. ამასთან. სრულიად ზედმეტად დახარჯავს დრო (ა—ბ)² სტანდარტული სახის მრავალწევრად გარდაქმნაზე, რაც სავარჯიშო მასალად უდა მისცემოდა კლასს.

ალბანისა და ცაგერის საშ. სკოლების მათემატიკის მასწავლებლები არ ასწორებენ მოსწავლეთა საკლასო-საშინაო ნამუშევრებს.

გ. სანიკიძე, ე. ხუციძე (ალბანის საშ. სკოლა), ნ. გუვაია (უსახელოს 8-წლიანი სკოლა) საკონტროლო ნამუშევრების გასწორებისას არ იცავენ ელემენტარულ წესს დაშვებულ შეცდომებზე სათანადო აღნიშვნების გაკეთებისა, ხელის მიწერისა და თარიღის დსმის შესახებ. ნ. გუვაიას მიერ გასწორებულ ნამუშევრებში ისეთ შეძახვევასაც ვხვდებით, როცა მოსწავლეებს ამოცანები ირასწორად აქვთ ამოხსნილი, მსწავლებელი არავითარ შენიშვნას არ აკეთებს ამაზე და ნამუშევრებს კი „5“-ზე აფასებს.

მათემატიკის სწავლებაში ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ზომების მიღება საშუაო საქმეა და იგი, რაც შეიძლება, მალე უნდა განხორციელდეს.

ცაგერის რაიონის შესწავლილი სკოლების ფიზიკის მასწავლებელთა შორის გამოირჩევა ცაგერის საშ. სკოლის მასწავლებელი ლ. ობოლაძე (დამთავრებული აქვს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი 1952 წელს. დასწრებული განყოფილება, სტაჟი 22 წელი, დახელოვნების კურსები გაიარა 1972 წელს ქუთაისში).

VI კლასში წინა მასალა—„მექანიზმის მარგი ქმედების კოეფიციენტი“ გამოკითხა ორ მოსწავლეს. მათ კარგად იცოდნენ წინა მასალა. მოსწავლეთა ფრინტალური გამოკითხვით გამოირკვა, რომ კლასი კარგადაა მომზადებული, იციან შესწავლილი მასალა და შესაბამისი ამოცანების ამოხსნა. მახწავლებელმა მოამზადა კლასი ახალ მასალაზე გადასასვლელად. ახალი მასალა—„ენ რგია“, „პოტენციური ენერჯია“ მოსწავლეთათვის გასაგები და დამაჯერებელი ენით გადასცა. წარმატებით გამოიყენა მასწავლეთა თვითნაკეთი ხელსაწყოები. ჩაატარა შესაბამისი ცდები, რითაც მოსწავლეთათვის მისაწვდომი გახდა გაკვეთილის მასალა. ცდების ჩატარებასა და შესაბამისი დასკვნების გაკეთებაში აქტიური მონაწილეობა მიიღებინა მოსწავლეებს. განამტკიცა ვადაცემული მასალა; გამოირკვა, რომ მოსწავლეებმა მასალა გაკვეთილზევე ათვისეს. მან კლასს ამოხსნევინა თემის შესაბამისი ამოცანა და სათანადო მითითების მიხედვით მისცა საშინაო დავალება როგორც თეორიული კურსიდან, ისე ამოცანებიდან, ასევე კარგად ჩაატარა გაკვეთილი VII კლასშიც. კლასის მომზადების დონე აქაც კარგია.

ენერგიულად, ნაყოფიერად მუშაობს აგრეთვე იმავე სკოლის ფიზიკის მასწავლებელი დოდო ალექსის ასული ნემსიწვევრიძე (დამთავრებული აქვს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დასწრეული განყოფილება 1952 წ. სტაჟი 22 წელი. დახელოვნების კურსები გაუვლია 1972 წელს ქუთაისში). ამასთან, იგი არის რაიონის ფიზიკის მასწავლებელთა მეთოდსემინარიის ხელმძღვანელი.

VIII კლასში წინა მასალა—„ენერჯიის გარდაქმნა და მინქანების გამოყენება“, „მარგი ქმედების კოეფიციენტი“ გამოკითხა 2 მოსწავლეს. შეამოწმა მოსწავლეთა მომზადების დონე და მოამზადა კლასი ახალი მასალის გადასაცემად. გამოირკვა, რომ მოსწავლეთა მომზადების დონე დამაკმაყოფილებელია. ახალი მასალა—„სხეულების შეჯა-



ხება* სათანადო ცდების გამოყენებით, გასაგებად ახსნა. გამოყო შთა-
ვარი. გააკეთა დასკვნები. მასალის ახსნაში აქტიური მონაწილეობა
მიაღწეოდა ინა კლასს. მასალა განამტკიცა კითხვების დასმითა და ამოცა-
ნის ამოხსნით. მისცა შესაბამისი დავალება. ასეთივე გაკვეთილი იქნა
მის მიერ ჩატარებულ X კლასშიც.

აღნიშნული მოსწავლეობები ენერგიულად და მინდობილი საქმი-
სადმი დიდი პასუხისმგებლობით მუშაობენ. ჩატარებული აქვთ პროგ-
რამით გათვალისწინებული ფრონტალური ლაბორატორიული სამუ-
შაოები და პრაქტიკული სამუშაოების ნიშნები. კაბინეტი კარგადაა
მ. წყობილი. სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოები მზა მდგ. მარეო-
ბაშია, სუფთადაა, დანომრილი და თავთავის კარადე ში მითავსე-
ბული. აპარატურა გამოყენებულია ოპტიმალურად. მოსწავლეთა მაგი-
დებთან მიყვანილია მუდმივი და ცვლადი დენის წყარო გამანაწილე-
ბელი ფაზიდან. კაბინეტში დიდი ადგილი უჭირავს მოსწავლეთა
თვითნაკეთ ხელსაწყოებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მოსწავლეთა
წრეობრივი მუშაობა კარგადაა დაყენებული. აქვთ მოსწავლეთა ხე-
ლით გაკეთებული სხვადასხვა ჟურნალი და ექსკურსიების შედეგების
ამსახველი ალბომები, საკუთარი დიაფილმები და დიაპოზიტივე ი. კაბი-
ნეტის გამგეს დ. ნემსიწვერიძეს, ფიზიკის მოსწავლემ ლ. ობოლაძეს
და ლაბორანტ თ. ნემსიწვერიძეს. საერთოდ, დიდი მუშაობა ჩაუ-
ტარებიათ.

ფიზიკის დამაკმაყოფილებლად ასწავლის ალბანის საშუალო
სკოლის მასწ. თ. კუხლაშვილი (დამთავრებული აქვს ქუთაისის
პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დასწრე-
ბული განყოფილება 1957 წელს. სტაჟი 17 წელი. დახელოვნების კურ-
სე ი გაუვლია 1973 წელს), X კლასში მის მიერ ჩატარებული გაკვეთი-
ლის თემა იყო პრაქტიკული სამუშაო „ტრანსფორმატორის მოწყო-
ბილობა და მუშაობა“. მოსწავლემ კლასს გაამეორებინა შესაბამისი
მასალა, გააცნო დაკვირვებათა ცხრილი და მოემზადა სამუშაოს ჩა-
სატარებლად. მოსწავლეთა გამოკითხვით გამოიჩინა, რომ მათი მო-
მზადების დონე დამაკმაყოფილებელია. მოსწავლემ ჩატარებული
აქვს პროგრამით გათვალისწინებული ფრონტალურ-ლაბორატორი-
ული სამუშაოები, საკონტროლო წერები. მუშაობს ფიზიკის წრე.
აქვს მოსწავლეთა თვითნაკეთი ხელსაწყოები, ინდივიდუალური სამუ-
შაო გეგმა და დამუშავებული საკითხები. ლაბორანტი არა ჰყავს. აქვს
ყველა კლასის დიაპოზიტივე ის კომპლექტი. ჰყავს მოსწავლეთა თვით-

შემოქმედებაში გამარჯვებული ორი მოსწავლე. კაბინეტი პატარა (40 კვმ), აქვს საბრეპარატო და ხელსაწყოთა 60%. კაბინეტი მოვლილია.

ფიზიკას დამაკმაყოფილებლად ასწავლის აგრეთვე ორბელის საშ. სკოლის მასწავლებელი ვრ. ბურჯალიანი (დამთავრებული აქვს ქუთაისის პედ. ინსტიტუტი 1971 წ.). VII კლასში მიცემული მასალა — „ელექტრული ტელეგრაფი და ელექტრომაგნიტური რელე“ გამოკითხა სამ მოსწავლეს. მასალა მოსწავლეებმა კარგად იცოდნენ. მასწავლებელმა ეფექტური კითხვებით მოამზადა კლასი ახალი მასალის — „მუდმივი მაგნიტები, მაგნიტების ურთიერთქმედება მუდმივი მაგნიტის მაგნიტური ველის გადასაცემად“. იგი ახსნა მოსწავლეთათვის გასაგებინებო, გამოიყენა მაგნიტების კომპლექტი, მაგნიტური ისრები, ჩაატარა ცდები. დასკვნები მოსწავლეებს გააკეთებინა. განამტკიცა ახლად ახსნილი მასალა, მოსწავლეთა მომზადების დონე კარგაა.

დამაკმაყოფილებლად ჩატარდა ფიზიკის ვაკვეთილი ამავე სკოლის VI—VIII კლასებშიც მასწავლებელი ზინა თევდორეს ასული სილაგაძე, დამთავრებული აქვს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დასრულებული განყოფილება 1959 წელს. სტაჟი 15 წელი. დახელოვნების კურსები გაიარა 1967 წელს).

მასწავლებელმა დასწრება შეამოწმა მორიგე მოსწავლის საშუალებით. დავალებად მიცემული ამოცანა განაზოგადა. მასალა გამოკითხა ორ მოსწავლეს და კლასი მოამზადა ახალი მასალის გადასაცემად. ახალი მასალა — „ენერჯის მუდმივობის კანონი“ გასაგებად ახსნა. გამოკვეთილ იქნა მთავარი. ამოხსნა შესაბამისი ამოცანა. მისცა სათანადო დავალება, კლასის მომზადების დონე დამაკმაყოფილებელია. ასევე წარმატებით ჩაატარა მან ვაკვეთილი VI კლასშიც.

აღნიშნულ სკოლაში ფიზიკას ასწავლის, აგრეთვე, კ. ხეცურიანი (VII კლასი), რომელსაც დამთავრებული აქვს პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის სპეციალისტის დასრულებული განყოფილება 1969 წელს).

აღნიშნულ მასწავლებელთა მეშაობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. ჩატარებული აქვთ ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოების 70%. ფიზიკის პრაქტიკუმი ჯერ არ დაუწყიათ, რადგან პროგრამა არ არის დამთავრებული. მას, ალბათ, ვერც ჩაატარებენ, რადგან კაბინეტში არის ამისათვის საჭირო სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოთა მხოლოდ 20%. მცირე რაოდენობით არის მოსწავლეთა თვითნაკეთობა. ფიზიკის წრე ფორმალურ ხასიათს ატარებს. მეთოდ-



გაერთიანება არ შეუძლებს. კაბინეტი ერთ პატარა ოთახშია (40 კვმ ფართობით), აქვეთ საპრეპარატო, ხელსაწყოები და აპარატურა ინახება სუფთად (კაბინეტის გამგე ზ. სილაგაძე).

ფიზიკის სწავლება დამაკმაყოფილებელია ლასურიაშის საშუალო სკოლაშიც (მასწ. ს. მიჭაძე). მოსმენილ იქნა ორი გაკვეთილი IX და X კლასებში. მასწავლებელი დამაკმაყოფილებლად ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებსა და ხერხებს. კარგად იყენებს თვალსაჩინოებას და დიდაქტიკურ მასალას.

ფიზიკა არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ბარდნაღის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი გელა კობალიანი (დამთავრებული აქვეს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება 1966 წ. სტაჟი—8 წელი, დახელოვნების კურსები გაუვლია 1973 წელს ქუთაისში). IX კლასში წინა მასალა, — „მაგნიტურ ნივთიერებათა სამი ჯგუფი. პარა და დიამაგნეტიზმის ახსნა“ გამოიკითხა ორ მოსწავლეს. მათ ვერ შეძლეს მასალის კარგად თხრობა. ახალი მასალის — „ფერომაგნეტიკების ძირითადი თვისებები“ ახსნისას ყურადღება არ იქნა გამაზივლებული და მოსწავლეთათვის გაუგებარი დარჩა კიურის ტემპერატურა, $M > 1$ $M < 1$, ნარჩენი მაგნეტიზმის ბუნება, დამაგნიტების ფიზიკური არსი. ახალი მასალის ნახევარი იქნა ახსნილი ზარის-დარეკვის შემდეგ, ამიტომ გაურკვეველი დარჩა: კოერციტური ძალა, ჰისტერეზისის მარყუვი, მავარი და რბილი მაგნიტური მასალები და მათი გამოყენება. გაკვეთილი არ გაუმდიდრებია პრაქტიკული საკითხებითა და ამოცანებით. ვერ მოასწრო მასალის განმტკიცება. არაფერი თქმულა ე. წ. დომუნების შესახებ. ამგვარად ჩატარებული გაკვეთილების შედეგად მოსწავლეთა მომზადების დონე, ცხადია, ძალზე დაბალია. ამაზე მეტყველებს X კლასში მოსწავლეთა გამოკითხვისა და IX კლასში ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგები. მოსწავლეებს საწერად მიეცათ მასწავლებლის მიერ შერჩეული მარტივი საკითხები. წერა 18 მოსწავლემ. მათგან დადებითი შეფასება მიიღო ხუთმა, ხოლო არადამაკმაყოფილებელი — 13-მა მოსწავლემ.

არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია ფრონტალური ლაბორატორიული სამუშაოებიც. სამუშაოს ნაწილი ჩატარებით მოსწავლეთა საკლასო-საშინაო დაელოების რვეულებში. იგი არასრულყოფილია და დაუსწორებელია. ფიზიკის პრაქტიკაში VIII—IX კლასებში მასწავლებელს ჯერ არ დაუწყია, რადგან პროგრამა არ დამთავრებულა, ხოლო X-ში ჩატარებია 5 პრაქტიკული სამუშაო, მავრამ მათი ფიქ-

სირება არა აქვს. ფიზიკის წრის თემები ზერელედაა დაწერილი. მოსწავლეთა თვითნაკეთობა არ არის. ინდივიდუალური სამუშაო გეგმიდან მასწავლებელს მხოლოდ ერთი თემა ჰქონდა.

ფიზიკის კაბინეტი არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი. მისი გამგეა გ. კობალიანი, ლაბორანტი რ. ლაჭყვიანი. კაბინეტს უჭირავს 60 კვმ. ფართობი. სათავო არა აქვს. სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოები არ არის აწყობილი; დაუშლელია, დაძტვრულია და მოუვლელია, აკლია მზრუნველი ხელი. არადამაკმაყოფილე ელია ჟურნალის წარმოებაც აღნიშნულ სკოლაში. არის მეოთხედური ნიშნების არასწორად გამოყვანის შემთხვევები; მაგალითად, X კლასში 1-ელ მეოთხედში სამ მოსწავლეს მეოთხედური ნიშნები არასწორად ჰქონდა გამოყვანილი, ასევე იყო II და III მეოთხედშიც. ჟურნალის ზოგიერთი გრაფა ცარიელია.

ზემოხსენებული და მსგავსი ნაკლოვანებანი იმიტაც არის შეპირობებული, რომ არასაკმარისი ხელმძღვანელობა და კონტროლი ეწევა ამ მეტად მნიშვნელოვანი საგნის სწავლევას. სუსტია შინადასკოლო კონტროლი საკლასო-საშინაო დავალებათა რეგულაციისა და დღიურიების წარმოების მიმართ. არადამაკმაყოფილებელია დირექციის მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი ბარდნალისა და ლასურიამის საშუალო სკოლებში. სასწავლო წლის განმავლობაში ფიზიკის სწავლება სრულიად არ შეუსწავლიათ ალბანის, ორბელისა და ლასურიამის საშუალო სკოლაში.

საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულებითა და შესრულების კონტროლის შესუსტებით აიხსნება ის გარემოება, რომ არც ერთს შემოწმებული სკოლის ფიზიკის კაბინეტში არ არის მოწყობილი ავტომატური დანელება და აპარატურის დისტანციური მართვა. ი. რ. ელას, ბარდნალის და ლასურიამის საშუალო სკოლების ფიზიკის კაბინეტში ძალიან ღარიბია თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოებითა და აპარატურით.

ფიზიკის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების საქმე მეტ ზრუნვას საჭიროებს.

ქ ი მ ი ა

ცაგერის რაიონის შესწავლილი სკოლების ქიმიის მასწავლებელთა ერთ ნაწილს შეეძებელი აქვს, რომ მუშაობაში მაღალი წარმატების მისაღწევად გადაამყვებთ მაიშნელოა ენიჭება ყოველი გაკვეთილი-



სათვის საფუძვლიან მომზადებას, გაკვეთილების უნარიანად და ორგანიზებულად ჩატარებას - ეს მასწავლებელი სათანადო ყურადღებას აქცევს ქიმიის კაბინეტების ხელსაწყობითა და პრეპარატებით შევსებისა და მოწყობის საქმეს ქიმიის სწავლების დროს სისტემატურად იყენებენ თვალსაჩინოებასა და სადემონსტრაციო ექსპერიმენტებს; ასე მაგალითად, ცაგერის საშუალო სკოლაში (დირექტორი ს. კობალიანი, ქიმიის მასწავლებლები ე. ჯიქია და ნ. ჩაკვეტაძე) ქიმიის სწავლებისათვის გამოყოფილია ერთი ოთახი, რაც ეთთვებაოდ ართულვებს სკოლაში საგნის ნაყოფიერად სწავლების საქმეს. ამოივად, კაბინეტში საქმით რაოდენობით არ არის ხელსაწყობები, რეაქტივები და ჭურჭლეულობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ქიმიის პიროგრაშით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულებას. მიუხედავად ამისა, აღნიშნული სკოლის მასწავლებელი ფაოთოდ იყენებენ თვალსაჩინოებას ქიმიის კულის ისეთი მთავარი საკითხების სწავლებისას, როგორცაა ჰალოგენები, უანგეულები, პიდრატეი, მყავევი, ფუძეები, ტუტე და მოტუტო მეტალები, უანგვისა და აღდგენის პრიცეპეი, ელექტროლიზური დისოციაცია, ქიმიურ ნაერთთა სტრუქტურული ფორმულები, სხვადასხვა ორგანული ნივთიერების ფოქციული წესით მიღება და ა. შ.

ასეთი მუშაობის შედეგად ზემოთ დასახელებული სკოლის მოსწავლეები საფუძვლიანად აიიან დაუფლებულნი ქიმიის კურსს, კარგად ერკვეიან ქიმიურ მოვლენებში, აქვთ გამოქმუშავებული ქიმიური ხელსაწყობის, ჭურჭლეულობისა და რეაქტივის გამოყენების ჩვევები, ახეობენ მასწავლებლის ხელმძღვანელობით ცუების ჩატარებას და ქიმიამი ძილებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

არსეათი ნაკლოვანეებით ხასიათდება ქიმიის სწავლება ზორგისის მ-წლიან სკოლაში (ქიმიის მასწავლებელი ს. ახლედიანი). ამ სკოლის VII კლასის მოსწავლეებმა არ იციან ქიმიის დაწყებითი ცნებები, ძირითადი კანონები, ვერ ერკვეიან ქიმიური მოვლენების არსში, უჭირთ ქიმიური ტოლოგების შედგენა. ასევე დაბალი მომზადება გამოაქვდაცნეს ქიმიამი ორბელის საშუალო სკოლის (ქიმიის მასწავლებელი ლ. ლარცულანი) IX კლასის მოსწავლეებმა. მათ ბუნდოკანი წარმოდგენა აქვთ კაციონებაზე და ანიონებაზე, ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ თანაურ და მთავარ ქვეჯგუფებს, სარა აქვთ წარმოდგენა ვალენტობის ელექტრონულ ბუნებაზე. მასწავლებელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს განვლილი მასალის განმეორებას და ა. შ.

დასახელებულ სკოლებში მოსწავლეებს არ აჩვენებენ შარტივო პრეპარატებისა და ხელსაწყოების დამზადებას, ყურადღებას არ აქცევენ ექსკურსიების მოწყობას ქიმიურ წარმოებებში; მოსწავლეებს არა აქვთ გამომუშავებული ქიმიური ექსპერიმენტის მოწყობის ჩვენები; ყოველივე ამასთან ერთად, ამ სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცევა ვარჯიშს ქიმიური ამოცანების ამოხსნაზე. არ არის სათანადოდ მოწყობილი და უზრუნველყოფილი ქიმიური კაბინეტები რეაქტივებითა და ხელსაწყოებით: შესაფერის სიმაღლეზე არ დგას კლასგარეშე მუშაობა, ხოლო ქიმიის წრეების თემატიკაში არ არის გათვალისწინებული ისეთი საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ სწავლების დაკავშირებას მოეწველობისა და სოფლის მეურნეობის საფუძვლების შესწავლასთან. ქიმიա-ბიოლოგიის მასწავლებლები არაა დამაკმაყოფილებელ ერთობლივ მუშაობას ატარებენ სკოლების სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე.

ბიოლოგია

აღნიშნული რაიონის ბიოლოგიის მასწავლებლები ერთგვარ დადებით მუშაობას ატარებენ ხელსაწყო-იარაღებითა და ტექნიკური საშუალებებით კაბინეტის აღჭურვისათვის. ქმნიან პირობებს, რათა ძირითადი პროგრამული დებულებანი ექსპერიმენტული წესით იქნეს ახსნილ-განმტკიცებული. მასწავლებლის ხელმძღვანელობით მოსწავლეები ნაყოფიერ მუშაობას ატარებენ, აყენებენ ცდებს, ამზადებენ სხვადასხვა ტაბულას, ჰერბარიუმს, ფიტულს. კოლექციებს და სხვ. ისინი თეორიულ ცოდნასთან ერთად აძლევენ მოსწავლეს როგორც ლაბორატორიული, ისე პრაქტიკული საქმიანობის მტკიცე უნარ-ჩვევებს. მათი მოსწავლეები კარგად ეოკვევიან მუკან მკენარეებსა და ცხოველურ ორგანიზმებს შორის ურთიერთ კავშირში, მკენარეში ორგანიული ნივთიერების წარმოქმნასა და მისი მნიშვნელობის საკითხებში. სამარცხელე და სასილოსე სიმანდის მოყანის აგროტექნიკაში. ამასთან, მათ გააზრებულად იციან ორგანიზმისათვის ნერვული სისტემის როლი, ცხოველთა ბუნების შეცვლა გარეშე პირობების გავლენით. უპირობო და პირობითი რეფლექსები; ცხოველთა მოვლისა და მკურნალობის ბრძოლის საშუალებები.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია თ. ყურაშვილისა (ცაგერის საშ. სკოლა) და ლ. ქარსელაძის (ქვედა ცაგერის რეაწლიანი სკოლა) მუშაობა.



შვარამ, ამასთან ერთად, აღსანიშნავია რომ რაიონის ზოგიერთ სკოლაში ბიოლოგია არადამაკმაყოფილებლად ისწავლება. მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ თეორიული დებულებები ზერელედ სწავლება და მოწყვეტილია სოფლის მეურნეობის პრაქტიკას.

მოსწავლეებმა საშუალო სკოლის კურსიდან კუსტად იციან მცენარის ორგანიზმში მიმდინარე ძირითადი სასიცოცხლო პროცესები (სუნთქვა და კვება), ადამიანის ცალკეული ორგანოების სისტემების აგებულება და ფუნქციები, ნერვული სისტემის როლს გარემოსთან ადამიანის ორგანიზმის შეგუების საქმეში: ჩარლზ დარვინის ევოლუციური მოძღვრების ძირითადი იდეები, მემკვიდრეობითობა და ცვალებადობა, შექმნილ ცვლილებათა მემკვიდრეობით ვადაცემა და მისი მნიშვნელობა. განსაკუთრებით დაბალი მომზადება გამოავლინეს ბიოლოგიაში ორბელის საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ი. გოგებაშვილი).

ამასთან ერთად, მოსწავლეების ერთ ნაწილს უჭირს შვა დგინოს ჰერბარიუმები და კოლექციები. დაამზადოს სველი პრეპარატები, ჩაატაროს ცდები ლაბორატორიეში, ჩაწეროს, ჩახაზოს და ჩახატოს უკვე ჩატარებული ცდები, პრაქტიკული მუშაობის უმთავრესი მომენტები და მისი შედეგები. იშვიათად ტარდება სასწავლო ექსპურსიები და ნორჩ ნატურალისტთა შორის მუშაობა და სხვ.

ეს ნაკლოვანებანი, ძირითადად, იმის შედეგია, რომ ბიოლოგიის მასწავლებლების ერთი ნაწილი სათანადოდ არ არის დაუფლებული ბიოლოგიურ მეცნიერებას და მისი სწავლების პრინციპებს, ფორმებსა და და მეთოდებს; ეს მასწავლებლები ნაკლებად სწავლობენ ბიოლოგიურ მეცნიერებათა ახალ მიღწევებს, სათანადოდ არ ინტერესდებიან სოფლის მეურნეობის ნოვატორთა პრაქტიკული გამოცდილების გაცნობითა და კმაყოფილებიან იმით, რაც უმაღლეს სასწავლებელში შეუესწავლიათ. ასეთი მასწავლებლებია გ. თვარაძე (ალბანის საშუალო სკოლა), როზელიც სპეციალობით ისტორიკოსია და ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლების ოთხი კურსი მოისმინა, მას გადასამზადებელი კურსები არ აქვს გავლილი, ს. ახვლედიანი (ზოგიშის მ-წლიანი სკოლა), მას მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები არა აქვს გავლილი და გ. კვირიკაშვილი (ლასურიაშის საშუალო სკოლა), თუმცა ეს უკანასკნელი ჯერ სულ ახალბედა მასწავლებელია. ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი 1974 წელს დაუმთავრებია და სავარაუდოა, რომ ბიოლოგიის

სწავლების ხერხებსა და მეთოდებს სკოლაში მუშაობის პროცესში დაეუფლება.

რიც სკოლაში ბიოლოგიის კაბინეტებისათვის არ არის გამოყოფილი სათანადო ოთახები; ზოგჯერ ეს ოთახები მეტად ღარიბია თვალსაჩინო მასალებით. არ არის შესაფერისად მოწყობილი სადემონსტრაციო და მოსწავლეთა მავიდებია სკამების ნაცვლად გამოყენებულია ძელსკამები, რაც აძნელებს პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკულ მუშაობას, ცდების დემონსტრირებას და სხვ. ასეთი მდგომარეობაა ზოგიშის რვაწლიან და ალბანის საშუალო სკოლაში.

ზოგიერთ სკოლაში, ბიოლოგიის სწავლებისას, საცდელი მუშაობისათვის არ იყენებენ სასწავლო-საცდელ ნაკვეთებს, ხოლო სკოლების გარკვეულ ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს სასწავლო-საცდელი ნაკვეთები, ყოველივე ეს აძნელებს ბიოლოგიის თეორიული კურსის დაკავშირებას პრაქტიკისთან, მოსწავლის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომასთან და სხვ.

ნაკლოვანებანი ბიოლოგიის სწავლებაში იმიტაც არის შეპირობებული, რომ ამ ციკლის დისციპლინებში საათები დაქუცმაცებულია: ბოტანიკას, ბიოლოგიას, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიას, ზოგად ბიოლოგიას სხვადასხვა პირი ასწავლის; ასე მაგალითად, ცავერის საშუალო სკოლაში ბიოლოგიური დისციპლინების 24 საათი. ხუთ მასწავლებელზეა განაწილებული.

ასე რომ, ბიოლოგიის სწავლების გაუმჯობესებისათვის ზომების მიღებისას ეს საკითხიც გასათვალისწინებელია.

ისტორია და საზოგადოებრივი ცოდნეობა

რაიონში ისტორიისა და საზოგადოებრივი ცოდნეობის სწავლების მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. მასწავლებლები მუშაობენ თავიანთი პედაგოგიურ-მეთოდური და მეცნიერული დონის ასამაღლებლად, ეცნობიან სწავლების ახალ ფორმებსა და მეთოდებს. ბარდნალის ლ. ასათიანის სახ. საშ. სკოლის X კლასის მასწავლებლის რ. ბაქრაძის ვაკეეთილებისათვის დამახასიათებელი იყო მაღალი მეცნიერული დონე, მოსწავლეთა აქტივობა. საშინაო დავალებად კლასს მიცემული ჰქონდა „სოციალისტური შევსებულობის ნიშნები“, მოსწავლეები თავიანთ აზრს ასაბუთებდნენ არამარტო სახელმძღვანელოებიდან, არამედ მხატვრული ლიტერატურიდან, სკოლისა და კლასის ცხოვრებიდან გადასაცემი მასალა ყო „მეცნიერული მსოფლმხედვე-



ლობა*. მასწავლებელმა მოსწავლევებს დაუსახელა დამატებითი ლიტერატურა. გარდა საპროგრამო მასალისა, მოსწავლევებს დაევალოთ მოხსენი ეს მომზადება თემაზე: „როგორი უნდა იყოს ნამდვილი მეგობარი“.

ამავე მასწავლებელმა საინტერესოდ წარმართა ფაკულტატიური მეცადინეობა— საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლები“. მეცადინეობაში ჩაბმული იყო მთელი კლასი, თემა იყო „სასჯელი და მისი სახეები“. კლასს თემის მიხედვით მოუმზადებია რეფერატები, გამოკითხვის შემდეგ მასწავლებელმა მოიყვანა რამდენიმე ცხოვრებისეული მაგალითი, გაჩაღდა კამათი. ახლო მომავალში მათ გადაწყვეტილი აქვთ მოაწყონ ლიტერატურული გმირების გასამართლება კურსიდან მიღებული ცოდნის შესაბამისად. კონსულტანტად და არბიტრად მოწვეულია რაიონის პროკურორი.

საინტერესოდ, და მაღალ დონეზე წარმართა გაკვეთილი X კლასში ლასურიაშის საშ. სკოლის დირექტორმა გ. ბრეგვაძემ. მოსწავლეთა აქტიურობამ ხელი შეუწყო გაკვეთლის შინაარსიანად ჩატარებას. ფართოდ იყო გამოყენებული თვალსაჩინოება.

საინტერესოდ. ტექნიკური საშუალებებისა და თვალსაჩინოების ფართო გამოყენებით ხასიათდება ქემო ცაგერის რეაწლიანი სკოლის მასწავლებლის პ. ცვარიანის მიერ VIII კლასში ჩატარებული გაკვეთილი.

სათანადო მეცნიერული დონით, მოსწავლეთა აქტივობით, ლოგიკური მსჯელობის უნარით გამოირჩევა ორბელის საშ. სკოლის საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლის, ჯ. ბურჯალიანის, გაკვეთილი X კლასში.

დამაკ ყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე შ. გალდავა (ლასურიაშის საშ. სკოლა), ნ. ხეცურიანი (ბარდნაღის საშ. სკოლა) და ნ. ბახსოლიანი (ორბელის საშ. სკოლა).

დაბალ დონეზე ჩაატარა გაკვეთილები ცაგერის საშ. სკოლაში შ. კობლიანმა (დამთავრებული აქვს ქუთაისის პედინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი 1948 წ.) იგი შეუმჩნეველად ტოვებდა მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს; მაგალითად, კითხვაზე— „სად მოხდა პირველი ბოლშევიკური რევოლუცია? მოსწავლევები პასუხობენ— ინგლისი. მასწავლებელი განავრძობს: „ჩვენმა არმიამ შემოიტყუა გერმანელები მოსკოვამდის და შემდეგ გამანადგურებელი დარტყმა აგება მათ“. ამგვარ შეცდომებს ჰქონდა ადგილი თითქმის მის მიერ გადაცემულ სამივე გაკვეთილზე. მასწავლებელი ხშირ შემთხვევაში

არ ამთავრებს აზრს და გადადის ახალ წინადადებაზე. თემის—„ინდოეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის“—ახსნის დროს მან თქვა: ინდოეთში შეიქმნა ნაციონალური კონგრესი (არ მიუცია გამოთქმის—„ნაციონალური კონგრესის“ განმარტება). მას სათავემ იჩაუღდა მაჰათმა განდი. შემდგომში კონგრესი გაიყო ორ ფრთად, მემარცხენეებს ხელმძღვანელობდა ჯ. ნერუ“.

მართალია, ფაქტები მოყვანილია სწორად, მაგრამ გაკვეთილის ახსნის დროს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე არაფერი თქმულა. ფაქტიურად გამოვიდა, რომ ინდოეთში მოიწვიეს კონგრესი (მოსწავლევმა იციან ეს სიტყვა მხოლოდ ამ მნიშვნელობით), რომლის შემქმნელი იყო განდი და მემარცხენე ფრთას ხელმძღვანელობდა ნერუ ე. ი. განდი იყო მემარჯვენე, ნერუ კი—მემარცხენე. აქ სწორედ საჭიროა სიტყვა „კონგრესის“ განმარტება და რომ განდის სიკვდილის შემდეგ კონგრესი გაიყო ორ ნაწილად და მისი მემარცხენე ფრთის ლიდერი გახდა ჯავაჰარლალ ნერუ. ასევე, განდის 11 მოთხოვნიდან შემოიღვარგლა სამიო. სახელდობრ, 1. ჩინოციკებს შეუკვეცეთო ხელფასი, 2. შემცირდეს გადასახადი მიწაზე და 3, ხალხმა თვითონვე გამოხარშოსო მარილი. საჭირო იყო გაემახვილებინა ყურადღება სოციალურ და პოლიტიკურ მოთხოვნებზეც.

VII კლასში საქართველოს ისტორიაში ახალი მასალის ახსნისას მასწავლებელს სურდა დაეკავშირებინა გაკვეთილი თანამედროვეობასთან (მასწავლებელს სურდა ეჩვენებინა, თუ რა წარმატებებს მიაღწია საქართველომ რევოლუციის შემდეგ), მაგრამ ეს ვერ მოახერხა. გამოვიდა ასე: მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი აშენებდა სოციალიზმს, შუა აზიის რესპუბლიკებში ჯერ კიდევ იყო ფეოდალიზმიო. უნდა ეთქვა: ოქტომბრის რევოლუციისათვის შუა აზიის ხალხებს უხდებოდათ ბრძოლა არა მარტო ფეოდალიზმის გადმონაშთებთან, არამედ **მონათმფლობელურ გადმონაშთებთანაც.**

მოსმენილი გაკვეთილების საერთო ნაკლად უნდა ჩაითვალოს), რომ მასწავლებლები თითქმის არ იყენებენ სწავლების ახალ მეთოდებს, რომლებიც ითვალისწინებენ მოსწავლეთა აქტიუიზაციის გაზრდას, გაკვეთილზე პრობლემური სიტუაციის შექმნას, სადაც თვითონ მოსწავლემ უნდა გააკეთოს საჭირო დასკვნა მასწავლებლის დახმარებით.

რაიონში, აღნიშნული საგნების გაკვეთილებზე, თითქმის არ იყენებენ ტექნიკურ საშუალებებს. შემოწმებულ სკოლებიდან ფაქტიურად მხოლოდ ერთმა მასწავლებელმა გამოიყენა დიაფილმი (პ. ცვა-

რიანი, ქვემო ცაგერის რვაწლიანი სკოლა), ფაქტიურად მასწავლებელი შედის გაკვეთილზე მხოლოდ რუკით.

გ ე ო გ რ ა ფ ი ა

ცაგერის რაიონის სკოლებში საჭირო ღირსძიებანი ხარციელდება გეოგრაფიის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამღლელად. ახალ მასწავლო ბროგრამებზე გადასელასთან დაკავშირებით, უკანასკნელი 5 წლის მანძილზე, 27 მასწავლებელმა აიმაღლა კვალიფიკაცია. მათ ღიდ დახმარებას უწევენ სასკოლო და სარაიონი მეოღდკაერაიანებები. ზოგ სკოლაში შექმნილია გეოგრაფიის კაბინეტი და მოედანი.

ცაგერის საშუალო სკოლაში გეოგრაფიის ასწავლის ს. ჩაკვეტაძე, უმაღლესი პედაგოგიური განათლებით.

სკოლაში არის შექმნილი გეოგრაფიის კაბინეტი, სადაც გამოფენილია რუკები. კაბინეტი აღჭურვილია სათანადო ხელსაწყოებით, კინოაპარატით, ებიდიასკოპითა და ფილმოსკოპით. ამჟამად მიმდინარეობს კაბინეტის შევსება. მუშაობს გეოგრაფიული წრე. ტარდება ექსკურსიები.

ამ სკოლის VII კლასის მოსწავლეებმა კარგად გაშუქეს დასავლეთ საქართველოს კავკასიონის გეოგრაფიული მღებარეობა, გეოლოგიური აღნაგობა, რელიეფის მრავალფეროვნება და სხვა.

ახალი მასალის „აღმოსავლეთი კავკასიონის“ ახნისას მასწავლებელმა გამოიყენა თხრობის მეოღდი, რის გამოც ძნელი იმის დაღვენა, თუ როგორ არის მოსწავლე დაუფლებული დამოუკიდებელ მუშაობას გაკვეთილზე.

აღნიშნული მასალა მოსწავლეთათვის ცნობილია ზოგადი ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათებიდან, ამიტომ მეოღღურად გამართლებული იქნეოღდა საუბრის მეოღღის გამოყენება. საჭირო იყო კლასის წინაშე დაესვა პრობლემური ხასიათის კითხვები და, საჭიროებისას, თვითონ შეეცხო მათი პასუხები, გამოიყენებინა აღგიღობრივი სამხარეთმოცოდნეო მასალა.

ჩანს, მასწავლებელი იყენებს დამატებით ლიტერატურას, მაგრამ არაფერი იყო ნათქვამი თბილისი-ორჯონიკიძის რკინიგზის მშენებლობის პროექტზე აღმოსავლეთ კავკასიონის მალაღმთიან რაიონში.

IX კლასში გაკვეთილის თემა იყო „ლათინური ამერიკის მეურნეობა“ კაბინეტს ჰქონდა ლათინური ამერიკის ფიზიკური, ბოღიტი-



კური და ეკონომიური რუკები. ყველა მერზე იდგა გლობუსი, რაც საჭირო არ იყო ამ გაკვეთილისათვის. თითოეულ მოსწავლეს ჰქონდა საძეწო რვეული, გეოგრაფიული ატლასები. გამოძახებულმა მოსწავლეებმა დამაკმაყოფილებლად გააშუქეს ძირითადი საკითხები: საძეწო-მანძი, მატოკე-თი მოეწველოა, დამუშავებითი მოეწველოა, ტონ-სპორტი და სავარეო ეკონომიური უთთიეთობა.

ახალი მასალა: „ოაზილია“ ისევ თხოობის მეთოდით იქნა ახსნილი. მასწავლებელმა დაახასიათა ბოაზილის ეკონომიური-გეოგრაფიული მდებარეობა, ძახსილეობა, მეუბნეობის ცალკეული დოგები. ძასლა კროვად დაუკავშირა თანამედროვეობას. კოვად უჩება ის კინტოასტეი, რომლებიც დამახასიათებელია ბოაზილის ცალკეული რაიოე-ისათვის.

მასწავლებელმა გაკვეთილის ახსნის პროცესში გამოიყენა სასწავლო კიხაფილმის ცალკეული ფოვამენტები, რითაც ხათლად დაიხახეს მოსწავლეებმა არახილის ბუხეის მრავალფეროვნება და სოფლის მეუთხეობის ვახეითაობა.

ახალი მასალის განმტკიცებისას მოსწავლეები იძლეოდნენ დამაკმაყოფილებელ პასუხებს, რაც იმაზე მიგვიბოიბებს, რამ მასწავლებელმა მიხახს ძილწია.

უნდა აღიბიშნოს, რომ IX კლასში „მიმდინარე“ სასწავლო წელს ნაწილობრივ შეიცვალა საზუვარვარკუის ეკონომიური გეოგრაფიის სახელმძღვანელო და პროგოამაც. ჩახს, მასწავლებელი მუშაობის ძეელი პროგოამია, ალბათ, იბიტომ, რომ ქართულ სკოლეს არ ვაჩხიათ ახალი სახელმძღვანელოეი.

აღნიშულ გაკვეთილზე არ ჩანდა მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა. საჭირო იყი მასწავლებელს დაესვა კლასისათვის პრობლემური კოახეები, ვაეახალიზებია სახელმძღვანელოში მოცემული ტაუ-ლეი, ჩაეტოებინა სხვადახვა სახის რუკებზე მუშაობა.

ორკელის საშუალო სკოლაში გეოგრაფიას ასწავლის ნ. მამარ-დაშვილი. სკოლას აოი აქვს საჭირო რაოდენობით რუკეი და სხვა თვალსაჩინოეა. არ აქვთ გლობუსები, ტალური, სუსტად იახის აღ-ჭუოვილი ტექნიკური საშუალებე-ეი.

VII კლასში საშიხოო დავალებად ჰქონდათ „საქართველოს სსრ ცხოველთა სამყარო“.

გაკვეთილზე გამოყენებული იყო მხოლოდ ცხოველთა სამყაროს რუკა. როგოოც წესი, ყველა მოსწავლეს სახელმძღვანელო ვალამლი-ლი ჰქონდა. ტოდეაი ახდივადუალური გამოკახვა და მასწავლე-ლის



მთელი ყურადღება მიქცეულია მოპასუხე მოსწავლისაკენ. კლასი ნაკლებად აქტიურია. უკეთეს შემთხვევაში ცალკეული მოსწავლეები ღებულობენ მონაწილეობას, ნაკლები ყურადღება ექცევა სახელმძღვანელოში მოცემული საილუსტრაციო მასალის გამოყენებას, თუმცა ეს საჭირო იყო მით უფრო, რომ მოსწავლეებს საერთოდ სუსტი წარმოდგენა აქვს ცალკეულ ცხოველებზე.

ახალი მასალა „საქართველოს ბუნებრივი რესურსები“ მასწავლებელმა ახსნა ვასაგებად. კარგად დაუკავშირა მასალა ბიოკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობას.

აუცილებელი იყო, გაკვეთილზე გამოეყენებინა ადგილობრივი მასალა და თვით მოსწავლეებს მიეცათ ბუნების ცალკეული კომპონენტისათვის ეკონომიური დახასიათება, რაც ხელს შეუწყობდა მოსწავლეთა შექცევაში აქტივზაციას.

გეოგრაფიის სწავლებისას ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას.

მოსწავლეთა აქტივზაციასა და პრობლემურ სწავლებას საჭირო ყურადღებას არ აქცევენ აგრეთვე ბარდნალისა და ლასუჩაის საშუალო სკოლების გეოგრაფიის მოსწავლეებზე მ. ჩაჩვიანი და ბ. ფარჯანაძე.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ რაიონში დიდი მუშაობა უნდა ჩატარდეს გეოგრაფიის სწავლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად.

განათლების განყოფილების მუშაობის ზოგი საკითხის შესახებ

ცაგერის რაიონის განათლების განყოფილება გარკვეულ ღონისძიებებს ატარებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობისადმი კონტროლისა და დახმარების განხორციელების გზით სახალხო განათლების დარგში IX ხუთწლედით დასაბუთებული ამოცანების განხორციელებლად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, რაიონში ენერგიული მუშაობა ტარდება საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის, საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამაპერების განხორციელებისა და სწავლა-აღზრდის პროცესის შემდგომი სრულყოფისათვის.

განყოფილებისა და სკოლების მთელი მუშაობა მიძღინარეობს წინასწარ გულმოდგინედ, საქმის ცოდნით შედგენილი სხვადასხვა სახის გეგმით: სახელდობრ, განყოფილებას აქვს 1975 წლის წლიური

სამუშაო გეგმა, კვარტალური სამუშაო გეგმები, სახალხო განათლების საბჭოს კვარტალური გეგმები; გარდა ამისა, ცალკეა გეგმები სოფლის სკოლების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცკ-ის და სსრ კავშირის მიხისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების შესასრულებლად, 1974/75 სასწავლო წლის ორგანიზებულ დამთავრებისა და 1975/76 სასწავლო წლისათვის მზადების კონკრეტულ ღონისძიებებზე. ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შეოჩვევისა და აღზრდისთვის მუშაობის შესახებ სკკპ ცკ-ის ცნობილი დადგენილების განხორციელებაზე. მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საქმეში თბილისის 24-ე საშუალო სკოლის პარტიული ორგანიზაციისა და პედაგოგიური კოლექტივის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების ღონისძიებებზე და სხვა.

როგორც ჩანს, განყოფილება დროულ რეაგირებას ახდენს ცხოვრებაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე და მათ შესაბამისად წარმართავს მუშაობას.

მიუხედავად ამისა, საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე შენიშვნის გაკეთება.

განყოფილების კვარტალურ სამუშაო გეგმებში, ბუნებრივია, მათ შესაბამისად, სახალხო განათლების საბჭოს გეგმებშიც ნაკლებად გვხვდება მთავარი საკითხი—სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის კომპლექსურად შესწავლის საკითხი. I და II კვარტალის გეგმებში ამ თვალსაზრისით მხოლოდ მცირეკომპლექტიანი სკოლების მუშაობის შესწავლაა გათვალისწინებული;

ასეთ ვითარებაში ზედმეტად გვეჩვენება განყოფილების წლიური გეგმით გათვალისწინებული საკითხი ოქტომბერში მასწავლე ელთა სასწავლო-მეთოდური კონფერენციის ჩატარების შესახებ სწავლისა და აღზრდის ძირითად პრობლემებზე. აგვისტოს თათბირზე ხომ იყო მსჯელობა ამავე საკითხებზე.

ამ გეგმებს ფორმას აკლია ერთი აუცილებელი გრაფა—„სად განიხილება შესწავლილი საკითხები“?

არის ზოგიერთი, მეტად საშუარი საკითხის დაგვიანებით განხილვის შემთხვევები: ასეა, მაგალითად, დაგვიანებული სამინისტროს ბრძანებების განხილვა ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბიოლოგიის სწავლების



მდგომარეობისა და მათი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ამიტომ არის, რომ ჩვენ მიერ შესწავლილ სკოლებში აღნიშნული ბრძანებანი ან საერთოდ არ არ არის, ან ლაგვიანებით არის გახხილული, მაგრამ განხილვაც არის და განხილვაც. ამ მხრივ ყელაფერი რიგზე არ არის თვით ცაგერის საშუალო სკოლაშიც, რომელიც, საერთოდ, კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

არადამაკმაყოფილებელია სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა. ჩვენ, რასაკვირველია, შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ აქ ყველაფერი განყოფილებისა და სკოლების ხელმძღვანელებზეა დამოკიდებული. არა, რა თქმა უნდა, არა:

მაგრამ არის ზოგი ისეთი, შედარებით ადვილად მოსაგვარებელი საკითხები, რომელთა მოწესრიგება არც დიდ დაბრკოლებათა გადალახვას საჭიროებს და არც დიდ ფულად სახსრებს მოითხოვს; ასე მაგალითად, ქვედა ცაგერისა და უსახელოს 8-წლიანი სკოლების დაწყებით კლასებში დაფები მკარგ მოცულობისაა და ვერ იტევს წერის ნორმებით გათვალისწინებულ სეპარატივითა ტექსტს. დაფები დახაზული არ არის ცალკეული სავლების (ქართული და რუსული ენების, მათემატიკის) მიხედვით, ან არასწორად არის დახაზული, რაც ძალიან უშლის ხელს მასწავლებელს—ასწავლოს ბავშვებს სწორად, ლამაზად წერა, ვარდა ამისა. I—II კლასებთან ერთდროული მუშაობისათვის სრულიად უვარგისია აღნიშნული სკოლების დაწყებითი კლასებს დაფები.

ამ მხრივ საჭირო იყო ზოგიშის რეაწლიანი და ცაგერის დაწყებითი სკოლების გამოცდილების გაზიარება. მათ აღნიშნული კლასებისათვის დაფებიც კარგი აქვთ და ბავშვებიც შედარებით უკეთესად წერენ.

ჩხუტელის საშუალო სკოლას აქვს კარგად მოწყობილი სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი (ბიოლოგიის მასწავლებელი ნ. კაბანაძე). მისი გამოყენება შეიძლება რაიონის სხვა სკოლების ბიოლოგიის მასწავლებელთათვის საკონსულტაციო უბნად, მაგრამ დღემდე ეს საკითხი მოგვარებული კი არაა, დასმულიც არ არის.

ზოგი სკოლის ხელმძღვანელი და პედაგოგიური კოლექტივი ათსაკმაოდ მუშაობს სკოლის შენობის, ეზოს, მისი შემოგარენის მოვლადაცისა და გალამაზებისათვის.

ღარიბია სასკოლო ბიბლიოთეკები. ამასთან, არაიშვიათად, წიგნების დიდი ნაწილი არ არის საბავშვო. ეს გარემოება გამოწვეულია იმითაც, რომ სკოლების ხელმძღვანელები ბიბლიოთეკებს მხო-

ლოდ ცენტრალიზებული წესით ავსებენ და ყურადღებას არ აქცევენ იმ ლიტერატურის, ზოგჯერ მეტად საინტერესო ლიტერატურის, შექმნას, რომელიც რაიონის საქაზიგნის მალაზიაში იყიდება.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება რაიონის მეთოდკაბინეტის მუშაობა (გამგე გ. ხმელიძე). საკმარისია ითქვას, რომ მისი ფილმოთეკა სრულიად არადაამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობას უწევს სკოლებს სწავლებაში ტექნიკური საშუალებების დანერგვის საქმეში. ამიტომ არის, რომ სკოლები არ იყენებენ მათ, თუმცა ცოტა როდი აქვთ ეს საშუალებანი. სკოლებს მისაბაძი საქმიანობის ნიმუშად არ გამოადგებათ მეთოდკაბინეტის ბიბლიოთეკა: წიგნები უსისტემოდ და დაუმუშავებლად აწყვიტა; მეთოდკაბინეტს არა აქვს ცალკეულ საგნებში აუცილებელი პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურა...

ამეამად, როცა თანდათანობით ხორციელდება სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლა, დიდი მნიშვნელობა. შეიძლება ითქვას, განუზომლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოწინავე სკოლებისა და ცალკეული პედაგოგები გამოცდილების. განზოგადებას. ამ უმნიშვნელოვანეს პედაგოგიურ საქმეში დიდ როლს ასრულებს ე. წ. საყრდენი, საჩვენებელი სკოლები, რომელთა მუშაობის მაგალითზე სწავლობენ სხვა სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები. ასეთი საბატიო მოვალეობა შეიძლება დაგვეკისრებინა ცაგერის საშუალო სკოლისათვის. მოგვეწყოს იქ ცალკეულ საგნებში სარაიონო ღია გაკვეთილები ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ეგების ეს ღონისძიება გამოგვედგომოდა ერთ-ერთ გზად იმ უხერხულობის დასაძლევად, როცა თანამედროვე ძვირუასი ტექნიკური საშუალებანი მკვდარ კაბიტალად იქცა. ამასთან, კიდევ უფრო გაგვეუმჯობესებინა ამ სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (რაიონში ერთად-ერთი სკოლა, რომელსაც სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი არ აქვს). სარაიონო ღია გაკვეთილების ჩასატარებლად ისიც საჭიროა გავიოვალისწინოთ, რომ ცალკეული საგნების (ვთქვათ, მშობლიური ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ფიზიკის, ქიმიის...) მასწავლებლებს კვირაში ერთი და იგივე დღე ჰქონდეთ თავისუფალი, რათა შეეძლოთ მასზე დასწრება.

არასაკმაო კონტროლი და დახმარება ხორციელდება სკოლების ხელმძღვანელთა მუშაობისადმი. ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ისინი დაბალი პასუხისმგებლობის გრძობით ეკიდებიან მათზე მინდობილ საქმეს. ბევრი მათგანის შიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები



შინაარსით ღარიბია და ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით—გაუმართავი. ასე მაგალითად, საკონტროლო წერის შედეგად ორბელის საშუალო სკოლის დირექტორის, გ. ჭაბუკიანის ანალიზი მხოლოდ შედეგების თქსაციაა ამ სახით: „წერა 26-მა მოსწავლემ, „ხუთი“ მიიღო „1“-მა, „ოთხი“—5 მა, „სამი“—15-მა და „2“—4-მა მოსწავლემ. ეს არის და ეს. ზოგიშის რვაწლიანი სკოლის დირექტორი შ. მძქძე წერს (მოგვაქვს სიტყვა-სიტყვით): „მასწავლებელმა გააკეთა წინა მასალის რესკენა და ახალზე გადასვლა მოახდინა გევმაზომიერად. ახალი მასალის შინაარსი კარგად გადასცა. დაცული იყო თანმიმდევრობა. კარგად ჩაატარა ახსნითი კითხვა. უცხო სიტყვები დაუწერა დაფაზე, ჩააწერინა რვეულებში უცხო სიტყვების ახსნა და სხვ.

შესრულების შემოწმების კონტროლის არასასურველი დონით აიხსნება ის გარემოება, რომ სკოლეში ფართოდ არის გავრცელებული „შარგალკომანია“ ამ სენის დასაძლევად დიდი თანმიმდევრული, მიზანსწრაფული მუშაობის ჩატარება იქნება აუცილებელი. ამასთან, მის განხორციელებას სჭირდება საქმით დრო...

ზემოხსენებული და მსგავსი ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად შეპირობებულია იმითაც, რომ გარკვეულ ხარვეზებს აქვს ადგილი როგორც სკოლების ხელმძღვანელი მუშაკების, ისე თვით განათლების განყოფილების აპარატის მუშაკთა შერჩევისა და დანიშვნას საქმეში: საქმარისია ითქვას, რომ სკოლების დირექტორებისა და მათი მოადგილეების უმრავლესობა ჰუმანიტარული ციკლის დისციპლინების სპეციალისტებია და, ბუნებრივია, უჭირს, კვალიფიციურად უხელმძღვანელოს მათემატიკური და საბუნებისმეტყველო საგნებს სწავლებას. განათლების განყოფილების რვა მუშაკიდან ოთხი ისტორიკოსია, ორი მათემატიკოსი, ერთი გეოგრაფი და ერთი სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტი. კადრების ამგვარი შერჩევის გამო განყოფილებას არ ჰყავს ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის სპეციალისტები.

ცავერის რაიონში ზემოხსენებული საკითხის შესწავლის შედეგები დაწვრილებით გაეცნო რაიონის სკოლების დირექტორებისა და მათი მოადგილეების თათბირს, ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობა კი—ამ საგნების მასწავლებელთა რაიონულ თათბირებს.

ბრიგადის მუშაობის შედეგები ვრცლად გაეცნო საქართველოს კვ ცავერის რაიონისა და რისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელ მუშაკებს.

მიმდინარე წელი IX ხუთწლედის დამამთავრებელი წელია; იმაზე, თუ როგორ დავამთავრებთ მას, გარკვეულად არის დამოკიდებული წარმატებანი მოძავალი, მკათე ხუთწლედით დასახული ამოცანების განხორციელების ვხაზე. იმაზე, თუ რამდენად წარმატებით განვახორციელებთ სახალხო განათლების დარგში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებსა და IX ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ამოცანებს, ზევრად არის დამოკიდებული ჩვენი სადღეისო პარტიული მნიშვნელობის დავალებათა შესრულება — ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXV ყრილობას.

ეს არის ამჟამად სახალხო განათლების მუშაკთა, მათ შორის ცაგერის რაიონის განათლების განყოფილებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაკთა საპატიო ამოცანა.

დასკვნა

საჭიროდ მიგვაჩნია, საკითხი, საქართველოს კომპარტის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა შექმნე ცაგერის რაიონის სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სახალხო განათლების დარგში IX ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების შესრულების მიმდინარეობის შესწავლის შედეგების შესახებ, განიხილოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადის შემადგენლობა: ნ. გიორგობიანი, დ. გოგსაძე, ს. დვალი (ხელმძღვანელი), ს. დვბლიშვილი, ა. კვასხვაძე, ლ. ლარცულიანი, თ. ხელაძე, ალ. რამაზაშვილი, ი. უკულავა, შ. ჩხეიძე, თ. ხურცილავა, ლ. ჯანიაშვილი, ს. ჯინჯიხაძე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1975 წლის
8 სექტემბრის ბრძანება № 625

საოლქო და სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკების დებულებებსა და
ფილმოთეკების მიერ სასწავლო კინოფილმების გაჭირავევის წესების
დამტკიცების შესახებ

საოლქო და სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკების მუშაობის
მოწესრიგების მიზნით,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასკოლო განათლების ადგილობრივ ორგანოებს სახელმძღვანელოდ დაეგზავნოთ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1975 წლის 20 ივნისის № 91 ბრძანებით დამტკიცებული „დებულება საოლქო და სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკების შესახებ“.

2. დამტკიცდეს წესები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ფილმოთეკების მიერ სასწავლო კინოფილმების გაჭირავევის შესახებ.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) დებულების შესაბამისად შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც მიმართული იქნება ფილმოთეკების საქმიანობის ყოველმხრივი სრულყოფის, სასწავლო-ამზრდელობით პროცესში კინოფილმებისა და კინოფრაგმენტების ფართოდ გამოყენების ორგანიზაციაში მათი როლის გაძლიერების; აგრეთვე ფილმოთეკების მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ბ) ამ დებულებით უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლებისა და ფილმოთეკების ყველა მუშაკი.

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) საჭირო
კონტროლი და ხელმძღვანელობა განახორციელოს აღნიშნული ბრძა-
ნების შესრულებაზე.

მინისტრის მოადგილე

ფშ. აბოლაძე



დანართი № 1

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი 1975 წლის „8“ სექტემბრის № 625 ბრძანებასა

ღეგულება საოლქო ფილმოთეკების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საოლქო ფილმოთეკის წარმოადგენს სასწავლო-მეთოდურ დაწესებულებას, რომელიც ოლქის სახალხო განათლებას განყოფილებას ემორჩილება.

საოლქო ფილმოთეკა საქმიანობა სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკების და სკოლების სასწავლო ფილმებით უზრუნველყოფისა და ფილმოფონდის გამოყენების ხელმძღვანელობის დაოგში, ოქსპულეიკურ ფილმოთეკას ემორჩილება.

II. საოლქო (სახარეო) ფილმოთეკების ამოცანები

2. საოლქო (სახარეო) ფილმოთეკების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

—სარაიონო (საქალაქო), სარაიონთაშორისო და სასკოლათაშორისო ფილმოთეკების მუშაობის ორგანიზაცია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სხვა სასწავლო-აღმზრდელით დაწესებულებების მუშაკთა მიერ სასწავლო-სააღმზრდელი პროცესში სასწავლო ფილმებისა და ფრაგმენტების ფართოდ გამოყენების საქმეში;

—სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკების საქმიანობის ხელმძღვანელობა სკოლების, განსაკუთრებით სოფლის, სასწავლო ფილმებითა და ფრაგმენტებით უზრუნველყოფის, გამოყენების, შენახვის, ფილმის ფონდების შეკეთებისა და ტექნიკური მდგომარეობის დარგში;

—სასწავლო კინოს პროპაგანდის ორგანიზაცია და ლონისძიებათა ჩატარება;

—მასწავლებელთა მოწინავე გამოცდილების შესწავლა და განზოგადება სასწავლო-სააღმზრდელი პროცესში კინოს გამოყენების შესახებ.

III. საოლქო (სამხარეო) ფილმოთეკების ქუშაობის შინაარსი და ფორმები

3. დადგენილი ამოცანების შესაბამისად საოლქო (სამხარეო) ფილმოთეკა:

—განაგებს სასწავლო ფილმებისა და ფრაგმენტების მთლიან ფონდს, პასუხისმგებელია სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკების მიერ მათი სწორად გამოყენებისათვის. საჭირო შემთხვევაში გადაანაწილებს ფილმებსა და კინოფრაგმენტებს ფილმოთეკებს შორის.

—სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკებს შორის ანაწილებს რესპუბლიკური ფილმოთეკიდან გამოყოფილ სასწავლო ფილმებსა და ფრაგმენტებს, სოფლის სკოლების პირველ რიგში უზრუნველყოფს მათ დეველოპაში მიღებით;

—შემიქმნის სარაიონო (საქალაქო), სარაიონთაშორისო ფილმოთეკებისა და დისლოკაციის გეგმებს და წარუდგენს მათ დასამტკიცებლად ოლქის (მხარის) სახალხო განათლების განყოფილებებს;

—ღებულობს საჭირო ზომებს სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული ფილმოთეკების გასაზრდელად და აწყობს მათ მუშაობას;

—ანორციელებს სასწავლო ფილმების გაქირავებას სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკების საშუალებით და უშუალოდ სკოლაში ადგილობრივი პირობების მიხედვით, რომელიც საოლქო (სამხარეო) ფილმოთეკის მომსახურების ზონაში იმყოფება;

—უზრუნველყოფს ფილმებისა და ფრაგმენტების შენახვასა და შეკეთებას, აგრეთვე ანორციელებს კონტროლს სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკების ფილმოფონდის ტექნიკურ მდგომარეობაზე;

—უზრუნველყოფს სარაიონო, სარაიონთაშორისო (საქალაქო) ფილმოთეკების მიერ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კინორეპერტუარზე კონტროლის ორგანოს მითითებების შესრულებას სასწავლო ფილმებში შესწორებების შეტანის შესახებ;



—სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოების მალაზიასთან ერთობ-
ლივად განსაზღვრავს მოთხოვნებს კინოაპარატურებითა და სწავლების
სხვა ტექნიკური საშუალებებით სკოლების აღჭურვისათვის, სასწავლო
კაბინეტების მოწყობილობის მხედველობაში მიღებით და მონაწი-
ლეობს მათი სკოლებზე განაწილე-ის პროექტის შედგენაში, ამასთან,
მხედველობაში უნდა იქონიონ სოფლის სკოლების პირველ რიგში
დაკმაყოფილება.

საჭიროების შემთხვევაში ოლქის (მხარის) განათლების განყო-
ფილებაში შეაქვთ წინადადებანი კინოაპარატების გადანაწილების
შესახებ, სოფლის სკოლების უკეთ უზრუნველყოფისა და ფილმოფო-
ნდებისა და კინოაპარატურის უფრო ინტენსიურად გამოყენების მი-
ზნით;

—აწყობს ფილმოთეკებში ფილმოფონდის ყოველწლიურ ინვენ-
ტარიზაციას და, საჭიროების შემთხვევაში, სასკოლო კინოაპარატების
ხელახალ რეგისტრაციას;

—სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოების მალაზიასთან ერთობ-
ლივად აზუსტებს სკოლების საჭიროებას მომავალი წლისათვის
კინოათურე სა და კინოაპარატების დეტალებზე სარაიონო (საქალა-
ქო) ფილმოთეკების ფილმოფონდის შეკეთებისათვის რაკორდებისა
და სხვა მასაღე-ზე მოთხოვნილებას და შეკვეთას აგზავნის რესპუბლი-
კურ ფილმოთეკასა და ოლქის (მხარის) განათლების განყოფილებაში;

—სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკებთან ერთობლივად აწყობს
სასკოლო კინოაპარატურის ტექნიკურ დათვალიერებასა და შეკეთე-
ბას, აგრეთვე სახელმძღვანელო საწყისეაზე უზრუნველყოფს კინოა-
პარატურის საშუალო და კაპიტალურ შეკეთებას კინოშემკეთებელი
სახელოსნოების საშუალებით;

—მონაწილეობას იღებს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტი-
ტუტების მიერ მოწყობილ კურსებზე მასწავლებელთა და მოსწავ-
ლეთა მიერ კინოაპარატურის დაუფლების ტექნიკის სწავლებაში;

—სსრ კავშირის სახკინოს კინოფიკაციისა და კინოგაქირავების
სამმართველოსთან, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებთან
შეთანხმებით, მონაწილეობას იღებს მასწავლებელთა, პედაგოგიკური
სკოლების მოსწავლეთა მიერ ვიწროფირიანი კინოს დემონსტრატორის
მოწოდების მისაღებად მოწყობილი გამოცდების ჩასაბარებლად საკვა-
ლიფიკაციო კომისიების მუშაობაში..

—ოქის სახალხო განათლების განყოფილების მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკებისათვის ადგენს და ელემენტარულ ფილმების ფონდის გამოყენების შესახებ და ახორციელებს ამ დავალებათა შესრულების კონტროლს;

—სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკებს უზრუნველყოფს აუცილებელი დოკუმენტაციით (აბონემენტებით, ბლანკებით, ბარათებით, საინვენტარო წიგნებით) და კატალოგებით.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან, რაიონისა და ქალაქის მეთოდურ კაბინეტებთან ერთობლივად:

—პრობაგანდას უწყევს მასწავლებელთა საუკეთესო გამოცდილებას სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში სასწავლო კინოს გამოყენების შესახებ;

—პრებს და გამოცემს სცნობარო მასალებს სსსრული ფილმების გამოყენების საკითხებზე;

—ატარებს სასწავლო კინოს პრობაგანდასთან დაკავშირებულ გამოფენებს, ფილმოთეკაში მიწოდებულ სასწავლო ფილმების განხილვას, სასწავლო ფილმების გარჩევას მასწავლებლების მიერ;

—ატარებს მუშაობას სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკების მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სსსრული-სააღმზრდელო პროცესში სასწავლო ფილმების და ფრაგმენტების გამოყენების დანერგვისა და ფართოდ გამოყენების დარაში.

5. სარაიონო (საქალაქო) კინოქსელის დირექციასა და რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებასთან ერთად დახმარებას უწყევს სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკებსა და სკოლებს, განსაკუთრებით კი სოფლის სკოლებს, სასკოლო კინოთეატრების შექმნაში.

6. ადგენს და დასამტკიცებლად წარუდგენს ოქის განათლების განყოფილებას საოლქო ფილმოთეკის წლიურ სამუშაო გეგმას.

IV. საოლქო ფილმოთეკის ხელმძღვანელობა

7. საოლქო ფილმოთეკის ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ინიშნება ოქის სახალხო განათლების განყოფილების გამგის მიერ იმ პირობით, რომელიც უნდა იქონიებდეს უმაღლესი პედაგოგიურ განათლებას განხილვით (განსაკუთრებულ შემთხვევაში იმ პირობით



რიცხვიდან, რომლეცა ც სპეციალური მომზადება და კინოფიკაციის დარჯში მუშაობის გამოცდილება გააჩნიათ).

8. საოლქო ფილმოთეკის დირექტორს უფლება აქვს დადგენილი წესით განახორციელოს ფილმოთეკის მუშაკების სამუშაოზე მიღება და დათხოვნა.

9. საოლქო ფილმოთეკის დირექტორი ოლქის სახალხო განათლების საქმის წევრია.

10. მუშაობაში ფილმოთეკის დირექტორი ამ დებულებით, ოლქის სახალხო განათლების განყოფილებისა და სახალხო განათლების ზემდგომი ორგანოების მითითებებითა და განკარგულებებით ხელმძღვანელობს.

V. დაფინანსება და ანგარიშგება

11. საოლქო ფილმოთეკა იხსნება მოკავშირე რესპუბლიკის განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროს მიერ სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად. იხურება მოკავშირე რესპუბლიკის განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროს გადაწყვეტილებით.

12. საოლქო ფილმოთეკის შენახვა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე ხდება, მას აქვს თავისი ბეჭედი და შტამპი.

13. ასიგნებული საოლქო ფილმოთეკის შენახვაზე ხორციელდება დამტკიცებული ხარჯების ნუსხის შესაბამისად.

14. საოლქო ფილმოთეკა თავის მუშაობის შესახებ ოლქის სახალხო განათლების განყოფილების წინაშე ანგარიშვალდებულია.

დანართი № 2

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი 1975 წლის 8 სექტემბრის
№ 625 ბრძანებისა

დებულება სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკა წარმოადგენს სასწავლო-მეთოდურ დაწესებულებას, რომელიც რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილების ემორჩილება.

სკოლების სასწავლო ფილმებით უზრუნველყოფისა და ფილმოფილმების ხარისხის დარეგულირების სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკა საილქო ფილმოთეკას ემორჩილება.

2. სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკა იხსნება ოლქის სახალხო განათლების განყოფილების ან მოკავშირე რესპუბლიკის განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროს მიერ სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად. იხურება ოლქის სახალხო განათლების განყოფილების ან მოკავშირე რესპუბლიკის განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროს გადაწყვეტილებით.

3. სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკის შტატები მტკიცდება მოკავშირე რესპუბლიკის განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროს მიერ ტიპობრივი შტატების თანაბრად (ტიპობრივი შტატების უქონლობისას-ინდივიდუალური წესით).

II. ფილმოთეკის ამოცანები

4. სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკის ძირითადი ამოცანებია:
— ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების (სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლე-



ბისა და სხვა) მასწავლებელთა მიერ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში კინოფილმებისა და კინოფრაგმენტების ფართოდ გამოყენების ორგანიზაცია;

—სკოლებისა და სხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების სასწავლო კინოფილმებითა და კინოფრაგმენტებით დროული უზრუნველყოფა მათი შეკვეთების მიხედვით (გაქირავე.ის გზით);

რაიონის (ქალაქის) მეთოდურ კაბინეტთან ერთად კინოფილმებისა და კინოფრაგმენტების გამოყენების საკითხებზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა მოწინავე გამოცდილების შესწავლა; განზოგადება და დანერგვა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში.

III. ეუზობას შინაარსი და ძირითადი ფორმება

5. ამოცანების შესაბამისად სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკა:

—მუშაობს რაიონის (ქალაქის) მეთოდურ კაბინეტთან შეთანხმებული და რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილების მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით;

—განაგებს საოლქო ფილმოთეკის მიერ მისთვის გამოყოფილ კინოფილმებისა და კინოფრაგმენტების ფონდს და პასუხისმგებელია მათი სწორად გამოყენებისათვის;

—აწარმოებს ფონდში არსებული კინოფილმებისა და კინოფრაგმენტების უზუსტ აღრიცხვას, ფილმის დასახელების, ვარიანტის ნაწილების რაოდენობის, მეტრაჟისა და ლირებულების აღნიშვნით, გააჩნია პირადი ბარათი თითოეულ ფილმზე, აღინიშნება მისი (ფილმის) მოძრაობა;

—უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებს სასწავლო ფილმებითა და კინოფრაგმენტებით გაქირავე.ის პირობების მიხედვით სრ. კავშირის განათლების სამინისტროს ფილმოთეკების სისტემაში სასწავლო კინოფილმების გაქირავე.ის წესების შესაბამისად;

—ახორციელებს ფილმებისა და ფრაგმენტების ისლების სწორად შენახვას, შეკეთებასა და კონტროლს მათ ტექნიკურ მდგომარეობაზე;

—ეხმარება სკოლებსა და სხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებს საპროექციო აპარატურის პროფილაქტიკური შეკეთების ორგანიზაციაში;

—აჭოწუმებს აბონენტების მიერ სასწავლო ფილმებისა და კინოფრაგმენტების მკაცრად დადგენილ ვადეაში გამოყენებასა და დაბრუნებას;

—უზრუნველყოფს სკოლებს სასწავლო ფილმებისა და კინოფრაგმენტების კატალოგებით, შეკვეთისა და მინდობილობების (ღანკეებით, ააონემენტებით).

—ყოველწლიურად ატარებს სასწავლო ფილმებისა და კინოფრაგმენტების ფონდის ინვენტარიზაციას და საინვენტარიზაციო უწყისეს უზავნის საოლქო რესპუბლიკურ ფილმოთეკას. საოლქო, რესპუბლიკური ფილმოთეკის დავალეაში სკოლეაში ატარებს კინოაპარატების ხელახალ აღრიცხვას;

—ასრულებს საოლქო, რესპუბლიკის ფილმოთეკის მითითებებს მოძველებული საეკრანო თვალსაჩინოების ეკრანისა და მოხსნის შესახებ;

—შეისუშავებს და ავზავნის საოლქო რესპუბლიკის ფილმოთეკაში შესაათანხმებლად და რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებაში დასამტკიცებლად ხარჯების ნუსხას მოამკალი წლისათვის.

6. რაიონის (ქალაქის) მეთოდურ კაბინეტთან ერთობლივად სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკა:

—შეისწავლის, განაზოგადებს და პროპაგანდას უწყებს მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელობის გამოცდილებას კინოფილმებისა და კინოფრაგმენტების გამოყენების საკითხებში;

ეხმარება მასწავლებლებს კინოფილმებისა და კინოფრაგმენტების გამოყენება საქეში სემინარების, პრაქტიკუმების, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციების ჩატარებაში;

—ეხმარება სკოლეს მეცადინეობათა კაბინეტური სისტემის პირობებისათვის სასწავლო კინოფილმებისა და კინოფრაგმენტების გამოყენების საკითხებში;

—ატარებს მუშაობას მასწავლებელთა და მოსწავლეთაგან ვიწროფორიანი კინოს დემონსტრატორების მომზადებისათვის;

—ატარებს ახალი სასწავლო ფილმებისა და ფრაგმენტების ნახვას რაიონის (ქალაქის) მასწავლებელთათვის და საოლქო, რესპუბლიკური ფილმოთეკის დავალეაში მასწავლებლებისაგან დეპულოს შეფასებას სასწავლო ფილმებისა და ფრაგმენტების შესახებ.

7. რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებასთან და რაიონის (ქალაქის) კინოქსელის დირექციასთან ერთად ატარებს კინოგაქირავების კანტორაში კინოფიციერებულ სკოლების რეგისტრაციას. მონაწილეობას იღებს სკოლების მიერ კინოგაქირავების კანტორის ფილმების ფონდის ფართოდ გამოყენების ს.ქმეში. ხელს უწყობს სასკოლო კინოთეატრების შექმნას.

IV. ფილმოთეკის ხელმძღვანელობა

8. სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკას ხელმძღვანელობს გამგე, რომელიც რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილების მიერ ინიშნება საოლქო ფილმოთეკის დირექტორთან შეთანხმებითა იმ პირობებზე, რომლებსაც უმალღესა განათლება გააჩნიათ (გამონაკლის შემთხვევაში იმ პირობებზე, რომლებსაც სპეციალური განათლება და კინოფიციერების დარგში მუშაობის გამოცდილება აქვთ).

9. სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკის გამგე მუშაობაში ამ დებულებით, რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებისა და სახალხო განათლების ხელმძღვანელის ორგანოების მითითებებითა და განკარგულებებით ხელმძღვანელობს.

V. დაფინანსება და ანგა „შეგება“

10. სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკის შენახვა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე ხდება. მას აქვს თავისი ბუკედი და შტამპი.

11. ასივნებანი სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკის შენახვაზე იხარჯება დამტკიცებული ხარჯების ნუსხის შესაბამისად.

12. მუშაობაში სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკა რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებისა და საოლქო ფილმოთეკის წინაშე ანგარიშვალდებული.

13. სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკას რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილება უზრუნველყოფს შენობით, რომელიც მუშაობისათვის, ფილმების შესანახად, საპროექციო აპარატურის შესაკეთებლად, სემინარებისა და კონსულტაციების ჩასატარებლად არის საჭირო.

14. სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკას გააჩნია ტექნიკური აპარატურა მოკავშირე რესპუბლიკის განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად.

15. სკოლების, განსაკუთრებით სოფლის სკოლების, აუცილებელი კინოფილმებითა და კინოფრაგმენტებით ოპერატიული უზონ-ველყოფის მიზნით, სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკას, მოკავშირე რესპუბლიკის განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროს გადაწყვეტილებით—„ფურგონის“ ტიპის აკტომანქანა გამოეყოფა.



დანართი № 3

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი 1975 წლის 8 სექტემბრის № 625 ბრძანებისა

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის ფილმ-მოდულების მიერ სასწავლო კინოფილმების ჯაჭიანების წესები

სასწავლო კინოფილმების გაქირაების წესები სკოლა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის სხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებზე (ინტერნატებზე საბავშვო სახლებზე, პედსსწავლებლებზე) ვრცელდება.

I. სასწავლო კინოფილმების გაქირაების პირობები

1. ყველა კინოფიციურული სკოლა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის სხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებები ვალდებული არიან სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაში გამოიყენონ სასწავლო კინოფილმები.

2. სასწავლო კინოფილმების დაქირაების უფლების მისაღებად სკოლა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის სხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებები რეგისტრირებული უნდა იყვნენ ფილმოთეკაში.

3. რეგისტრაცია უნდა ჩატარდეს კინოაპარატის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში, რისთვისაც ფილმოთეკას წარუდგენენ შემდეგ დოკუმენტებს:

- განცხადება-შინდობილობას—კინოფილმებით უზრუნველყოფაზე აყვანის შესახებ;
- კინოაპარატის პასპორტს;

—აქტს სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებში სკოლამდელ და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სასწავლო კინოფილმების დემონსტრირების დროს სახანძრო უსაფრთხოების ტიპორაფი წესების დაცვის შესახებ, რომელიც სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მიერ 1969 წლის 3 იანვარს არის დამტკიცებული;

—ცნობას სკოლაში და სხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში იმ პირების (მასწავლებლის, ლაბორანტის, მოსწავლის) ყოფნის შესახებ, რომლებსაც ვიწროფირიანი კინოდემონსტრატორის საკვალიფიკაციო მოწმობა გააჩნიათ;

—საგარანტიო წერილს სასწავლო კინოფილმების გაქირავების წესების დაცვის შესახებ;

ვიწროფირიანი კინოდემონსტრატორის შეცვლისას აუცილებელია ფილმოთეკაში წარადგინონ ცნობა ახალი დემონსტრატორის შესახებ.

4. ფილმოთეკა აცნობს პასუხისმგებელ პირებს:

—სასწავლო კინოფილმების გაქირავების წესებს;

—კინოფილმების ტექნიკური ექსპლოატაციის წესებს, რის შემდეგ აძლევენ აბონემენტს.

5. სკოლა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებანი ვალდებული არიან კინოფილმების დემონსტრაცია გამართულ კინოაპარატზე ჩაატარონ.

6. ფილმების გაცემა წყდება:

—თუ კინოაპარატის ტექნიკური მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს ფილმის კინოპროექციისა და გახმოვანების ხარისხს;

—თუ ფილმის დემონტრაციის პირობები არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების წესებს;

—თუ სასწავლო დაწესებულებაში არ არის პირი, რომელსაც ვიწროფირიანი კინოდემონსტრატორის საკვალიფიკაციო მოწმობა გააჩნია;

—იმ შემთხვევაში, როდესაც სკოლა ან სხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულება სისტემატურად აგვიანებს ფილმის დაბრუნებას;

ამასთანავე, ფილმოთეკა ვალდებულია შეატყობინოს სასწავლო დაწესებულებას ფილმის გაცემის შეწყვეტის მიზეზების შესახებ.



7. თუ სკოლა ან სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის სხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულება დროებით წყვეტს სასწავლო ფილმების დემონსტრირებას, ამის შესახებ 5 დღის ვადაში უნდა ეცნობოს ფილმოთეკას მიზნების აღნიშვნით.

II. სასწავლო ფილმების გაცემის წესი

8. სკოლის მიერ სასწავლო კინოფილმებით სარგებლობის გეგმას მიმდინარე სასწავლო წლისათვის რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილება ამტკიცებს.

9. თითოეული კინოფიციციკული სკოლა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის სხვა სასწავლო დაწესებულება ვალდებულია ფილმოთეკაში წარადგინოს შეკვეთები (კანაცხადი) სასწავლო კინოფილმების მიღების შესახებ, რომელიც დამტკიცებულ გეგმებზე ნაკლები მოცულობის არ იქნება. შეკვეთების წარდგენის წესს ფილმოთეკა განსაზღვრავს.

10. ფილმოთეკა, ფილმებზე შეკვეთებისა და დადგენილი გეგმის შესაბამისად, ადგენს რაიონის (ქალაქის) სკოლებში სასწავლო ფილმების გადაადგილებს გრაფიკს ყოველი თვისათვის და ამარაგებს მათ იმ ვადებში, რომელიც გრაფიკშია ნაჩვენები.

11. სკოლები და სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებები კინოფილმებს დემონსტრირებისათვის უსასყიდლოდ იღებენ.

12. ფილმების გადაადგილების გრაფიკის შედგენისას ფილმოთეკამ უნდა გაითვალისწინოს სკოლებისა და სხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების სასწავლო ფილმებით მომსახურების ყველა ფორმა (საააზო სკოლების საშუალებით, წრიული მარშრუტებითა და სხვ. უზრუნველყოფა).

13. სკოლისა და სხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების სასწავლო ფილმებით წრიული პრინციპით ან საააზო სკოლების საშუალებით უზრუნველყოფისას გადაადგილებს გრაფიკში გათვალისწინებულ უნდა იქნეს, თუ საიდან მიიღებს სკოლა ფილმს და დემონსტრაციის შემდეგ ფილმი საით იქნება გაგზავნილი.

14. სკოლებსა და სხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში მათთან ახლომდებარე ფოსტამდე კინოფილმების გაგზავნის სატრანსპორტო ხარჯები ფილმოთეკას მიიკუთვნება, ხოლო სკოლისა და სხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების მიერ სასწავლო

კინოფილმების ფილმოთეკასთან ახლოს მდებარე ფოსტაში გაგზავნის სატრანსპორტო ხარჯე-ს-სკოლა ან სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებანი იღებენ.

15. აბონენტები ვალდებული არიან ფილმოთეკას დაუბრუნონ ფილმები იმავე ტარიით, რომლითაც ისინი მიიღეს, და იმ ვადეში, რომელიც აბონენტშია აღნიშნული.

16. ფილმის ასლები ხელზე წხოლოდ იმ პირებზე გაიცემა, რომლებსაც სასწავლო დაწესებულებამ აბონემენტით ფილმების მიღების მოვალეობა დააეხლა.

III. აბონენტის პასუხისმგებლობა სასწავლო კინოფილმების დაჭირა-ვების პირობების დაცვაზე

17. აბონენტები სრული პასუხისმგებლები არიან გაჭირავებით მიღებული ფილმის ასლების შენახვაზე, არ უშეებენ ფილმის ასლებს დაზიანებასა და დროზე ადრე ცვეთას.

18. ფილმი დაბრუნებულ უნდა იქნეს აბონემენტში აღნიშნულ ვადაში. სკოლაში და სხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებაში ფილმის ყოფნის ვადის გაგრძელება მხოლოდ ფილმოთეკის ნებართვით არის შესაძლებელი.

19. აბონენტების მიერ კინოფილმების გაჭირავების წესების დარღვევისას ფილმოთეკა აბონენტის მისამართით გზავნის გაფრთხილებას, ხოლო განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში ამის შესახებ რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებას აცნობებს, ასლით კი აბონენტს.

თუ ამის შემდეგ ფილმოთეკა არ მიიღებს საგარანტიო წერილს შემდგომში სასწავლო ფილმების გაჭირავების წესების დაცვის შესახებ, აბონენტის ფილმებით მომარაგება წყდება, რის შესახებაც ეცნობება საოლქო რესპუბლიკურ ფილმოთეკას. საოლქო რესპუბლიკური ფილმოთეკა ფილმების გაცემის შეწყვეტის შესახებ აცნობებს ოლქის სახალხო განათლების განყოფილებას შესაბამისი ზომების მისაღებად.

20. დავას ფილმოთეკასა და სკოლას (სხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებს) შორის, სასწავლო კინოფილმების გაჭირავე-

ბასთან დაკავშირებით, ოლქის სახალხო განათლების განყოფილების
გამგე წყვეტს.



სკოლებისა და სხვა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების
შიერ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრა-
ფიის სახელმწიფო კომიტეტის კინოგაქირავეების კანტორიდან ფილ-
მების მიღებისა მათზე კინოქსელის გაქირავეების წესები ვრცელდება.



**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1975 წლის 29 სექტემბრის ბრძანება № 684**

რესპუბლიკის კოლმეურნეობების, მეურნეობებისა და სოფლის
მეურნეობის სხვა საწარმოების მექანიზატორთა კადრებით
უზრუნველყოფის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების
დონისძიებათა თაობაზე საქართველოს კპ ცკ-ისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 29
ივლისის დადგენილების შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანის—კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის საწარმოების მექანიზატორთა კადრებით უზრუნველსაყოფად ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის სოფლის 350 საშუალო სკოლაში უკვე შემოღებულია სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მომზადება, გათვალისწინებულია 1976—1980 წლებში დამატებით შემოღებულ იქნეს 300 საშუალო სკოლაში.

რესპუბლიკის მთელი რივი რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებისა და სკოლების ხელმძღვანელები პასუხისმგებლობით მოეკიდნენ აღნიშნული დადგენილების შესრულების საქმეს და შეფიორგანიზაციების დახმარებით გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროს (IX—X) კლასებში ტრაქტორების მოწყობილობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტარების, აგროტექნიკის, მეცხოველეობისა და მოძრაობის წესე-



ბის სწავლებსათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების საქმეში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ვაჩნით მთელი რიგი ნაკლოვანებანი:

ბევრ სკოლასა და შეფ მეურნეობაში უზრუნველყოფილი არ არის მექანიზატორთა მომზადებისა და მუშაობის ელემენტარული საწარმოო პირობები: არ არის ტექნიკური მომსახურეობის პუნქტები, ტრაქტორების სადგომები, სახელოსნოები, სრულყოფილად მოწყობილი სასწავლო კაბინეტები და სხვ.

მცირეა იმ მოსწავლე გოგონათა რიცხვი, რომლებიც მექანიზატორის პროფესიას ეუფლებიან.

ბევრი სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, სასკოლო პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები სათანადოდ არ მუშაობენ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კურსდამთავრებული ახალგაზრდობის ჩაამისათვის.

რიგი რაიონების ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საჭირო დახმარებას არ უწყევენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს სასწავლო კაბინეტებისა და ლაბორატორიების მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვაში.

რესპუბლიკის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მექანიზატორთა კადრებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ არსებული დადგენილების შესასრულებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ყოველმხრივ გააუმჯობესონ სკოლებში ხელმძღვანელობა და კონტროლი ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკისა და მეცხოველეობის საფუძვლების სწავლებისადმი, სისტემატურად და საფუძვლიანად შეისწავლონ სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების მდგომარეობა ზოგადსაგანმანათ-

ლებლო სკოლების IX—X კლასებში და გაატარონ კონკრეტული დონისძიებანი სწავლების გასაუმჯობესებლად;

ბ) ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკისა და მეცხოველეობის საფუძვლების სწავლებისათვის მტკიცე ძა-ტერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მიზნით, განახორციელონ სკოლების მტკიცე კავშირი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქსოფლტექნიკის“ განყოფილებებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, კოლმეურნეობებთან და სხვა ორგანიზაციებთან, რომლებსაც აქვთ სასოფლო-სამეურნეო მანქანათა მძლავრი ბაზა.

გ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საინსპექტორო შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ავტოტექნიკის საფუძვლებისა და მეცხოველეობის ფერმების მექანიზატორთა მომზადებასა და მეცხოველეობის საფუძვლების სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული თემების შესწავლის თანამიმდევრობას, შესწავლისათვის განკუთვნილი საათების რაციონალურად გამოყენებას, სასწავლო მოწყობილობის გამართულობასა და სწავლებაში მისი გამოყენების საკაიხებს;

დ) მტკიცე კონტროლი დააწესონ გამოსაშვებ კლასებში მოსწავლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარებაზე, სათანადო მოწმობების გაცემასა და კურსდამთავრებული მოსწავლეების შრომით მოწყობაზე;

ე) მეტი მოთხოვნილება წაუყენონ საწარმოთა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს სკოლებში საზეინკლო-სამონტაჟო სახელოსნოების, სასწავლო კაბინეტების მოწყობისა და სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთების გამოყოფას საქმეში.

2. იმ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა და დირექტორის მოადგილეებმა სასწავლო მუშაობას დაოგში, რომელთაშიც შემოიღებულა სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა მომზადება:

ა) გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ავტომობილებს, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგროტექნიკის, მეცხოველეობის საფუძვლების სწავლების კაბინეტებისათვის საზეინკლო-სამონტაჟო სახელოსნოსა, ავტომობილებისა და ტრაქტორის სადგომი გარაჟის ტექნიკური მ.რ.მსახურების ბუნქტისათვის საჭირო სათავსოების გამოყოფისა და მოწყობისათვის;

ბ) უფრო მეტად დააინტერესონ და მოიზიდონ საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები

სკოლებში საზენკლო-სამონტაჟო სახელოსნოების, სასწავლო კაბინეტების აღწყობისა და სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთების გამოყოფისათვის.

შესაბამის სასოფლო-სამეურნეო ორგანოზაციების მონაწილეობით დასახონ და გაატარონ ერთობლივი ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და მათში სამეურნეო წარმოებისადმი ინტერესის გაღვივებისათვის.

დ) სისტემატურად შეამოწმოს IX—X კლასებში სოფლის მეურნეობის მექანიკატორთა კადრების მომზადების მდგომარეობა, განსაკუთრებული ყურადღება შიაკციოს მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირების, სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენების, სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოების, საწარმოო პრაქტიკისა და საწარმოო ხასიათის ექსკურსიების ჩატარების საქმეს.

3. სკოლების სამმართველომ (ამა. რ. კანდელაკმა) და სახალხო განათლების ინსპექციამ (ამხ. გ. როგავამ) საჭირო კონტროლი განახორციელონ აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1975 წლის 18 სექტემბრის დადგენილება.

მ ი ნ ი ს ტ რ ი თ. გ. ლაშქარაშვილი



შინაარსი

1. ბრძანება № 569—მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ტიპობრივი დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ	3
2. დებულება—მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების შესახებ	5
3. ბრძანება № 574 საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე ცაგერის რაიონის სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სახალხო განათლების დარგში IX ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ	19
4. ბრძანება № 625 საოლქო და სარაიონო (საქალაქო) ფილმოთეკების დებულებებისა და ფილმოთეკების მიერ სასწავლო კინოფილმების გაქირავების წესის შემოღების შესახებ	73
5. დებულებ —საოლქო ფილმოთეკების შესახებ	75
6. ბრძანება № 684 რესპუბლიკის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოების მექანიზატორთა კადრებით უზრუნველყოფის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს კბ ცკ-ისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 29 ივლისის დადგენილების შესრულების შესახებ	90